# პეპო

კომედია სამ მოქმედებად

თხზულება სომხურს ენაზედ

გ. სუნდუკიანცისა,

მისგანვე ქართულათ ნათარგმნი.

ვბეჭდამ რა ქართულს ენაზედ ამ ჩემს თხზულებასა, მე ყველა-ზედ უწინარეს თანამდები ვარ გამოვუცხადო ჩემი გულითადი მადლობა თ. რაფიელ ერისთავსა, რომელმაც სწორედ ძმური თანაშრომა აღმომიჩინა 1874 წელსა, როცა ამ თხზულებასა ვთარგმნიდი, აგრეთვე დეკანოზს ტერ-დავით იარალიანს და პოეტს იოსებ ბაქრაძეს, რომელთ შემწეობითაც ჩემგან დაბეჭდილს დედანში მერმედ ჩამატებული ადგილები გადმოითარგმნა ქართულად.

ვ. ს.

---

## მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| არუთინ ზიმზიმოვი, მდიდარი ვაჭარი. | ი. ნათაძე. |
| ეფემია, მისი მეორე ცოლი. | ოლ. ყაზბეგისა. |
| პეპო, მეთევზე. | გ. ჩიმიშკიანი. |
| შუშან, პეპოს დედა, ქვრივი. | ელ. ყიფიანისა. |
| კეკე, პეპოს და. | ჰელ. დანოპკისა. |
| გიქო, პეპოს ნათესავი. | დ. ყიფიანი. |
| კაკული, პეპოს მეგობარი. | ი. ბაქრაძე. |
| გიგოლი, არუთინას დუქნის შაგირდი. | ნ. შიშნიაშვილი. |
| სამსონ, არუთინას მოსამსახურე. | ი. მელიქიშვილი. |

ორი სხვა მოსამსახურე არუთინას სახლში.

პირველი და მესამე მოქმედება სწარმოებს პეპოს სახლში, ხოლო მეორე არუთინას სახლში, ტფილისში 1870 წელსა.

---

ზემოხსენებულთა პირთა პირველად წარმოადგინეს ქართულს სცენაზედ ტფილისში 1875 წელსა 27 ნოემბერს.

---

## აღწერა მოქმედთა პირთა და მათის ტანთ-საცმელისა.

**არუთინ.** 60 წლის კაცია, შუა ტანისა და აგებულებისა; პირ-მოპარსული, წითური და პირ-ბუდაღი. შავათ შეღებილი მოკლე თმა აქვს, ხშირი წარბები და შეკრეჭილი ულვაშები. ევროპიული ტანთ-საცმელი აცვია: თეთრი პერანგი, სახიანი ჟილეტკა, სახიანი შარვარი და შავი სერთუკი; ფერადი სახიანი ყელ-სახვევი ახვევია და გრგვალი შლიაპა—ცილინდრი ჰხურავს. ოქროს საათი ოქროსავე მეწკვით ჰკიდია. ხმარობს ჭრელს აბრეშუმის ხელ-სახოცს და მოკლე ყვითელი ქარვის კრიანოსანს. უბეში პორტმანე უძევს. მიხვრა-მოხვრა, სიარული და ლაპარაკი მძიმე აქვს. გარეგან შეხედულობით პატიოსან კაცად მოჩანს.

**ეფემია.** 30 წლის, ლამაზი და მშვენიერის აგებულების მანდილოსანია, ქერა თმიანი. ევროპიულის მოდით ბრწყინვალე ცის-ფერი ტანთ-საცმელი აცვია; ქართულად თავ-დახურულია (ლეჩაქი, ოქრომკედის თავსაკრავი და სხვანი.); მორთულია ოქროს საათით, გრძელის მეწკვით და სხვა და სხვა თვალ-მარგალიტით. ყელზედა აქვს წითელი ბანტი. ლაპარაკი, მიხვრა-მოხვრა და სიარული მსწრაფლი და ფიცხი. ძალიან იბრიცება.

**პეპო.** 35 წლისაა, მოშავო და ლამაზის სახისა, მაღალი ტანისა, მაგარის აგებულებისა, მხარ-ბეჭიანია; შავი მოკლე თმა აქვს შუბლზე წინ გადმოტანილი, მოკლე კიკინები, გაწვდილი წარბები და სუფთა ულვაშები. პირ-მოპარსულია.—ორი ხელი ტანისამოსი აქვს ნამდვილის ტფილისის ლოთისა: ერთი საშინაო და მეორე საგარეო. —საშინაო: ჩითის ან პირკალის პერანგი, მუქი ლურჯი დოშლუღი (გულის-პირი), გარშემო შავ ყაითან მოვლებული, შავი ნაშურის ახალუხი, ლეკური შავი შალის ჩოხა მოურთავი, იმ ნაირივე შალის განიერი შალვარი, რომელსაც ტოტები შიგნიდამ აქვს ჩამაგრებული საცვეთების წვივ-საკრავებში, შავი ყაფაღიანი წაღები, ვიწრო ვერცხლის

ქამარი, ბატკნის ტყავის წითელი მაღალი ქუდი, რომლის წვერი ცოტათი ჩაკეცილია, და წითელი ბამბის ხელ-მანდილი.—საგარეო ტანისამოსი: აბრეშუმის წითელი დოშლუღი და შავი ახალუხი, ორივე ოქრო მკედის წვრილი ყაითნით გარს შემოვლებული, თივთიკის ყვითელი ჩოხა, შავის განიერი ჩაფარიშით მორთული, იმავე ნაჭრის განიერი შალვარი, რომლის ტოტები ისევე აქვს გამაგრებული, როგორც სამინაო შალვარს, თეთრი ყაფაღიანი წაღები, მწვანე ყაითანით შემოვლებული, შავი ბუხრის ქუდი, წვერ ჩაკეცილი, იმერული აბრეშუმის სარტყელი და ლურჯი ბამბის ხელ-მანდილი. სიარული მტკიცე, ხმა ტკბილი და შთამბეჭდავი, მიხვრა-მოხვრა და ლაპარაკი ნამდვილი სახალხო.

**შუშან.** ქვრივი დედა-კაცი, 50 წლისა, შუა ტანისა და მიმზიდველი სახისა. ქართული უბრალო ტანისამოსი აცვია: შავი მდაბალი ტერნოს ან ალპაკის გულ-შეკრული კაბა, თავი დაბლა დახურული (შავი თავ-საკრავი, თეთრი სქელი ლეჩაქი და შავი თავ-მოსახვევი.) და უბრალო შავი წამოსასხმელი შალი. სხვაგან წასვლის დროს ხმარობს თეთრ ჩადრს.

**კეკე.** 18 წლისა, შუა ტანისა, ნორჩი მიმზიდავის სახისა, შავის გრძელის თმებით; ქართული უბრალო ტანთ-საცმელი აცვია: თავ-საკრავი, ლეჩაქი, ჩითის კაბა და სხვ. ხმა ტკბილი და მოძრაობა დაკრძალული.

**გიქო.** 65 წლისა, შუა ტანისა, ცოტათი წელში მოხრილი, თეთრი თმა-ულვაშებიანი და პირ-მოპარსული. ქართული ტანისამოსი აცვია: თეთრი პერანგი, გულის-პირი, შავ ყაითან შემოვლებული, თეთრი ყალამქრის ან მუქი ლურჯი ნაშურის ახალუხი, შავი მაუდის კაბა, შავი განიერი შალვარი, ხარაზის შავი წაღები, დაბალ ქუსლიანი, შავი ბუხრის ქუდი და უბრალო შალის ან ლურჯი ყანაოზის სარტყელი; ხმარობს ჯოხს და ლურჯს ჩითის ხელ-მანდილს. ბურნუთს ეწევა. სიარული, მისვრა-მოხვრა და ლაპარაკი მეტის-მეტი მძიმე.

**კაკული.** 25 წლისა, პეპოზე ცოტა რამ დაბალ ტანისა; პირი-

სახე აქვს წითელი და ლამაზი, შავი თმა წინ შუბლზე მოტანილი, დაგრეხილი გრძელი კიკინები, წმინდა გაწოდილი წარბები, კოკობი ულვაშები და თხელი შავი წვერი. ტფილისის ნამდვილის ფაყარნისა ანუ კინტოს ძვირ-ფასი ტანთ-საცმელი აცვია: ლურჯი ტყავის დიდი ქუდი, იმნაირი ბაქოელები რომ ხმარობენ, წითელი აბრეშუმის პერანგი, დოშლუდ გაკეთებული, ლურჯი ან შავი ყანაოზის ახალუხი, ქობახი შავი შალის მოკლე ჩაქებიანი ჩოხა და იმავე შალის განიერი შალვარი, რომლის ტოტები საცვეთში ანუ პაჭიჭში ჩამაგრებული აქვს; დოშლული, ახალუხი და ჩოხა მდიდრათ მორთული აქვს განიერის ბუზმენტებით; ლეკური გრძელ ყელა ჩუსტები აცვია, წმინდა ოქრომკედ მოვლებული; ვერცხლის განიერი ქამარი არტყია; ბაღდადის ხელ-სახოცს ხმარობს. ხმა, მიხვრა-მოხვრა და ლაპარაკი გაუთლელი.

**გიგოლი.** 25 წლისა, ქართული, უბრალო ტანისამოსი აცვია: თეთრი ჩითის ახალუხი ღილებ-შეკრული, შავი მაუდის კაბა და იმავე მაუდის ანუ თეთრი პარუსინის შალვარი; ვიწრო ვერცხლის ქამარი არტყია; ხელში უჭირავს ფურაჟკა.

**სამსონ.** 18 წლისა, შავი მოგრძო თმა აქვს ევროპიულათ დავარცხნილი.—პირველათ აცვია ევროპიული თეთრი პერანგი, უბრალო ჩითის ახალუხი (გულ-ღია) და ფერადი ვიწრო შალვარი; ვიწრო ქამარი არტყია; შემდგომ კი—ჩერქეზული მდიდრად მოწყობილი ტანისამოსი: სოსანი ატლასის ახალუხი, ყელას ღილებ შეკრული, თეთრი მაუდის ჩერქესკა ვერცხლის მასრებით და იმავე მაუდის ვიწრო შალვარი წითელ მაუდ მოვლებული; მთელი ტანისამოსი შემკულია ოქრომკედის ბავთებით; ევროპიული ბრჭყვინვარე ჩექმები აცვია და ვერცხლის ძვირ-ფასი ქამარი არტყია ვერცხლით მოჭედილის ხანჯლით; მხარზედ აქვს გადაგდებული საპირის-წამლის ოქრომკედის საბმური. სულ თავ-მოხდილია.

**ორი სხვა მოსამხურე** ფრაკებით, თეთრის ხელთათმნებით და თავ-მიშველები არიან.

## მოქმედება პირველი.

---

სცენა წარმოადგენს ძველებურს ღარიბს ოთახს თაროებით, დოლაბებით, სანათურით და სამის კარებით: მარჯვნივ, მარცხნივ და შუაში. მარცხნივ *) დგას ტახტი ხალიჩით, მუთაქით და ლეიბით მოფენილი; მარჯვნივ უბრალო სტოლი. ოთახის ამავე მხარეს კუთხეში გაბმულია თოკი. დოლაბებში და თაროებზე აწყვია ძველებური სპილენძის, თიხის და ხის ჭურჭლეული. რამდენიმე უბრალო სკამი შეასრულებენ ოთახის მორთულობას. შუადღის ხანია.

---

### სანახავი პირველი.

შ უ შ ა ნ, ტახტზე მოკეცილი ზის და წინდასა ჰქსოვს, და კ ე კ ე, სტოლთან სკამზე ჩამომჯდარი აჩქარებული საკერავსა ჰკერავს.

შუშან. არ გესმის, ქალო?

კეკე. აი, ესეც გავათავო, დედავ.

შუშან. თავი დაანებე, ცოტა დაისვენე და მერე გაათავე.

კეკე. არ შეიძლება, დედავ, და; აგერ სადაა პატრონი მოვა.

შუშან. თვალიმც დაუდგება! ძალიან ბევრს იძლევა?

კეკე. საქმეც მაგაშია, დედავ, და... იმის მოსვლამდინ მზათ თუ არ

---

*) მარჯვნივ და მარცხნივ მთელს ამ მწერლობაში უნდა მიიღებოდეს მაყურებელთ მდგომარეობის მიხედვით.

მექნა, სრულს ფასს აღარ მოგვცემს; ხომ იცი რა უღმერთო არის.

**შუშან.** მაშ თვალებს ხომ არ ჩაიწყალებ... მთელი ღამე თითქმის არ დაგიძინია და ჯერ გათენება სად იყო რომ ისევ საქმეს მიუჯექ.

**კეკე.** რა ვქნათ, დედავ, საწყლის პური იაფად არ იშოება.

**შუშან.** გეყოფა, გეყოფა, შვილო! ჯანდაბას ჩვენი თავი, როგორც იქნება ვიცხოვრებთ.

**კეკე.** ამ წუთას, დედიჯან, აი, ღმერთმანი, ცოტაღა დამრჩენია.

**შუშან.** მთელი ღამე ღამის ჭკვიდამ შემშალეთ შენ ცალკე, შენის ძმის ფიქრმა ცალკე (სიჩუმე.)... ნეტა ის რაღა იქნა? კი არა დამართვიყოს რა?

**კეკე.** (შეშინებული.) რას ამბობ, დედი?... განა ამის მეტათ აღარ დარ-ჩენილა ღამით გარეთ.

**შუშან.** დღეს ძალიან დაიგვიანა, კეკე; კვლავ დილაობით მოსულა ხოლმე, ეხლა კი აგერ შუადღის ხანია!

**კეკე.** რა უშავს, დედიჯან, იქნება ბაზარში საქმე გამოუჩნდა რამე.

**შუშან.** (ოხვრით.) ინებოს ღმერთმა, აგრე იყოს, შვილო... გული მიმდის და მომდის... ვინ იცის, იქნება წყალი გადიდდა, იქნება რამეს გამოეკიდა და თითონაც თან გადაჰყვა.

**კეკე.** ეჰ, რაებს ამბობ, დედავ?..

**შუშან.** იმასაც რომ დაემართოს რამე, სწორეთ წყალში გადასაყრელნი გავხდებით.

**კეკე.** ღმერთმანი, უბრალოთა სწუხდები, დედიჯან! უმაწვილი ხომ არ არის... გულსაც უბრალოთ მიბრუნებ.

**შუშან.** ამისთანა სიცოცხლეც იქნება?!... ღმერთმა გიყოს შენ სამარ-თალი, არუთინ!.. (გარედამ ფეხის ხმა ისმის.)

**კეკე.** (მხიარულათ.) აი, დედავ, აგერ.

**შუშან.** (ყურის გდებით.) ის არის? (თავს იქნევს.) არა!

## სანახავი ბ.

### იგინივე და გიქო.

გიქო. (შემოდის შუა კარიდამ ქუდ-დახურული და ხელში ჯოხი უჭირავს.) დილა კარგა ყოფნისა.

შუშან. (დაღონებული.) ღმერთმა კარგათ გამყოფოს, გიქო!... მობძანდით.

კეკე. (ფეხზე წამოუდგება, თავს დაუკრავს და შემდეგ ცალკე.) თვალი სწორეთ შენ გზაზედ მეჭირა!.. (ხელ-ახლა საკერავს მიუჯდება.)

გიქო. (ჯდება სკამზე შუშანას მახლობლათ.) როგორა ხართ, როგორ მშვიდობით გიკითხოთ?

შუშან. მადლობა უფალსა!.. ვართ.

გიქო. ეჰ!.. მადლობა უფალსა!.. სად არის ეს პეპო? ჯერ არ მოსულა?

შუშან. (შეშინებული.) ჰა? ამბავი იცი რამე?

გიქო. ჰო... სათქმელი მაქვს რამე.

შუშან. (მუხლზედ იცემს.) ვუი, დამიდგეს თვალები, რა ამბავია?

გიქო. (სწორდება.) რა ამბავი?

შუშან. ჰო...

გიქო. კარგი ამბავი არ არის, შუშან...

შუშან. (უმეტესად შეშინებული.) რა არის?... დამხჩვალა? (კეკე საკერავს თავს ანებებს და შეშინებული შეჰსცქერის.)

გიქო. (გაკვირვებით.) ვინ დამხჩვალა?... რას ამბობთ?..

შუშან. პეპო; მაშ არ დამხჩვალა?...

გიქო. (პირჯვარს იწერს.) ღმერთო შემიწყალე!.. ეგ მე არ მესმის, რას ამბობთ...

შუშან. იმას, რომ წუხელის შუაღამისას ბადე აიღო, წავიდა და ჯერაც არ მოსულა.

**გიქო.** ვა! დალოცვილო, შემეშინდა.... იმას რა დახრჩობის შიში აქვს?... ის რა მტკვარი უნდა იყოს, რომ იმას მოერიოს?..

**შუშან.** მაშ, რა ამბავს ამბობდი?...

**გიქო.** რა ამბავს?!..

**შუშანა.** ჰო... მალე თქვი, თუ ღმერთი გწამს!..

**გიქო.** მოიცა და!... ცოტა მოთმინება გქონდეს, შე მამა-ცხონებულო... ღმერთს ბევრი რამ დაუწერია ადამიანის შუბლზედ: ზოგჯერ სიხარული, ზოგჯერ მწუხარება... (ჯიბიდგან ბურნუთის კოლოფს იღებს.)

**კეკე.** (ცალკე.) სანამ იტყვის მე ჩემი დამემართება...

**შუშან.** ჩვენთვის ხომ ღმერთს მწუხარების მეტი სხვა არა მოუცია რა...

**გიქო.** რასა იქ შუშან!.. ღვთის ხელშია: სიხარულიც, (ამთქნარებს.) მწუხარებაც... (კიდევ ამთქნარებს და ბურნუთსა სწევს.) ჰმ... ეე...როგორც ღმერთი ინებებს, ისე იქნება კაცის საქმე.

**შუშან.** მისი ნება აღსრულდეს... რა ვქნათ.

**გიქო.** აგრე, აგრე, შუშან!... ახარ, დღეს დილას უხეირო საქმე გავიგე... აღარ მოვისვენე, სანამ არ წავედი და თქვენს სიძეს პირ და-პირ არ ველაპარაკე. (კეკეს.) ბევრი მოკითხვა შამოგითვალა, აი, კეკე. (კეკე მსუბუქათ თავს უკრავს, მორიდებით თვალებს იწმენდს და განაგრძობს კერვას.) შენი ნახვა ძალიან მომწყურდაო. (ბურნუთს ეწევა.) ჰმ...ეე...

**შუშან.** ხომ დამადნე და დამაჭლერჭე, გიქო; ერთი თქვი და მორჩი, რაღა!...

**გიქო.** ახლავ, ახლავ, შუშან; (ბურნუთს ეწევა.) ჰმ... ჰმ... ვიშ!.. ღმერთს რომ კაცი გაუჩენია, მოთმინებაც თან მიუცია...

**შუშან.** (ცალკე.) თვალიმც დაგიდგება.

**გიქო.** (კიდევ ბურნუთს ეწევა.) ჰმ... იმას ვამბობდი რომ... (უნდა რომ ცხვირი დააცემინოს.) რომ... რომ... რომ... (ცხვირს აცემინებს.) ცხი! (კიდევ უნდა ცხვირი დააცემინოს.) ა... ა... ა... (ცხვირს

აცემინებს.) ცხი... ოჰ, ჰო, ჰო, ჰო! რა ბურნუთია?! ხეირი მოვიდა, აი!

შუშან. ღვთის წყალობა!

გიქო. შვილები... (ემზადება ცხვირის დაცემინებას.) გი... გი... გი... გიცოცხლოს!... (ცხვირს აცემინებს.) ცხი!...

შუშან. (ცალკე.) ღვთის რისხვა, თუ გაათავო!...

გიქო. ეს ხეირი და ნახევარი. (კიდევ ემზადება ცხვირის დაცემინებას.) ესეც, ესეც, (აცემინებს.) ცხი!... ესეც წყვილი ხეირი!.. იქნება ბოლო ხეირი იყოს.

შუშან. შენგნით ვერც ხეირი გავიგეთ ჯერა და ვერც შარი.

გიქო. ხეირიც და შარიც ღვთის ხელშია, შუშან. (კოლოფს ჯიბეში იდებს.) ოჰ! ძალიან ცხარე ბურნუთი ყოფილა, ეს წყეული... ათასში ერთხელ არ დამემართება ხოლმე, რომ ბურნუთისაგან ცხვირს დამაცემინოს; მაგრამ, ეტყობა, ჩემი გუნების ბურნუთი არ მოუციათ... გაყალბდა, შუშან, ქვეყანა, რას იზამ?! (ისევ ბურნუთის კოლოფს იღებს ჯიბიდგან და ხდის თავს.) ხომ არა ურევია რა შიგ? (შინჯავს.) არა... არაფერი ჩანს... აბა, შუშან, იქნება შენი თვალი უკეთა სჭრიდეს?...

შუშან. (ცალკე.) თვალიმც გამოგხეთქია!..

ბაბე. (ცალკე.) რისხვაა?

გიქო. ერთი ნახე და, თუ ღმერთი გწამს!..

შუშან. (ცალკე.) ჭირია?... (ართმევს კოლოფს და შინჯავს.) კარგი ბურნუთი ჩანს... მაგრამ ერთი თქვი, თუ გამჩენი გწამს, რა ამბავი მოგიტანია? სულები ხომ ამოგვართვი! (კოლოფს სდებს გიქოსთან.)

გიქო. რა დაგემართა, დედა-კაცო, რა ძალიან ჩქარობ?... მოვიცადოთ, ეგება პეპომაც მოგვისწროს, იმისი საქმე უფროა. (ცხვირს იწმენდს ხელ-სახოცით ხან-გრძლივ.)

ბაბე. (ცალკე.) სადილიც აქა ჰსურს რომ მიირთოს... ჩვენ ხომ ძალიან ბევრი გვაბადია... ესღა გვაკლდა!...

შუშან. (ცალკე.) შავი ჭირი გაგიჩნდეს მაგ ცხვირში! (გიქოს.) კაცო, ერთი სიტყვა მაინცა სთქვი.

გიქო. იცი რა არის შუშან, (ხმა-დაბლა.) ერთს წამს შენი ქალი გარეთ გაისტუმრე მაინცა და....

შუშან. (ხმა-დაბლა.) ის თავის საქმეზედ არის, რას გაიგებს, დაბლა მითხარი.

გიქო. რომ გაიგოს კარგი არ არის და, შუშან... არ იცი თუ ჩიკარი რეებს ამბობს ამაზედა.

შუშან. ჩიკარი ვიღაა, ქა? ისიც ურევია ამ საქმეში?...

გიქო. (სიცილით.) ხა, ხა, ხა, ხა! (სიცილი გადაექცევა ხველათ.) უჰუ, ჰუ, ჰუ, ჰუ!

შუშან. (ცალკე.) აი, ჩროზა, თუ სთქვა და გაათავო.

გიქო. (ხველით.) ჩიკარი... უჰუ, ჰუ, ჰუ, ჰუ!... მეცნიერი... უჰუ, ჰუ, ჰუ, ჰუ!... (ჰეპო კულისს უკან მღერის:

„შარაბი შამ შუდა ასთ,
შუბჰი ნადარად;")

ჰეპე. (წინ მირბის მხიარულათ.) აი, ჰეპო!

## სანახავი გ.

### იგინივე და ჰეპო.

ჰეპო. (სიმღერის განგრძობით შემოდის შუა კარებიდან ქუდ დახურული, საშინაო შავი ტანისამოსით, დამკლავებული, ბადე მხარზე გადაგდებული და წინ სარტყელზე წითელი ხელ-სახოცი ჰკიდია ცოცხალი თევზებით სავსე.)

„არაყი ქიშმიშ ასთ,
ბარდარ ფიალა!..
გიალ აილაშ." *)

*) ღვინო შამისა ყოფილა,

კეკე. თვალები ხომ გაგვიწყალე, პეპო!

შუშან. რათ იცი, ბიჭო, წასვალ და დაიკარგები!..

პეპო. (მხიარულათ.) ვა! ესე რომ არ ჩავიდინო, ღმერთი ხომ მანანას არ გვიგზავნის!.. ოჰ, გიქო!... კარგ დროს მოსულხარ: ისეთი მურწები გაჭამო ამ წუთაში, რომ გიამოს; მაგრამ, თუ ცხვირიდამ ზედ ბურნუთი დაგიწვეთებია, ერთს ლუკმას აღარ გაჭმევ, ჰაა! (ამოიღებს ერთ დიდ თევზსა.) აბა!... (თევზის კუდს უწკაპუნებს ლოყაზედ გიქოს.) ოჰ, შენი კი ჭირიმე!.. ერთი შეხედე და!...

გიქო. უბა, უბა, ბიჭო!... (კეკე იცინის.)

შუშან. (ღიმილით.) ერთი მოიცა, ბიჭო, რა დროს ხუმრობაა... საქმეზედ ლაპარაკობდა.

პეპო. (ხელ-სახოცს იხსნის და ჩაცინებით.) საქმეზედ ლაპარაკობდა!.. ვინ იცის სიტყვას-სიტყვაზედ სეტყვასავით დააყაროს!... (გიქოს მარცხენა მკლავზედ ხელს წაავლებს და მაგრათ გააქანებს.) როგორა ხარ, როგორ, გიქო?!..

გიქო. მკლავი, მკლავი, ბიჭო, რკინაა შენი მაჯა?!.

პეპო. (სიცილით.) მაშ არა და შენსავით თვითისა მექნება.... (ხელ-სახოცით თევზებს აძლევს კეკეს.) აბა კეკე, ერთი ეს წაიღე წყალში ჩაყარე და ცეცხლიც გააჩინე. (ხმა-დაბლა.) შუშა ხომ გვაქვს?

კეკე. (მხიარულათ და ხმა-დაბლა.) ოროოდე ასანთები კიდევ არის. (ხელ-სახოცს ართმევს.) გამოვსწლა კიდევ?..

პეპო. არა, არა, არა! კაკულა შემეხვეწა, მომიცადეთო; ძალიან უყვარს თევზის გამოწვლა. (შინჯავს თევზებს კეკეს ხელში.) ერთი შეხედე ამ შეჩვენებულს, სად შეკუნჭულა და!.. წაიღე, წაიღე,

---

ეჭვი არ არის;
წვენი ქიშმიშისაა,
აიღე ფიალს!...
მოდი დაბმანდი.

მაგათი სულის ჭირიმე!.. ესეც რომ უფულოთ არ იშოებოდეს ვინ გვაღირსებდა? (უბეზე ხელს იცემს და ბებეს ხმა-დაბლა.) ფულიცა მაქვს, ბებე, აი; ნუ გეშინიან, ხუთი მანეთისა გავყიდე.

**ბებე.** კიდეც იმიტომ დაგვიანდი?

**პეპო.** ვა!.. მაშ!.. ერთი ამაღამაც წავიდე... ღმერთს თვალი დაუტკბია ჩემზედ!..

**ბებე.** ახ, პეპო-ჯან! ნეტა რამტენი უნდა იწვალო ჩვენთვის?... (გადის მარცხენა კარებიდან, თან გააქვს თევზები და საკერავი.)

## სანახავი დ.

### იგინივე, ბებეს გარდა.

**ქეპო.** სხვა, გიქო,—თქვი და... ფული სჯობია თუ ჯანი?

**გიქო.** ორივე ერთათ კარგია, პეპან, თუ ღმერთი მისცემს...

**პეპო.** კაცო, ამთენი ხანია სცხოვრობ ქვეყანაში და არ იცი, რომ ფულს ღმერთი არ ურიგებს!.. დეე, ღმერთმა მარტო ჯანი მისცეს კაცს,—ფულია და ფული. (ბადეს ჰშლის.) ფულით მიყიდნია ესა? (გულზე ხელს იცემს.) აი, მთელი იყოს!... (დახრილი შინჯავს ბადეს.) ოჰ, ჰო, ჰო, ჰო!.. რა ბადეა! იმდენი ვესროლე და ისევ მთელია!.. პეტრეს მორევისთანა არ იქნება!.. ვესროდი თუ არა: ზმ, ზმ!!.. გამოსდევდნენ ლოთები, ფართხალით!... ხალხს რომ ჭკუა ჰქონდეს, ამის მეტი ხელობა არ ექნებოდა... ი რომ ისვრი და მანამ გამოსწევ, გულს ტაკი-ტუკი გააქვს... ასე გეგონება სიცოცხლე და სიკვდილი ბეწვზედ ჰკიდიაო!.. მერე თუ ბნელი ღამეც არის, ასე გგონია, ვარსკვლავები გეჭიკჭიკებიანო!.. და თუ ნათელი ღამეა, იტყვი მთვარე, თითქო თავზე, ფარვანასავით მადგიაო, ლოთი!... ეშხშიაც რომ შედიხარ და ფეხებიც გისველდება და ერთბაშათ ისვრი... ოჰ, შენი კი ჭირიმე!.. (ეს-

ვრის გიქოს, რომელიც ბადეს ქვეშ მოჰყვება.) ოჰ, ჰო, ჰო, ჰო, გიქო, რა თევზი ხარ! — საარყე ქვაბი კი მოგინდება. (იცინის.)

**შუშან.** (იცინის.) ბიჭო! რა დროს ეგენია?!!

**გიქო.** (გადიძრობს ბადეს.) ბიჭო, შამაშინე! ეს როგორი ხუმრობაა.

**პეპო.** (ბადეს ჰკრეფავს.) მაშ სულ ხომ არ ვიტირებ, გული რომ დარდს მივანებო, მწუხრივით გამისკდება.

**გიქო.** არა, მაინც ცოტა მოუსვენარი ხარ!

**პეპო.** (ბადეს თოკზედ გადაჰფენს.) მაშ არა და შენსავით უმი ხაშლამა ვიქნები, რომ ცხვირიდგან ბურნუთის წუნწკლები მდიოდეს და სანამ რასმეს ვიტყოდე, სიტყვებს აქლემის ღოხმასავით პირში ვღეჭავდე. (იცინის.) ხა, ხა, ხა, ხა!...

**გიქო.** ჰეი — გიდი, პეპან!

**შუშან.** ბიჭო, რა დროს ეგენია! ერთი ყური დაუგდე და! გული გადამიბრუნდა; რაღაც ცუდი ამბავი გაუგია ჩვენი სიძის გამო...

**პეპო.** (შეშინებული.) რა ცუდი ამბავი?

**გიქო.** ერთი დაჯექ, პეპან, შენს გარდას.

**პეპო.** ესეც კარგათა ვარ... თქვი.

**გიქო.** არა, რომ დაჯდე, უფრო კარგი იქნება.

**პეპო.** (შეწუხებით.) ღმერთო შემიწყალე!.. (მიათრევს ერთ სკამს, დაჯდება გიქოს მარცხნივ.) ჰა, ესეც დავჯექი!

**გიქო.** მოიცადე და... სიცხარით საქმე არ გაკეთდება, კაცო!... უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ უშველოთ საქმეს. (ბურნუთის კოლოფს ეძებს.) რა იქნა, ბიჭო, აქ იყო?

**პეპო.** (პოულობს კოლოფს და აძლევს.) ჰა, დაიჭი! სანამ არ მოსწიო ხომ არ შეგიძლიან ილაპარაკო!..

**გიქო.** (ბურნუთსა სწევს.) აი, ძმაო! დღეს დილას, ერთი რაღაც ცუდი ხმა გავიგე... (ბურნუთსა სწევს.) ჰმ... მითომ თქვენი სიძისათვის სხვა ქალი აუჩენიათ...

**შუშან.** უი, დამიდგა თვალები!

**პეპო.** (შეშინებული.) ეი!!!

გიქო. მაშ!... ვითომ ძალიან კარგი ქალიაო და ფული და მზითევიც თქვენ დაპირებულზედ უფრო მეტიო. (ბურნუთს სწევს.) ჰმ...

პეპო. (გამოაჯავრებს.) ჰმ... ჰმ!... კაცო, მოსწი და მორჩი, რაღა!.. (ბურნუთის კოლოფს გიქოს უცლის ხელის გულზედ, რომელსაც ცხვირ-წინ მიუტანს.) ჰა, გამეხი!...

გიქო. ვა, ვა, ბურნუთი!.. რა გიჟი მოზვერი ხარ, ბიჭო!! (ბურნუთს სცლის კოლოფში.)

პეპო. ჩემმა მზემ, გიქო, ცოცხალი არ გადამირჩები, თუ ახლავე სულ ერთიანათ არ გვიამბე!

გიქო. ბიჭო, რომ არ მაცლი!

შუშან. (პეპოს.) შენ უფრო გამოაშტერე, ქა!

პეპო. აბა მალე!..

გიქო. ჰო, იმას ვამბობდი... (ავიწყდება.) რას ვამბობდი? დამავიწყდა...

პეპო. (ცალკე.) აი, ზაჰრუმალ!..

გიქო. (განაგრძობს.) ჰო... იმას ვამბობდი, რომ დილას ისეთი რამ შევიტყე მეთქი...

პეპო. უჰ! შენ გაცობასაც რა უთხრა!.. კაცო, ეგ ხო სთქვი!.. მერე?

გიქო. აი, მერე, წაველ პირ-და-პირ თქვენ სიძესთან, ვნახე შინ არ იყო; იქიდგან წაველ იმის დუქანში, ერთიც ვნახო, ის მოსტაცე და გაიქე ნათელა იმას ეჩურჩულება; იმ წუთასვე ნეკზედ ვიკბინე, (ნეკს იდებს პირში.) ვსთქვი: საქმე საქმეს ჩამოჰგავს მეთქი... ცოტა მოვიცადე, ის ეშმაკის კერძი რომ მოშორდა, მიველ ახლო და მძიმეთ და დაწვრილებით დაუწყე ლაპარაკი იმ ჩვენს ბატონსა.

პეპო. (მოუთმენლად.) მერე, რა გითხრა?

გიქო. აი, ეხლავ, რიგზედ მოვზდევ რაღა...

პეპო. (წამოიწევს და მუშტს მოუღერებს.) უჰ, გიქო! მოვიდა ღმერთმანი...

გიქო. (მჯდომარე უკან იწევს.) ბიჭო, ნუ მიშლი, და!..

შუშან. (მთელს ამ ლაპარაკის დროს მოუთმენლად მუხლებზე ხელს ისოვს.) ვა, რა დაგემართა, პეპო!

გიქო. ჯერ ური მოიყრუა; მაგრამ ბოლოს კი გამიტყდა და რაც გამეგონა, მართალი გამოდგა... კინაღამ ენა მუცელში ჩამივარდა, დღევანდელი უკვდავის წირვის მადლმა...

შუშან. უი, დედა-მიწა გასქდეს და თან ჩაიტანოს, ნუღარვე!

პეპო. (გაჯავრებით.) ვა, გაგიჟებულხარ, თუ ხუმრობ?

გიქო. სული არ წამიწყდება.

პეპო. კაცო, მერე, იმან რა გითხრა?

გიქო. იმანაც ის მითხრა, რომ მე თქვენი კეკე ძალიან მინდაო; მაგრამ საქმე რომ არ თავსდებაო, მე რა ვქნაო?

შუშან. (ორივე ხელებს მუხლებში იცემს.) უყურე იმ უნამუსოს, და!

პეპო. (გაჯავრებით.) როგორ თუ თავს არ მოდისო?

გიქო. ისე, რაღა!... ამბობს რატომ, რაც დამპირდითო, არ მაძლევთო? (ამოიოხრებს.) ეჰ, ღმერთო!

პეპო. როგორ თუ არ ვაძლევთ?.. კაცო, განა თითონ იმან არ იცის საქმე როგორ არი?...

გიქო. მე როდემდის უნდა მოვიცადოვო?

შუშან. რათ იცდის? ვინ ეუბნება იმას, რომ მოიცადოს? დეე ჯვარი დაიწეროს, რაც დავპირებივართ, იქ არ არის? როდესაც გამოვა, იმისია და იმისი! ღმერთმა მოგცეს პასუხი, არუთინ!

გიქო. ისიც მაგას ამობს, შუშან, და... მე ქალი მითხოვნიაო, დავიდარაბას ხომ არ ვუიდულობო. (თავს იქნევს.)

პეპო. კაცო, მაგაზედ ხომ ასჯერ გვილაპარაკნია; ეხლა ხელ-ახლა იწყობს?...

გიქო. საქმეც იმაშია, პეპოჯან, რომ ის იძახის: მაგ საქმეს ხანი უნდაო და მე ვეღარ მოვითმენო, ცოლის თხოვნა ძალიან გულით მინდაო. (თავისთვის ლაღადებს.) შეგცოდე, ღმერთო, შეგცოდე! ეს სულ ჩემი ცოდვის კითხვაა!

შუშან. ერთის სიტყვით სთქვი, გიქო, რომ კეკეს უშვებს, რაღა!...

პეპო. და საქმეც იშლება!...

გიქო. თუ ამ წუთშივე ფული არ ვიშოვეთ, მოშლილია და მოშლილი...

პეპო. წმინდათ!

გიქო. წმინდათ, წმინდათ.

პეპო. (გახარებული წამოდგება და ტაში ტაშს შემოჰკრავს.) ვაი, შენს ბიჭსა! (მიუბრუნდება გიქოს და ხელ-მიშვერით.) კაცო, მერე შენ რა უთხარ?

გიქო. (უკან დაიწევს და წამოდგება.) შენ მე მითხარ, რაღა უნდა მეთქვა?

პეპო. (წინ წაიწევს.) კაცო, მაშ ვერ ჩაავგონე, რომ ჩვენ არ ვატყუებთ?...

გიქო. (უკან იწევს.) ვა, მაშ არ ჩავაგონებდი?!

პეპო. (კიდევ წინ წადგება.) მერე?

გიქო. (კიდევ უკან იწევს.) მერე, ისევ ისა სთქვა, რაღა, ვა!..

პეპო. (უფრო წინ იწევს.) და შენც დაეთანხმე!..

გიქო. (უკან იწევს.) ვაა!!!

პეპო. (წინ წაიწევს.) მერე რა ჭკუა მოიხმარე, რა?!

გიქო. (სცენის მარჯვენა მხარეს მეტი წასასვლელი ადგილი აღარ დაურჩება.) ვა!!! შე მამა-ცხონებულო, მე რა ვქნა, თუ კი ის კაცი ისე ამბობს?

პეპო. კაცო, შენ რა უთხარ, შენ?

შუშან. პეპან, გაგიჟებულხარ, თუ რა ამბავია? აბა მაგ ნაირი ლაპარაკი იქნება?..

გიქო. ბიჭო, მეც ის უთხარ, რაც იცი რაღა. უთხარ: ან მოიცა, სანამ აღა არუთინა ფულს მოგვცემდეს მეთქი და მაშინ დაიწერე ჯვარი მეთქი, ან არა და ეხლავ დაიწერე ჯვარი და აღა არუთინას ფული შენ გამაართვი მეთქი.

პეპო. მერე?

გიქო. მერე ისა, რომ იმან გადაჭრილი მითხრა, თუ მე დავი-დარაბის თავი არა მაქვსო; გინდათ ფული დღესვე მომიტანეთო და

მე ამაღამვე ჯვარს დავიწერო; მე ჩემის სიტყვიდგან უკან არ ვდგებიო.

პეპო. კაცო, მაშ მაგას იკვეხდი, რომ ჭკვიანი კაცი ვარო?.. მაგას იძახდი: სიკარ მეცნიერის წიგნი თავიდამ ბოლომდინ სულ წამიკითხამსო?... ეგ ყოფილა შენი შნო?

გიქო. ახარ!... (ახველებს.) უჰ, ჰუ! მე რა ბრალი მაქვს?.. (ხველა ემატება.) უხ, უხ, უხ!...

პეპო. აი, ზახრუმალი და დიდი ჭირი!..

შუშან. პეპო, პეპო! გაგიჟებულხარ?

პეპო. (მოშორდება გიქოს.) არა, მე უნდა ესლავ წავიდე და ერთი ველაპარაკო, ვნახო თავს როგორ ანებებს!

შუშან. (წამოდგება.) არა, შენ მოიცა ჯერ, პეპო! მე წავიდე, ის აპწკა გაწყვეტილი ნათელა ვნახო. (გაჩქარებით ლეიბის ქვეშიდან ჩადრს გამოიღებს და მიდის შუა კარებამდინ.) გიქო, ერთ წამს თან გამამყევი, თუ ღმერთი გწამს, ამ ქუჩას გამაცილე. (გავა იმ კარებიდან.)

გიქო. (მიზდევს შუშანას და ხველისაგან ხმა წასული პეპოს.) შენთან საქმის დაჭერა დავიდარაბაა სწორეთ!... (შუშანას გაჰყვება.)

პეპო. (მისძახის.) შენი კაცობის მთქმელსაც რა უთხრა!..

## სანახავი ე.

პეპო. (მარტო, ცოტა სიჩუმის შემდგომ.) სხვა ქალს ითხოვ?.. მაშ პეპო მოკვდა, რაღა!.. ვნახოთ როგორა თხოულობ!... (სიჩუმე.) არა, პეპო, შენ ჰალალი ბიჭი ხარ, ალალობა გიყვარს, შენ საქმეშიაც ალალი იყავი... რითია მტყუანი შენთან შენი სიძე?.. დაჰპირებიხარ? უნდა აასრულო შენი სიტყვა... თუ თავზედ ქუდი გხურავს, უნდა მისცე... თუნდა ტყავიც გაგძვრეს, თუნდა სულიც ამოგივიდეს, უნდა მისცე... მაგრამ სად ვიშოვო ის ოხერი ფული?.. ვინ მამაშავებს მე იმტელსა? (კედლებისაგან

მიისედ-მოისედავს.) ვინ რას მამცემს ამეებში? სულ ერთიან რომ დავაგირავო, სულ ერთიან რომ გავყიდო, სახლი, კარი, ტანისამოსი, რას მამცემენ?.. ნახევრის ნახევარსაც ვერ აადგენს... ეს იყო ბოლო, რაღა?. ეს გინდოდა, რაღა, არუთინ? ამისთვის მაწვალებდი აქამდინ, რაღა?.. ქვეყანაში უნდა შევრცხვე, რაღა?!.. ჩემს ამხანაგებს როგორღა შევხედო პირზე?—რას იტყვიან?... (ქუდს მოისდის და დაახლის მიწაზედ.) ფუ, შენს ნამუსსა!...

## სანახავი ვ.

### იგივე და ბებე.

**ბებე.** (გაშფოთებული შემოდის მარცხენა კარებიდან.) ეს რა ამბავია, პეპო?!

**პეპო.** (ქუდს იღებს.) არაფერი, რა ამბავი უნდა იყოს.

**ბებე.** რას მიმალავ!.. (მწუხარეთ.) მე გავიგე, ყველაფერი გავიგე, პეპო!..

**პეპო.** რა გაიგე, ბებე?—რა გატირებს?...

**ბებე.** გავიგე, პეპო-ჯან, გავიგე... ეხლა დედა და გიქო, რომ მიდიოდნენ... იმათი ლაპარაკი გავიგე... თავს მანებებენ...

**პეპო.** მოიცა, მოიცა, ბებე; ჯერ კიდევ ღმერთი მოწყალეა.

**ბებე.** ღმერთი დიდი ხანია გასწყრომია ჩემს თავს, რაღა მოწყალეა!.. ხალხში მე მაკოცოს, ყველამ მომილოცოს, მერე მე თავი დამანებოს, წავიდეს და სხვა შეირთოს... ამისათვის გამაჩინა მე ღმერთმა? მითომ უბრალო მზვარი ვიყავი... ქუჩაში გადამაგდეს... მითომ ქუჩის ტალახი ვარ... დეე, ფეხ-ქვეშ გამსრისონ...ვაი ჩემს ნამუსსა!... (ტირის.)

**პეპო.** არა, ჯერ უბრალოთა სტირი, ბებე, და!

**ბებე.** (განაგრძობს ტირილს.) რატო დედა-მიწა არ ჩამიტანს ეხლავ?

ჩემ ტოლებს პირზე როგორღა შევხვდო?.. ქვეყნის სალაპარაკო უნდა გავხდე; ყველამ უნდა მასხარათ ამიგდოს... ყველა უნდა დამცინოდეს... (ტირის.)

პეპო. (ეხვევა.) გაგაჯან, გაგა!

გაგა. გაგას ყელზედ ქვა მოაბი, პეპოჯან, წაიყვა და მტკვარში გადააგდე... მე როგორღა უნდა ვიცოცხლო ქვეყანაზე?

პეპო. ერთს წამს გული მოიბრუნე და, გაგა! ფულის საქმე არ არის?.. სადა იქნება ვიშოვნით... თუ არუთინა არ მოგვცემს, სუყველას მივყიდ-მოვყიდი, წავალ ვიგლახავებ, თავს დავიგირავებ და შენ კი ეგრე არ გაგიშვებ.

გაგა. არა, არა, პეპო-ჯან, მე გავიგე რომ ეგ ფული დღესვე საჭირო და ასე უცებ ჩვენ ვინ რას მოგვცემს?... ვინ რას მოგვაშავებს?... შენი თავი უიმისოთაც ჩვენთვის გირაოა და გირაო... არ ყოფილიყო იმ ფულის ხსენება, ეს უბედურობაც არ დამემართებოდა... (ტირის. კულისიდამ მოისმის კაკულის ხმა: პეპო!) დედა-მიწა გასქდეს და თან ჩამიტანოს!.. (გარბის მარცხენა კარებიდან.)

პეპო. (მუხლზე ხელს დაირტყამს.) ვაი შენს პეპოს! (დაღონებული ჩამოჯდება ტახტზედ.)

## სანახავი ზ.

### პეპო და კაკული.

კაკული. (შემოდის შუა კარებიდან ქუდ-დახურული, ერთ ხელში ხელსახოცით ხორაგი უჭირავს და მეორე ხელში საღვინე.) ისეთი ღვინო მამიტანია, პეპო, ისეთი ღვინო, რომ დავი არა მაქვს!..

პეპო. (მწარეთ.) ვიქეიფებთ, რაღა!

კაკული. ვა, რა დაგმართვია?

პეპო. არაფერი.

**კაკული.** ვა! არა ხედავ?... მოხარშულსაც გიცნობ...

**ფეფო.** ეჰ, მასხარას, გეტყვი მერმე.

**კაკული.** ჰა, კიდევ ბიძიებმა მოგიარეს? მოშორდი, თუ ძმა ხარ.

**ფეფო.** მაცლიან კი, რომ მოვშორდე?

**კაკული.** მოდი ჯერ თითო სტაქანი გადავკრათ, ნახამ თუ ჯანდაბას არ გადიკარგებიან. უწინ მეც ძალიან მალ-მალ მომივლიდნენ ხოლმე, მაგრამ (საღვინეს ხელსა სცემს.) წამალი ვიპოვე: რქებს დაუნახავ თუ არა, შაბაშ!.. (მოიღუდებს საღვინეს, მერე შესძახებს ბაიათს.)

„აზიზმ ნაჩარ აღლამა,
გიუნ დრ გეჩარ აღლამა,
ბუ ყაფი თარს ბაღლიან"

**ფეფო.** (თავს იქნევს და ხმა-დაბლა მოთქმით.) „ბირ გიუნ აჩარ აღლამა." (წამოდგება.)

**კაკული.** (სიმღერის გაგრძელებით ათავებს ბაიათს.)

„ბირ გიუნ აჩარ აღლამა." *)

აბა (საღვინეს აძლევს ფეფოს.) ნახე თუ ხმალივით არ გასჭრას...

**ფეფო.** ეჰ!

**კაკული.** ზუსკუ! მე რომ ვხედამ ძრიელ დიდრონები გვწვევიან!.. ჰა, როგორ არიან? (ხელ-სახოცს და საღვინეს სტოლზედ დააწყობს და ხელებით რქებს ანიშნებს.) ამოდ ტელა რქები!.. ჰა, ჯერ ართურმა გაუმართავთ თუ არა?... გიცნობ და, რა შეილიცა ხარ!...

---

*) „საყვარელო, ნუ სტირი,
გულს ნუ იკლამ, ნუ სტირი,
ჩვენი ბედის შემკვრელი
ერთხელ ახსნის, ნუ სტირი."

პეპო. სუმრობის დრო არ არის, კაკული, თუ ღმერთი გწამს; ყელები გვეჭრება.

კაკული. ვა, რა ამბავია?

პეპო. რა ამბავიღა უნდა იყოს, თავს-ლაფი გვესხმება... ჩემს დას თავს ანებებენ.

კაკული. სიძე?

პეპო. მაშ, სხვა ვინ იქნება?

კაკული. ეეე?!

პეპო. ღმერთმანი!

კაკული. ვაი მე იმისი!.. მოდი წავიდეთ მივბეყოთ, პეპო... ერთი ალიყური ვკრა ემ საათში, რომ საპოვის ქუსლზედ სამჯერ ერთმანეთზედ შემოტრიალდეს!... აბა, მე შენ გეუბნებოდი, პეპო, და, რომ კუპეწი ჩვენი საქმე არ არი მეთქი.

პეპო. წასული საქმეა, კაკული, ეხლა რაღა ეშველება... საქმე იმაშია, რომ თუ რაც დავპირებივართ ემ წუთაში არ მივეცით, ამაღამვე სხვაზედ ინიშნება.

კაკული. გაათავეთ და მორჩით, რაღა!.. (ქამარს იხსნის.) თუ რამ დააკლდეს, ესეც ზედ დაუმატე; ერთ ხუთ თუმანს ხომ მი[illegible]ცემენ. (მარცხენა ხელით ქამარს აიშვერს.) გარდა ამისა, პეპოჯან, (მარჯვენა მუშტს დაანასვებს.) და ერთიც ამისა, სხვა არა მებადება რა!..

პეპო. მაგაებით არა გამოვა რა, კაკულიჯან; შენ კარგათ იცი, რომ ასი თუმანი დავპირებივართ და ის წყეული არუთინა კი სადღეხვალიოდ ჭსდის საქმეს.

კაკული. ოჴ, რა საქონელია! მე შენ გეუბნები, სანამ იმის მუცელზედაც დოლი არ დაუკრათ, არაფერი არა გამოვა რა!..

პეპო. ეჴ, კაკული, შენც ასე გგონია ყველაფერი მარტო მუშტის კრივით არის გაკეთებული.

კაკული. მაშ, რატომ არ იძლევა, თუ მართლა ჭმართებს?

**პეპო.** როგორ თუ მართლა მართებს?... მაშ ტყუილს გელაპარაკე-ბი?.. მაგრამ ის წყეული ბარათი რომ ვერ ვიპოვეთ, რა ვქნათ?

**კაკული.** რა ბარათი, ეგ არ გამიგია?

**პეპო.** ვა, მაშ არ მითქვამს შენთვის?

**კაკული.** არა.

**პეპო.** რომ ბარათი გვქონდა ჩვენ იმისი და ის ბარათი დაიკარგა!

**კაკული.** არა, პეპო, არა... ის კი გამიგია, რომ იმ ბაიყუშს ფული მართების მამი შენისა, მაგრამ ბარათი კი პირველი გაგონებაა... მერე როგორ დაიკარგა, ბიჭო?

**პეპო.** ღმერთმა ნუ იცის ჩვენი თავი.

**კაკული.** თუ ძმა ხარ.

**პეპო.** ვთქვა, არა ვთქვა, კაკულიჯან, რაღა ეშველება...

**კაკული.** თუ ლოთი სარ, ბიჭო!!!

**პეპო.** აი როგორ იყო, ძმაო: მამა ჩემს ფული ჰქონია, არუთინასა-თვის მიუცია სასარგებლოთ; კარგათ კი გასარგებლეთ; ბარათი გამოურთმევია და შეუნახამს... სანამ მამა ჩემი ცოცხალი იყო, თუ გინდა ოცჯერაც მინახამს ის წყეული ბარათი... და სწო-რეთ სიკვდილის ერთი კვირის წინათაც ხელში ეჭირა საწყალს... სიკვდილის შემდეგ, ყუთი რომ გავაღეთ, აღარ გამოჩნდა, აღარ, აღარ და აღარ!...

**კაკული.** ეეე!!! აი თურმე როგორა ყოფილა საქმე!.. ბიჭო, პეპო, თი-თონ არუთინას არ მოეპაროს ის ბარათი?

**პეპო.** ეჰ, რას ტუტუცობ! ჩვენს ყუთში იმას რა ხელი ჰქონდა?

**კაკული.** მაშ ვინ მოიპარავდა, პეპო?

**პეპო.** რო ვიცოდე სომ ჩვენთვისაც კარგი იქნებოდა.

**კაკული.** იქნება მამა შენმა თან წაიღო ბიჭო?!.

**პეპო.** ჩვენც ასე ვფიქრობთ... იქნება შემოსვაში თან ჩაჰყვა...

**კაკული.** შეხედე და! აბა ხეირი საიქიოს იქნება, პეპო, აი!.. რას უზამენ, იქ, არუთინას... ოთხ-ოთხი ეშმაკები რომ გაუშლიან წინ იმ ბარათს; ვაი, ვაი, ვაი, ვაი, მშობლის მკვლელო თქვენ

დაესმარეთ!.. ნეტავი ერთი სეირი მაყურებინოს და თუ გინდ სწორეთ მარტო მაგისთვის წავალ ჯოჯოხეთში. (იცინიან.) ბიჭო, ხუმრობა იქით იყოს, ერთი კარგათ მოინახეთ კიდევ, იქნება გამოჩნდეს სადმე.

პეპო. აქაურობა სულ გადავატრიალეთ, რას ამბობ?

კაკული. მერე იმ ვირის თავმაც იცის, რომ ბარათი დაკარგულია?

პეპო. ალბათ იცის, რომ არ იძლევა.

კაკული. ბიჭო, ხომ იცის რომ ჭმართებს?

პეპო. მაშ არ იცის?

კაკული. მაშ მოგვცეთ, რაღა!..

პეპო. ყურიდგან ბანბის მველა გამოიძრე, ბიჭო... ის კაცი იძახის, რომ არ მახსოვსო, დავთრებში ვერა ვპოულობო, ბარათი მამიტანეო და ფული წაიღეო...

კაკული. ღმერთმანი, პეპო, მიბეყვის მეტი სხვა არა მოარჯულებს რა!.. შენ მე დამაცალე... ის, ორთაჭალიდამ რომ დაბრუნდება ხოლმე, ხელები ესე უკან დაწყობილი, (თითონ ხელებს უკან იწყობს.) ისე გავხადო, ისე გავხადო, რო სეფილის ბაიათი დავაძახო!..

პეპო. ნეტავი შენ, კაკული, რომ და არა გყავს გასათხოვარი.

კაკული. მაგისათვისაც არ ვინაღვლიდი; თქვენსავით კუბწვებს კი არ გამოვუდგებოდი... უკანასკნელ კინტოს გავსცვლიდი იმათში?... ჩვენ რომ ღმერთმა გაგვაჩინა, ფრინველსავით გაგვაჩინა, დღე მოვიგოთ, დღე შევჭამოთ; სიკვდილის დროს ანდერძის თავი ვიღასა აქვს?!

პეპო. კარგი, კარგი, ჭკუას ძალას ნუ ატან, კმარა! წადი ის მურწები დაწვალი, დავსხდეთ თითო ლუკმა ჩავიშხამოთ, მერე ვნახოთ ღმერთი რას გვაგონებს.

კაკული. ჭოო!.. აი, ეგ ჩემი ჭკუის საქმეა!.. მითხარ ერთი სუფრა სად არის? ესენი გადავაწყოთ... (ხელ-სახოცს და თუნგიანს მიიტანს ტახტთან.)

**ბეპო.** (თაროდამ ჩამოიღებს მგელებურად დადაჯულ ლურჯ სუფრას, ყვითელი ჩალის კოვზებს და რამტელსამე თეფშს.) აი, მოიტა. (სუფრას შლის ტახტზედ.)

**კაკული.** (ხელ-სახოციდგან იღებს დოშის ნაჭერს, მოთალს, მწვანილს და ლავაშებს.) შახე ამ ალაბალუხსა და!.. ესეც მწვანილი, ესეც ლავაშები, ესეც მოთალი...

**ბეპო.** (მოთალს სინჯავს და დაღონებული.) კარგი ჩანს.

**კაკული.** მერე ამ მწვანილს რაღას ეუბნები! (იღებს მწვანილს ხელში და უჩვენებს.) უყურე და! თითქო მწვანე ხავერდიაო!

**ბეპო.** (დაღონებული.) ყოჩაღი ხარ, კაკული!.. ერთი სტაქნებიც მოვიტანო.

**კაკული.** ვა, ცოდვა არ არის!.. ამ ნაირ ღვინოს სტაქნით დალევენ?.. შენს სულს რაღას ეუბნები?.. ბიჭო, ის ჯამი მოიტა, რო სმაში შიგ სახე გამოჩნდეს ქრისტიანულათ და!..

**ბეპო.** (მიმავალი.) ვიცი, ვიცი. (თაროდამ ჩამოიღებს ჩინურის ჯამს, ვერცხლის აზარფეშას და ხის კულას ვერცხლით შეჭედილს და აძლევს კაკულს.) აჰა, ესეც შენი ჯამი და ესენიც მეტი თუ გინდა. (სუფრას ასწორებს.)

**კაკული.** ოჰ, შენი სულისა, ბეპოჯან!... რა ლოთი ყოფილხარ, ბიჭო!!.. (ჯამს და აზარფეშას შეინახამს მარცხენა ხელში, ხოლო მარჯვენით აამაღლებს კულას და პირიდან მოშორებით დაიჭერს და მითომ სომს.) კლ, კლ, კლ, კლ, კლ, კლ, კლ, კლ, კლ... (ჰკოცნის კულას.) ოჰ, შენი ჭირიმე! სულს არ დაგიჭერ მაგ შენი ბულბულივით ჭიკჭიკისთვის! (დასდებს კულას სუფრაზედ და ჰკოცნის ჯამს და აზარფეშას.) თქვენც არ გაწყენინებთ მმებო, ნუ გეშინიანთ! (დააწყობს ამ ღვინის ჭურჭლებსაც სუფრაზედ.) ბიჭო! კაცს რო ამისთანა სულის შვილები ჰყვანდეს, დარდი რაღა ჩემი ფეხებია.

**ბეპო.** კარგი, კარგი, შენ წადი, ნუღარ დააგვიანებ; ამეებს მე დავაწყობ.

კაკული. ისე მოვხარშო თევზი, ისე მოვხარშო, პეპო, (თან მიდის.) რომ ქეიფზედ მოგიყვანოს!.. (ამ დროს შემოდიან შუა კარიდამ შუშანი ჩადრ-მოხვეული და გიქო ქუდ-დახურული და ხელში ჯოხით.)

## სანახავი ლა.

### იგინივე, შუშან და გიქო.

კაკული. მშვიდობა შენი, დედი! (პეპო მოუთმენლად მისჩერებია შუშანს.)

შუშან. (კაკულის.) გაცოცხლოს, შვილო.

კაკული. ოჰ, ალა გიქო, გამარჯობა მე და შენ!.. (წინ წამოდგება და ხმა დაბლა პეპოს.) ამაზედ უკეთესი სტუმარი ვეღარ იპოვე, ბიჭო?

პეპო. (კაკულის.) მოიცა. (შუშანს.) რა გაიგეთ? (კაკული ჩამოუდგება გიქოს და ჰზამავს ბურნუთის წევას.)

შუშან. (პეპოს.) რაღა რა გავიგე; დედა-მიწა გასქდეს და თან ჩამიტანოს! თუ დღესვე არ ვიშოვეთ, პეპან-ჯან, ამაღამ საქმე ერთიანათ იშლება!.. (ხელებს მაღლა აავყრობს.) აი, ზეციდამ მიიღო სამაგიერო, არუთინ!!! (ჩადრს მოიხდის.) ის ხომ დღეს არ მოგვცემს და სხვაგან ვინ რას გვენდობა?... კიდევ სულზედ მივასწარ იმ აშარს ნათელას, თორემ ის იყო უკანასკნელი პასუხი მიჰქონდა ახალი საპატარძლო პატრონებისაგან იმ ჩვენ პირ-შავ სიმქსთან. ეშმაკი იყოს იმის მოსამართლე, ჰა!

პეპო. (შუშანს.) ბიჭო, სიმქსთან რა ხელი გაქვს? რასაც დავპირებივართ, უნდა მივსცეთ, თუ არა? ისიც კაცია, თავზედ ქუდი ჰხურავს; ჩვენგნითაც როგორ მოტყუვდეს, ოხრობა ხომ არ არის? იმტელს ვამბობდი: მოიცა მეთქი დედა, ჯერ ფული გამოგვივიდეს და მერე დავნიშნოთ მეთქი; მაგრამ თქვენი ოხტიდამ ვინ

მოვა?.. რა უშავსო, სად დაიკარგებაო, არუთინას ჩვენი ცოდო რათ უნდაო, ჰაშას ხომ არა ჰკრამსო... ეხლა წადი და სდიე!.. ვნახოთ, როგორ გამოართმევ!...

**გიქო.** (ჯდება სტოლთან და გაგრძელებით ამოიოხრავს.) ახ, ჩემო მშვენიერო ბარათო, ნეტავი როგორ დაიკარგე!...

**პეპო.** ხმა, გიქო, თორემ რჯულს გეფიცები, რაც ჯვარი მაქვს, სულ შენზედ ამოვიყრი ამ წუთაზედ!.. შენ რომ არ გარეულიყავ ამ საქმეში, ეს სირცხვილიც არ დაგვემართებოდა!.. ჯანდაბას ფულის თავიც, იმის მამგონისაც!..

**კაკული.** მოიცა, ერთი რამა ვსთქვა, პეპო!.. ვინმე მოწამე არ არის, რომ დამსწრე იყოს იმ ვალისა?..

**პეპო.** მითომ შენც ჭკუას ძალა დაატანე... მაგითი რომ საქმეს ჰშველებოდა რამე, ეს ხათაბალაც ხომ აღარ გადაგვხდებოდა.

**გიქო.** აი, მოწამე არა ვარ, მაშ რა ზაჰკრუმალი ვარ? მაგრამ რომ არა ხდება რა.

**კაკული.** კა, რატომ?..

**პეპო.** (კაკულის.) ამ საქმეში მოწამ-მუწამე არ იქნებაო, არ გესმის?

**კაკული.** (ცალკე, თავს იქნევს.) არა, მე ის უნდა დავზილო!..

**შუშან.** მაშ იმ დღეს იმ გულ-მკვდარმა უკანასკნელი რა პასუხი მოგცა?

**პეპო.** მითომ ჯერ არ გაგიგონია!.. ასე სთქვა: მე არ მახსომსო, ჩემ დავთრებში არა სჩანსო, თუ ბარათი მომიციაო, მოიტანეთო და თქვენი ფული წაიღეთო...

**შუშან.** მაშ, მითომ, ჰაშა უნდა ჰკრას? მაგას როგორ ჩაიდენს, პეპან! აბა შენგნით არ მიკვირს? იმისთანა მდიდარი კაცი იკადრებს მაგ გვარს საქმეს!.. იმისათვის ასი თუმანი რა არის? ერთი გროშია... რომ უნდოდეს ჩუქებითაც გაჩუქებს...

**პეპო.** როგორ არა, მოგართმევს!

**შუშან.** აი, ნახამ, თუ არა! (ტირილის ხმით.) წავალ, წინ დაუჩოქებ, ვიტირებ, იმისი შვილების სადღეგრძელოთ ვსთხოვ... და-

ვიფიცავ, რომ თუ ჩვენში ბარათი გამოჩნდეს, ნაკუწ-ნაკუწათ გავჰქციოს... ბათილამას მივცემ... ათ მოწამეს ხელს მოვაწერინებ... ერთხელ ხომ სული აქვს მისაცემი, თავის სულისაგან ხელს როგორ აიღებს?..

პეპო. მოიცა, მოიცა, დედავ! მე წავალ და ამ წამსვე უკანვე დავბრუნდები, სანამ თქვენ დასხედით.

შუშან. ჯერ ერთი ლუკმა პური შეჭამე; ერთი საათი წინ იყოს თუ უკან, სულ ერთია.

პეპო. არა, სანამ არა ვნახო, ყელში ლუკმა არ ჩამივა. ჩემი ტანისამოსი სად არის?

შუშან. გუშინ სკივრში ჩავაწყე.

კაკული. მეც წამოგყვე, პეპო?

პეპო. არა, შენ წადი, შენი საქმე ნახე; ამ წუთას მოვდივარ. (გადის მარჯვენა კარიდან.)

კაკული. შენ იცი! (გულში ხელს იცემს.) ახ, არუთინ!!! (გადის შუა კარიდან.)

## სანახავი თ.

### შუშან და გიქო.

გიქო. (დამჯდარი, სტოლთან ბურნუთსა სწევს.) ეჰ, უფალო, დაილოცოს შენი სამართალი!..

შუშან. (ჯდება ტახტზედ და ხმის გაგრძელებით.)

ახ, ღმერთო! ვახ, ღმერთო!
ზოგს ტომრით აძლევ ფულსა,
ზოგს კი არც ლუკმა-პურსა!..

გიქო. ჰო, ჰო, შუშან!

შუშან. ეჰ, დაილოცა იმისი ტახტი! ზოგს იმდენს დოვლათს აძლევს, რომ ვერც კი მოუხმარებია, და ზოგს დღიურ ლუკმას არ-

თმევს და იმასაც დოვლათის პატრონს აძლევს!.. დიდება იმის სახელს, იყოს ნება მისი!.. ჭკალბათ ჩვენ შუბლზედ ეს ეწერა...

**გიქო.** (მივა სუფრისკენ.) კიდევ ღმერთი მოწყალეა, შუშან! (იღებს სუფრიდგან დოშის ნაჭერს და თავის ქნევით.) რა საუცხოვო რამ არის, და?!... (დოშს ისევ დასდებს.)

**შუშან.** (თავისთვის.) თვალიმც გამოგმჴრეზა!... (გიქოს.) რაღა მოწყალეა! წყალი მოვარდნილა და წაუღივართ; იმ უღმერთომ კიდევ რომ ახალი მიზეზი მოიგონოს რამე და ფული არ მოგვცეს დღესა, ნეტა რაღა გვეშველება?!... ქალი დამიჭლექდება!... თავათ დღე-დღეზე დნება და რაღა აცოცხლებს საწყალს?!... (ტირილით.) საცოდავო ჩემო კეკე... ნორჩი სიყმე უნდა დაგიბნელდეს... გვირგვინის მაგიერ შავი მიწა უნდა დაგეყაროს!... (ტირის.)

**გიქო.** (ტირილის ხმით.) ოჰ, ჰო, ჰო, ჰო!!! (გადის მარცხენა კარიდამ თვალების წმენდით. მარჯვენა კარიდამ კი შემოდის პეპო მორთული და ქუდ-დახურული; ქამარი ხელში უჭირავს და სარტყელი მხარზედა აქვს გადაგდებული.)

## სანახავი ი.

### შუშან და პეპო.

**შუშან.** ბიჭო, ჯერ ერთ ლუკმა პურს შესჭამდი.

**პეპო.** პურს კი არა, ზაჭრუმალს შევჭამ! რათ მინდა პური!... განა პურის ღირსი ვარ?!... (ქამარს იკრამს.) პური რომ გაჩენილია, განა ჩემთვის არის გაჩენილი?... პური, რო მე ვჭამო, არუთინამ რაღა ჭამოს? იმანაც პური ჭამოს და მეცა? (მწარის სიცილით.) ხა, ხა, ხა! (ახალუხის ღილებს იკრამს.)

**შუშან.** ნეტამც გამშავებიყო დღე, აჰა!... (გადის მარცხენა კარიდან თვალების წმენდით.)

## სანახავი ია

პეპო. (მარტო.) წადი, პეპო, მიწა გალოკე, ხალხს მუხლები დაუკოცნე, იმათი ფეხების მტვერი ალოკე!... ვინა ხარ შენა? რა ხარ შენ? რა კაცების ანგარიშში ხარ შენ? რა სახელი გაქვს შენ?... როდესაც უნდათ, ფეხ-ქვეშ ჩაგიგდებენ, ზედ შეგდგებიან, მიწასთან გაგასწორებენ... რა გიშავს?... ჭიანჭველაზედ რითი ხარ მეტი?!. შენ ხომ კაცი არა ხარ, შენ სხვების საჭმელათ გაუჩენიხარ ღმერთსა... ღამე იტანჯე, დღე იტანჯე, ცას-ქვეშ გაათენე, წვიმას და ქარს ებრძოლე, ზამთარში ყინვისაგან ითრთოლე, ზაფხულში მზის პაპანაქებაში დაიწვი და დაიხრუკე... წადი ამ ნაირად ლუკმა-პური იშოვნე და იმ ლუკმა-პურით დაი და დედა არჩინე!... ეს რა, რა კაცობაა?... ამ ნაირათ ხომ ძაღლიც შოულობს ერთს ლუკმას, რომელიც სახლს ყარაულობს... მითომ შენც ძაღლი ხარ... სანამ დედა-მიწაზედ დადიხარ, შენც ისე ძაღლურათ ირჩინე თავი!... ეს რა კაცობაა?... ბიჭო, თუ გინდოდა კაცი გამოსულიყავ, წახვიდოდი, ხალხს გასცარცვამდი, იქურდებდი, ჩემისთანა საწყლებს დასჩაგრამდი, ოცი-ათას ადგილს სისხლის ცრემლებს დააღვრევინებდი, იმ ცრემლებს ფულათ აქცევდი და იმ ფულით ოქროს ჩარდახებს დასდგამდი... შიგ დიდებულად გამოიჭიმებოდი, დროშკას, კალიასკას, ცხენებს გაიჩენდი, ას ჩემისთანა მოსამსახურეს იახლებდი... აი, მაშინ მე შენ გეტყოდი, რო კაცი ხარ, პეპო, როგორც კაცობას ეკადრება!... რასაც ინატრებდი, მაშინვე იშოვნიდი... მაშინ ყველანი თავს დაგიკრავდნენ, დაგპატიჟებდნენ, პატივსა გცემდნენ და ერთმანეთს თავებს მიატეხდნენ, რომ ოღონდ შენი თვალი იმათზე ტკბილათ ყოფილიყო. (გადის შუა კარიდან სარტყულის შეკვრით. — ფარდა.)

---

## მოქმედება მეორე.

---

მდიდარი ზალა არუთინას სახლში. მარჯვნივ, მარცხნივ და შუა-ში კარებია ძვირ-ფასი ფარდებით მორთული; მარცხენა მხარეს დიდი სარკეა, მერე დივანი, რომლის წინ დგას უძვირფასესის სუფრით და-ხურული სტოლი და მაზედ გამქრალი ლამპა. მარჯვენა მხარეს კუ-შეტკა; ხოლო დანარჩენ ადგილას, სადა საჭიროა, აწყვია კრესლები და სკამები. შუა ზალაში, ჭერზე ჩამოკიდებულია ოქროთ ნაფერი ჭა-ღი გამქრალის სანთლებით. სცენის ბოლოში, მარცხნივ, ბუხარზედ, სდგას საათი, რომელიც აჩვენებს გამორკვევით ორ საათს ჩეთვერ ნაკ-ლებ. საათი მუშაობს. პირველში, ცოტა ხანს, სცენა ცარიელია.

---

### სანახავი პირველი.

### გიგოლი, შემდეგ სამსონ.

**გიგოლი.** (გამოჩნდება შუა კარებში და ართმევს ვიღასაც დიდ კა-ლათას, რომელშიაც აწყვია სხვა-და-სხვა ნივთები, ქ. ი. შამპან-სკები, კასისი, სარდინკები, ზურგიელი, კარობკით ხიზილალა, მწვანე კიტრები, ქაღალდით დიდროვანი ბალი, მეორე ქაღალ-დით შაქრის პური.) კარგი, შენ წადი. (თითონ კალათა შემოაქვს სცენაზე და, დასდებს რა ძირს, დაბლა ხმით უძახის.) სამსონ, სამსონ! (მიახლოვდება მარჯვენა კარს და ხელ-ახლა უძახის.)

**სამსონ.** (სამსონა გამოდის იმავე კარიდამ, ახალუხა გულის

ღილებ-გახსნილი; ხელში უჭირავს ბოკალი, რომელსაც გრძელი თეთრი ტილოთი სწმენდავს.) აბა, გეთაყვა, სამსონ-ჯან, წადი ჩქარა ქალ-ბატონს შეატყობინე!

**სამსონ.** მოხველ? რათ დაგვიანდი?... ცეცხლებსა ჰყრის ქალ-ბატონი.

**გიგოლი.** ვა, მე რა ვქნა! ასეთი რამ დამაბარა, რომ მთელი ქვეყანა მოვიარე და ვერ ვიშოვნე.

**სამსონ.** ვა, რას ამბობ!

**გიგოლ.** ვისაც ვკითხე, პირში დამცინოდნენ: კაკლის ოდენა კლუბნიკაც იქნებაო?

**სამსონ.** ალბათ იქნება, რომ სთქვა. (კალათაში იყურება.) სხვა კი ყველა მოიტანე?

**გიგოლი.** სულ, სულ; მაგრამ ის ოხერი კლუბნიკა ვერ ვიშოვნე. სახვალიოთ კი ერთ ადგილას დამპირდნენ, იქნება გიშოვოთო.

**სამსონ.** სულზე კი მოესწრობა! სტუმრობა დღეს არის, ხვალ ხომ არა.

**გიგოლი.** მა რა ვქნა, სამსონ-ჯან? არ იქნება, რომ უიმისოთ იოლათ წავიდეს საქმე? ასეთი ბალები მომიტანია, რომ თითო მარცვალი, იტყვი კამბეჩის თვალიაო!...

**სამსონ.** თუ მე მკითხამ, გიგოლი, უმაგ ბალოთაც მუცელი კარგა გაძღება; მაგრამ ქალ-ბატონის ხასიათი რომ ვიცი, საცა იყოს უნდა იშოვნო. კალონიაში, ნემეცების ბაღებში, იქნება იყოს, იქ მოიკითხე.

**გიგოლი.** სული ამომძვრა, რას ამბობ?!!..

## სანახავი ბ.

### იგინივე და ეფემია.

ეფემია. (გამოდის მარცხენა კარიდან მდიდრათ ჩაცმული და თვალ-მარგალიტით მორთული.) ოჰ, გეშველა? ასე დაგვიანება რაღა

იყო? აგერ სტუმრები მოგროვდებიან; როდისღა მოვასწრობ? ქვეყნის საქმე კიდევ მაქვს.

გიგოლი. იმდენი ვიარე, ქალ-ბატონო, ღმერთმანი, რომ მუხლებში ღონე აღარ შემრჩა.

ეფემია. ჯანი გაგვარდეს, იარე; მაშ მე ვიარო? აბა ამოაწყე, ვნახო რა გიყიდნია...

გიგოლი. (უჩვენებს რაც კალათაში აწყვია.) აი, ქალ-ბატონო, ეს შამპანსკები... თვრამეტ აბაზზედ ნაკლებ არ მომცეს ბოთლიკა... ეს ის წითელი ლიკორი, ფრანცუზისაგან ვიყიდე... ოთხი და ათი შაური გამომართო წყეულმა... ეს სარდინკები, ეს დონის ზურგიელი, ეს კარობკით ყიდვა... რჯულსა ჭკვიცავდა, ამაზედ უკეთესი არ იქნებაო... ეს ნემეცური ბალი, ორ-ნაირია, აი... თითო მარცვალი თითო გირვანქა მოვა... ეს კიტრი... ნახეთ, ქალ-ბატონო, რა შუშა-შუშაა... ეს პიროჟნი... კანდიტრის გაკეთებულს არ ჩამოუვა... ბულკებსაც აგერ მოიტანენ.

ეფემია. როგორ თუ არ ჩამოუვა? აბა აქ მიჩვენე. მაშ სად იყიდე?

გიგოლი. შუა ბაზარში.

ეფემია. (ლოყაზე ხელს ჩამოისვამს.) აბა, ეგ საქციელია, გიგოლი?! მე შენ არ გითხარ ფრანცუზისაგან იყიდე მეთქი!

გიგოლი. სულ ერთია, ქალ-ბატონო, ღმერთმანი! გირვანქაში ერთი აბაზი მეტი რათ მიმეცა უბრალოთ? ნახეთ რა კარგია!

ეფემია. (შინჯავს.) აბა, ვის ეკადრება! იმათი ცალი და ნაშჩერია!... ამისთანა ურიგობა რაღაა?... წაიღე, წაიღე! ამ საათშივე უკანვე მიეცი... რასაც გეუბნები გამიგონე ხოლმე; შენ შენთავად ნურას იგონებ... სხვა?... (იგონებს.) სხვა, რა დაგაბარე? არ მაგონდება...

გიგოლი. (შემკრთალი.) კლუბნიკა...

ეფემია. ჰო, მართლა; სად არის?

გიგოლი. ვერ ვიშოვნე, ქალ-ბატონო.

ეფემია. (ლოყაზედ ხელს ჩამოისვამს.) ვაი, დამიდგა თვალები!!!

გიგოლი. რო არ არის, რა ვქნა!

ეფემია. გაგიჟებულხარ თუ რას ამბობ?—გუშინ ჩემის თვალით ვნახე და ჩემის პირითა გჭამე დანდუმანაანთ სახლში. რას იტყვის ხალხი? იმათსა იყოს და ჩვენსა არა!!!... წადი, წადი ამ საათში, ბაღები შემოირბინე, დროშკა დაიჭირე და სადაც იყოს ესლავე იშოვნე, თორემ სულით და ხორცით აღარ მომრჩები. რაღას გაჩერებულხარ? არ გესმის? შენ გელაპარაკები...

გიგოლი. მივდივარ, მივდივარ, ქალ-ბატონო! (შაქრის პურს სდებს კალათაში და ეპირება წასვლას.)

ეფემია. გაგიჟებულხარ თუ რა ღმერთი გაგწყრომია?... ეგ პიროჟნიც თან წაიღე და...

გიგოლი. (პიროჟნის იღებს.) მიმაქვს, მიმაქვს, ქალ-ბატონო. (ბუტბუტებს.) მეც აღარა გამეგება რა, რასა ვშვრები. (სწრაფათ გადის შუა კარიდან.)

## სანახავი გ.

### ეფემია და სამსონ.

სამსონ. სულ გამოაშტერეთ, ქალბატონო.

ეფემია. (წარბ-შეკრული.) შენ ვინა გკითხავს, ნეტავი ვიცოდე! შენ ესენი წაიღე, მოამზადე და ეცადე არ შემარცხვინო დღეს, სამსონ, თორემ ვეღარ მომრჩები...

სამსონ. (ზდილობიანათ.) სულ ყველა კარგათ იქნება, ქალ-ბატონო.

ეფემია. როგორც დაგარიგე ყველა კარგათ დაიხსომე, ლაზათიანათ იყოს, ყველა რამ თავ-თავის დროზედ შემოვიდეს; ერთი სიტყვით ბეწვი არ გადაასცილო.

სამსონ. ბატონი ბრძანდები, ქალ-ბატონო.

ეფემია. და შენც ისე რიგიანათ ჩაიცვი, რომ ყველას თვალი ზედ

დარჩეს: სოსანი ატლასის ახალუხი, თეთრი მაუდის ჩერქესკა, მაჯები რიგიანათ გადაკეცილი, და ვერცხლის ქამარიც შემოიკარ.

**სამსონ.** (სიტყვას გააწყვეტს.) ხანჯალიც შემოვიკრა, ქალ-ბატონო?

**ეფემია.** (განაგრძობს.) მაშ, ქა! იმისათვის ხომ არ გაჩუქე, რომ ზანდუკში შეინახო; ხანჯალიც შემოიკარ და (მარცხენა ხელს მარჯვენა მხრიდამ გადაისვამს გულზედ მარცხენა გვერდამდინ.) საპირისწამლეც გაიკეთე... ერთის სიტყვით ყველასთან ლაზათიანად გამოჩნდი, რომა სთქვან: კაცი ხარ და კაცის ოჯახში ემსახურები.

**სამსონ.** როდის ვყოფილვარ ულაზათოთ, ქალ-ბატონო?

**ეფემია.** შენი თავის გასეთქამს; ერთიც ეხლა ხარ ლაზათიანათ!.. აბა ეგ რა რიგია? გულ გადაღეღილი რო დადიხარ... რამტენჯერ მითქომს შენთვის, რომ ჩემთან მაგრე ნუ შემოხვალ მეთქი... რო დაგინახოს ვინმემ, რას იტყვის?... არ შეგეძლო გულის ღილები შეგეკრა? ლაქია უნდა ლაქიასა ჰგვანდეს... თვალები გაახილე რაღა!... ჰხედამ სხვების ლაქიები როგორ ირჯებიან, შენც ისე მოიქეცი, და!... იმათზე ნაკლებ კაცის შვილთანა ხარ თუ რა არის?

**სამსონ.** ხელში საქმე მქვს, ქალ-ბატონო, ხომ ჰხედამთ.

**ეფემია.** სულელურათ ნუ ლაპარაკობ!... როგორც მე გიბრძანებ, ისე მოიქეც... ერთის სიტყვით წმინდათ, რიგიანათ, ზდილობიანათ შედი და გადი... სხვა ლაქიების სინაბარას არა გაუშო რა... ფარვანასავით უარე სუფრასა; სადმე რამ შეამჩნიო, მაშინვე გაასწორე... ბლუდებიც ყველაზე უწინ მე მომართონ ხოლმე.

**სამსონ.** რას იტყვიან სტუმრები, ქალ-ბატონო!

**ეფემია.** კიდევ?!... მოდა შენ უკეთ იცი, თუ მე?... დეე, ნახონ და ისწავლონ... (დაფიქრებით.) კიდევ რა უნდა მეთქო? (აგონდება.) ჰო!... (სიჩქარით გადის მარცხნივ.)

## სანახავი დ.

**სამსონ.** (მარტო.) ამ ნაირი ქალ-ბატონიც იქნება? დატანჯული ვარ, რაღა! (ეფემიას დასცინის.) ეს ღილი შეიკარ, ეს ასე ჩაიცვი, ეს ისე იარე... (თავის ხმით.) ფიე!... დავია სწორეთ, რაღა... არ ვიცი თუ რა უნდა ჩემგან?... ბიჭო, შენ რას გაწუხებს?... მე ხომ ჩემს საქმეს ვაკეთებ... (სიჩუმე.) ოჰ, ოჰ, ოჰ! ბევრი ქალ-ბატონები მინახავს, ბევრი იმათი ყინიანობა გამიგონია, მაგრამ ეს კი სულ წრიდამ გადავიდა... ერთი კაცმა ჰკითხოს: ვინა ხარ, ვისი შვილი ხარ, რომ აგრე იჭიმები?... ამბობენ მაგათ სამშობლო-სას პერანგი არ ჰქონდაო ჩასაცმელათ და ეხლა კი მედიდურობით ღამის გასქდეს! (ხელს ხელზედ იცემს.)

## სანახავი ე.

### არუთინ და სამსონ.

**არუთინ.** (შუა კარიდამ შემოდის შლიაპით.) რა იყო, რა ხმაურობა იყო?

**სამსონ.** არაფერი, ბატონო.

**არუთინ.** როგორ არაფერი, ჩემის ყურით შემომესმა, ვინ იყო აქა?

**სამსონ.** არავინ, ბატონო; ქალ-ბატონი ბრძანდებოდა.

**არუთინ.** ქალ-ბატონი?!... (წინ წადგება და ცალკე.) ნაღდათ შენ ეშმაკო!... (სამსონს.) რას გიბრძანებდა?

**სამსონ.** აი, ბატონო, გიგოლამ მოიტანა ესენი, ამ საათში; ის ისევ რიღასთვისაც გაგზავნა და მე კი მიბრძანებდა: ესენი მიალაგეო.

**არუთინ.** ჰო?!... (ცალკე.) ბიჭო, მეც რა ახმახი ვყოფილვარ... (სამსონს.) მიალაგე რაღა, რაღას დგეხარ?... რეებია მანდა?

**სამსონ.** სასმელებია, ხილია, ზაკუსკებია.

**არუთინ.** (იყურება კალათაში.) ოჰ, ოჰ, ოჰ, თითქოს შაჰ-ზადის შვილები გვყვანდეს დაპატიჟებული!... კარგი, წაიღე. (სამსონ აპირებს კალათის გატანას.) რას გეუბნები; რამტენი პრიბორი მზადდება?

**სამსონ.** ქალ-ბატონმა ბრძანა: სწორეთ ოც-და-ოთხი პრიბორი იყოს დაწყობილიო.

**არუთინ.** ჩემ ქალთანაც გაგგზავნა?

**სამსონ.** არა, ბატონო, არა უბრძანებია რა.

**არუთინ.** მაშ, ორი პრიბორიც მოუმატე და ამ საათში წადი ჩემ ქალსა და სიძესაც სთხოვე, რომ მობრძანდნენ; და ჩემ მაგიერ ეტყვი, თუ არ მოვლენ, ძალიან მეწყინება თქო. აბა, მალე წადი შენ საქმეზედ, ნუ დაიგვიანებ.

**სამსონ.** (იღებს კალათას.) ახლავ, ბატონო. (გავა მარჯვნივ და კალათა თან გააქვს.)

## სანახავი ვ.

**არუთინ.** (მარტო.) საათის სამზედაც სადილი იქნება?! (შლიაპას მოიხდის და სტოლზედ დასდებს.) მახლას! (სარკეში იყურება.) არა, ჯერ კიდევ კარგი ვარ! რა მაკლია?—ტანი ალვის ხეს მიმიგავს, ლოყები წითელ ვარდსა და თმები გიშერს... რა უყოთ რომ შეღებულია; ვინ რა იცის, რა ამბავია?... (ჩამოჯდება კუშეტკაზე.) ახალ-გაზდა ცოლისთანა კაცის გამაყმაწვილებელი არა იქნება რა ქვეყანაში! ადამიანის ხნოვანებაც, ქეიფიც სულ ცოლზეა დამოკიდებული... ცხონებული ჩემი პირველი ცოლიც კარგი ადამიანი იყო, მაგრამ საქმის ლაზათი კი არ იცოდა... რასა ვგვანდი მაშინ?... ეხლა კი კაცი ვარ, რაც კი ადამიანობას შეეფერება... ბევრი ახალ-გაზდა ფრანტი ყმაწვილები შემომნატრიან. (პერანგის მანჟეტებს ისინჯავს.) ფაჰ, თეთრი თოვლია?! სად იყო ესენი?... (ამოიოხრავს.) მაგრამ ამ ერთ საქმეში კი კარ-

გათ არ ირჯება, რომ ამთენს ფულს მახარჯვინებს... მე, რომელიც ერთი გროშისათვის სულს ვაძლევ... გმადლობ შენთვის ღმერთო, გმადლობ! ესეც ალბათ შენი დებულებაა!... იქეიფე, იქეიფე, ფეფელ, და მტერს თვალი დაუწვენე!...

## სანახავი ზ.

### იგივე და ეფემია.

ეფემია. (გაცხარებული გამოდის მარცხენა მხრიდან.) აბა, ეს რიგია?...

არუთინ. რა იყო?!...

ეფემია. მითომ არ იცი... გინდა ერთბაშათ გული წამივიდეს?!... შევრცხვე სალხში?!..

არუთინ. რა ამბავია, ვა?!..

ეფემია. (განაგრძობს.) ყველას სასაცილო შევიქნა?! თითით საჩვენებელი გავხდე?!

არუთინ. ბიჭო, ახარ, რა ამბავია?!.. ერთი მითხარ, და!

ეფემია. (ცრუის ტირილით.) ეს იყო შენი ფიცი, რო მიყვარხარო?.. (მითომ ცრემლებს იწმენდს.)

არუთინ. (წამოდგება და ხმა დატკბობით.) ახარ, ეშმაკი ხომ არა ვარ! ერთი თქვი და!...

ეფემია. რაღა ვთქვა?... ერთხელ იტყვიან, ათასჯერ ხომ არა?

არუთინ. დიდება შენთვის ღმერთო!...

ეფემია. არა, სიძეს და ქალს რომ ეპატიჟები აქა, განა ეგ შესაძლებელი საქმეა?...

არუთინ. ეეე!... კმარა მამა გიცხონდა, ფეფე... განა ცხვირი პირს მოშორდება?...

ეფემია. რა ჩემი ბრალია?!...

არითინ. ეეე!... ახირებული ხარ...

ეფემია. მე ვარ ახირებული?... რასაც გინდა პირში მეუბნება შენი

ქალი, ცხვირს მაღლა იწევს ჩემზედ, მასხარათ მიგდებს... და კიდევ მე ვარ ახირებული?... ერთს სიტყვაზედ ათას პასუხს მაძლევს, რაც შარები გინდა ჩემზედ იგონებს... მიწასთან გასწორებივარ და ახირებული მევე ვარ?... მამა ჩემს ჭკუა აღარა აქვსო...

**არუთინ.** ვაა!!!

**ეფემია.** (განაგრძობს.) მითამ მომეწამლო, ჭკუიდამ შემეშალო, ზურთოვით საითაც მინდა იქით გისვრიდე, შენი ქონების ხელში ჩაგდებას ვცდილობდე... და ახირებული მევე ვარ?!... იმათი პირი შემიძლიანდა დავინახო?!... ადამიანი მოითმენს ამებს?!...

**არუთინ.** კიდევ შენვე უნდა მოითმინო, მამა ცხონებულო!... დღეს შენ იმათ მშობლათ იხსენები!...

**ეფემია.** მე ვიხსენები მშობლათ?!... იმათთვის მე მშობელი კი არა ვარ, (გაჭიანურებით.) მტერი ვარ!... მგელი ვარ!... მაღლი ვარ!.. კატა ვარ!... (ტირის.) ის დღე დაბნელებულიყო და მე ამ სახლში ფეხი არ შემომედგა!... რათ მინდა ეს დიდება, ეს პატივი, ეს ტანისამოსი, ეს თვალ-მარგალიტი?!... დედა, ისევ ჩემ სახლში ვგდებულვიყავ მშიერი... მწუწურვალი... ლუკმის ნატრული და ეს დღე კი არ მენახა!... (ტირის.) ჰ! ჰ! ჰ!

**არუთინ.** კარგია, კარგი, ფეფელ-ჯან!... (ლმობიერად და წუწუნით.) გულს ნუ დამიგლეჯ!... მეც კარგათ ვიცი რა შვილებიც არიან: მაგრამ, ვამბობდი, ხალხის სალაპარაკო არ გავხდეთ მეთქი.

**ეფემია.** ხალხმა რაც უნდა სთქოს!... იმის ლაპარაკს რომ კაცი აჰყვეს, სად წავა?!... ხალხი იმასაც ამბობს, რომ ვითომ ჰაშაქარი იყო, ვითომ ბევრი ვინმე დაგეჩაგროს... აბა ესეც დასაჯერია?...

**არუთინ.** შარებს მიგონებენ...

**ეფემია.** (განაგრძელებს.) ვითომ ბებერი იყო...

**არუთინ.** (სწორდება და ჩაახველებს.) ჰმ!...

**ეფემია.** (განაგრძელებს.) ვითომ თმებს იღებავდე...

**არუთინ.** (ჩასველებით.) ჰმ, ჰმ!...

**ეფემია.** (განაგრძელებს.) ვითომ მე მატყუილებდე... რა დასაჯერია?... დეე, ხალხმა რაც უნდა ისა ჰსთქვას.

**არუთინ.** (ხველისაგან იხჩობა.) ჰმ, ჰმ, ჰმ!... ხალხი ტუტუცია, ეფე-ფე... შენ არ იცი, რომ ახალ-გაზდა ვარ?... რომელი ახალ-გაზდა იქნება ჩემზედ ყოჩაღი?!...

**ეფემია.** აბა, რომელი ერთი დავაჯერო?...

**არუთინ.** ბიჭო, შენ იმ სულელებს უთხარ, რომ ყოჩაღი მოხუცი ჰსჯობს დამბლა უმაწვილ-კაცსა თქო. (თმებზედ ხელს იგიდებს და თავს წაიწვდის ეფემიისაკენ.) აბა, ეს შეღებილია?

**ეფემია.** (თავზედ ორსავე ხელს მოავლებს და ღიმილით.) მტერი ბევრს რასმეს იტყვის, არტუშკა-ჯან!... (თავზედ ჰკოცნის.) იის სუნი გიდის?!...

**არუთინ.** (ეხვევა.) ჰაი, კუდიანო!... შენი ერთი კოცნა ერთს სახელ-მწიფოთა ღირს! (ეალერსება.) მართლა რომ ჭკუიდამა მშლი!... რა სთქვა, რომ შენი სიტყვა არ ავასრულო?!...

**ეფემია.** მაშ აღარ გპატიჟობთ?

**არუთინ.** ვისა?

**ეფემია.** შენს ქალსა და სიძეს.

**არუთინ.** ეეე!!!

**ეფემია.** (ხელ-ახლათ ტყუილათ ტირის.) ავსუს ჩემო თავო!...

**არუთინ.** (ტკბილათ.) კარგია, კარგი, შენი ქეიფი იყოს.

**ეფემია.** (ეხვევა.) ჩემო ლამაზო!... ჩემო ხოხობო!... ჩემო ჯეირა-ნო!... ჩემო ყვავო!...

**არუთინ.** ყვავი!... ვა, ეგ კარგი იყო!...

**ეფემია.** (სიცილით.) უი, დამიდგა თვალები!... მინდოდა მეთქო: ჩემო მტრედო!...

**არუთუნ.** ჰო, მტრედი კარგია...

**ეფემია.** (ეხვევა.) მაშ რა ხარ, თუ მტრედი არა ხარ?...

**არუთინ.** იერიც მიგავს მტრედსა!... მტრედიც შენა ხარ, ფეფელ, (ეხვევა.) ვარდიცა და იაცა!...

**ეფემია.** მე ვარდი ვარ და შენ ბულბული, არტუშკა-ჯან!

**არუთინ.** ჭოო!... იბოვნე... შენ ვარდი ხარ და მე ბულბული. ძალიან გიხდები. (ეფემიას ალერსით ლოყაზედ თითს წამოჰკრავს ოდნავ და მოთქმით.) „კოკობო ვარდო, არ დამაგდო, ვარ მონა შენი."

**ეფემია.** (ეგრეთვე მოთქმით.) „პირზედ გაქვს ხალი, შავ-შავი თვალი, ტურფავთ მშვენი შენ."

**არუთინ.** ვა, შე მამა ცხონებულო, თუ ამბობ, ისე ჰსთქვი, რომ ჯანში გამიჯდეს და...

**ეფემია.** ეჰ, რა დროსია ნეტავი ვიცოდე?!... ქვეყნის საქმე მაქვს.

**არუთინ.** გეთაყვა, ფეფე-ჯან.

**ეფემია.** უჰ, შენ ხომ ვერ მოგრჩები და. ჰა: (მღერის და თან არუთინას ეალერსება.)

„კოკობო ვარდო, არ დამაგდო, ვარ მონა შენი,
პირზედ გაქვს ხალი, შავ-შავი თვალი, ნახვა მსურს შენი."

**არუთინ.** (ზედ დაჰხარის.) ოჰ, შენი სულისა, ფეფელ-ჯან!

**ეფემია.** (იცინის.) იცი რა გითხრა, არტუშკა-ჯან? (ხელს არუთინას მხარზედ გადასდებს.) სარკეები აღარ გვივარგა... მოდა წასვლიათ... ერთს ადგილას მეგულება, წყვილში ორმოც-და-ხუთ თუმანს ითხოვენ... (არუთინას არ ეჭაშნიკება ეს სიტყვები.) მინდოდა ბეი მიმეცა, მაგრამ შენ დაუკითხავათ ვერ გავბედე.

**არუთინ.** (ლოყაზედ ხელს ოდნავ წაუსომს.) ძალიან ოინბაზი რამა ხარ!...

**ეფემია.** (ეხვევა.) გეთაყვა, არტუშკა-ჯან!...

**არუთინ.** (ჩაფიქრებით.) ორმოც-და-ხუთი თუმანი?!!...

**ეფემია.** მაშ იმ ხელობისთანის ფასი ნაკლებ იქნება, ქა?!..

**არუთინ.** ახლა იმაზე ცოტა დაბალი იყოს, რა უშავს?

**ეფემია.** აბა, ვის ეკადრება?.. იმათზედ დაბალი ხომ ჩვენებიც არის...

მაგრამ რომ არ ვარგანან!... ღმერთმანი მერცხვინება რომ შიგ ვიყურები!

**არუთინ.** დედა-კაცო, სული ხომ ამომართვი!... სულ გადაატრიალე აქაურობა... ახარ ეს ზალა არ გვივარგაო, ეს მებელი არ გვივარგაო, ეს ზანავესკები ასე არ არიო, ეს ქუდი გამოიცვალეო, ეს დიმიტრონის მაგიერათ პლატონო ჩაიცვიო...

**ეფემია.** თუ გიყვარვარ, არტუშკა-ჯან!...

**არუთინ.** შენ რომ არ მიყვარდე, მაშ ვინ მეყვარება?... მაგრამ შენც მართლა ძალიან გიყვარვარ, ფეფე?...

**ეფემია.** შენის მეტი ვინა მყავს ქვეყანაში?... ჩემი სულიც და ხორციც შენა ხარ... ჩემი სულთქმა და სიცოცხლე შენა ხარ!...

**არუთინ.** სხვა არავინ თვალში არ მოგდის?...

**ეფემია.** აბა, სულს არ იწომ, არტუშკა-ჯან?! რას ამბობ?... ქალს შენისთანა ქმარი ჰყვანდეს და კიდენდა თვალში მოსდიოდეს ვინმე ქვეყანაზედ?...

**არუთინ.** მოატანინე, მოატანინე სარკეები, (ჰკოცნის.) გენაცვალე სულში!...

**ეფემია.** (ეხვევა.) აბა, ვის შეუძლიან ჰსთქვას, რომ შენ გამგლეჯი და გამწევი იყო?... (არუთინას ყელსახვევს და პერანგის საყელოს უსწორებს.)

**არუთინ.** ძალიან მაფრანტებ!... მაგრამ შენი წითელი ბანტისთანა არ იქნება, ფეფელ.

**ეფემია.** (განაგრძელებს.) მოიცა, (საყელოს შესწორებას ათავებს, ცოტა უკან ჩამოდგება და ისე შესცქერის არუთინას.) აბა, რომელი ფრანტი იქნება შენზედ უკეთესი?...

## სანახავი Ⴇ.

### იგინივე და გიგოლი.

**გიგოლი.** (შემოვა შუა კარიდამ, ცალ ხელში უჭირავს პაწაწა ხახლით კლუბნიკი, მწვანე ფოთოლ დაფარებული, და მეორე ხელში ქაღალდით შაქრის-პური.) აი, ვიშოვნე, ქალ-ბატონო; მაგრამ კიდევ კაკლის სიმსხო არ არის კლუბნიკა... თუ გინდ მომკალ, ამაზედ უდიდესი აღარ იქნებაო.

**ეფემია.** (შინჯავს კლუბნიკს.) აი, სწორეთ ამას ვამბობდი.

**გიგოლი.** (მხიარულათ.) ის იყო დროშა უნდა დამეჭირა, ვნახოთ ერთს კინტოს სადღაც ეშოვნა; სწორეთ მოგახსენოთ ამ დილას მთელი ქვეყანა შევძარ ამისთვის; ყველას უთხარი.

**ეფემია.** (გაცხარებული.) ახ, გიგოლი, შენი ბედ-ასლობა ხომ მთლათ სულს მართმევს; აბა, როდის მიყიდნია მე კინტოსაგან რამე, რომ დღეს ესეც მოგიგონია? არ შეგეძლო, შენ თითონ წასულიყავ ბაღში?

**გიგოლი.** (შემკრთალი.) ქალ...ბატონო...

**არუთინ.** (ეფემიას.) ვა, მამა ცხონებულო, მაინც ბაღისა არ იქნება?!. მაშ კინტო ხომ თითონ არ აკეთებს!

**ეფემია.** აბა, ვის ეკადრება... იმათი ჭუჭყიანი ხელები!... (შეზიზღებით.) ფი, ფი, ფი! კაი რომ სტუმრები უნდა მოვიდნენ ესღაკე, თორემ ამ წუთასვე ფანჯრიდამ გადავყრიდი სულ ერთიანათ. (მიუბრუნდება გიგოლის.) სხვა რაღაებია მანდა?

**გიგოლი.** ესეც პიროჟნი; გამოვსცვალე.

**ეფემია.** ჰო. (შაქრის-პურს შინჯავს და იძახის.) სამსონ, სამსონ!

**არუთინ.** (გიგოლის ხელში კლუბნიკს გაშინჯავს.) წადი და წადი, ფეშენ, ძალიან ახალი ჩანს; თითქო ხელით არ არი დაკრეფი-

ლიო. (ერთ კლუბნიკს პირში იგდებს და ღეჭვით.) კარგია!.. მამა ჩემ კირაკუზასაც უამისოთ ვერ გაეძლო!...

გიგოლი. სხვა საქმე ხომ აღარა გაქვსთ რა, ქალბატონო? (მარჯვენა კარიდამ შემოდის სამსონ ისევ გულ-დია, როგორც უწინ.)

## სანახავი თ.

### იგინივე და სამსონ.

ეფემია. (გიგოლის.) მაშ არა მაქვს? მოიცა აქა. (სამსონს.) ეს კლუბნიკა ჩაიტა სარდაფში და ეს პიროჟნიც ვაზებში ჩააწყე რიგიანათ. (სამსონ ართმევს ამაებს გიგოლის.) კიდენ გულ-გაღეღილი შემოხველ ჩემთან!... ღმერთმანი, უკანასკნელათ გეუბნები: თუ ერთიც დამინახვისარ აგრე, ერთ საათს აღარ დაგაყენებ.

გიგოლი. (ცალკე თავის ქნევით.) ოჴ, ჴო, ჴო, ჴო!... ცეცხლია, ცეცხლი!

სამსონ. საქმეში ვიყავ, ქალ-ბატონო.

ეფემია. (წყრომით.) პასუხსაც რო იძლევა!!... (არუთინს.) აბა, შესანახავია?! (სამსონ თავის ქნევით გადის მარჯვენა კარებით, თან გააქვს კალათა და შაქრის პური. ხოლო გიგოლი ცალკე თავს იქნევს.)

## სანახავი ი

### იგინივე, სამსონს გარდა.

არუთინ. (ეფემიას.) ასარ, ხელში საქმე აქვს საწყალს; ხედავ ოფლში იწურება... რას ემართლები?

ეფემია. არა, ძალიან ფუჭდება, და!... დღეს გულ-გაღეღილი შემოვიდა, ხვალ უსახალუხოც შემოვა!... ბიჭის კადნიერება ვის გაუ-

გონია?... ზოგ-ზოგი ქალ-ბატონებიც არიან, რომ ბიჭებს ემას-ლაათებიან... ხომ იცი მე მაგ გვარი საქმეები არ მიყვარს:.. ლაქია —ლაქია უნდა იყოს...

**არუთინ.** კარგია, კარგი... ეს ერთი აბაკტივე, მე დავარიგებ მაგას. (ცალკე.) ბედნიერი კაცი ვარ მე და ჩემმა ღმერთმა. (მიდის, კრიანოსანი ხელში უჭირავს და შუა გზიდამ მდაბალის ხმით ღიღინებს.) „პირზედ გაქვს ხალი, შავ-შავი თვალი... (გავა მარცხნივ.)

## სანახავი ია.

### ეფემია და გიგოლი.

**ეფემია.** (გაჯავრებული.) არა, შენ გაზდას, გიგოლი, ერთი დაარიგე ის უსირცხვილო, რომ მართებულათ მოიქცეს... ხომ გესმის რასაც გეუბნები?..

**გიგოლი.** მესმის, მესმის, ქალბატონო!.. მაშ არ მესმის?.. სხვას რა-ღას მიბრძანებდით?

**ეფემია.** (დამტკბარის ხმით.) აი, გიგოლი-ჯან! ეხლავ წადი თაღლი-თიანთ მაღაზიაში; იქ სარკეები ვნახე, წყვილში ორმოც-და-ხუთს თუმანს თხოულობენ... ამავე წუთაში აქ მოარბენინე... თუ გინდა ოთხი მუშა იქირავე, ეგება მოვასწროთ სანამ სტუმრები შეიყრე-ბოდნენ.

**გიგოლი.** ეხლავ, ქალბატონო... მაგრამ, აღამა ბრძანა?

**ეფემია.** (გაჯავრებული.) ეხლა კიდევ შენ!.. აღა მე ვარ... გიბრძანებ რაღა. (სცენის უკან რაღაც ჩოჩქოლი ისმის.)

**გიგოლი.** ამ საათში, ამ საათში, ქალ-ბატონო (შუა კარებს გარედ ისმის **სამსონის** ხმა: მოიცა, ჯერ მოვახსენო და!.. **პეპოს** ხმა: დაიცა-მოიცასი არა ვიცი რა!.. გამიშვი, თორემ ეხლავ!..)

## სანახავი იბ.

### იგინივე და პეპო.

პეპო. (შემოდის შუა კარიდგან ქუდ დახურული და მორთული.) ფიე!!! (ეფემიას თავს უკრავს.)

ეფემია. რა გინდა?.. ვინა ხარ?

პეპო. ვინა ვარ?.. სტუმარი ვარ, ვა!..

ეფემია. შენ?!. ჩვენი სტუმარი?!.

პეპო. სწორეთ, მე!...

ეფემია. (შეჰკივლებს.) მიშველეთ, მიშველეთ!... ვინა ხართ ქრისტიანი. (გავარდება მარცხნივ.)

## სანახავი იგ.

### პეპო და გიგოლი.

პეპო. (წინ წამოდგება და ცალკე.) აი, ცხვირიდგან ამოუვიდეს ის პური იმას, რა კაციც თქვენს პურს შესჭამს...

გიგოლი. რა გინდა, ძმაო?... რა საქმე გაქვს?

პეპო. ჰალბათ საქმე მაქვს, რომ მოვსულვარ, რაღა, ვა!

გიგოლი. არ შეიძლება, რომ ჩვენც შევიტყოთ?

პეპო. რა მოგემატება? შენ წადი, აღა არუთინას შეატყობინე, რომ მე აქა ვარ.

გიგოლი. მერე, შენ ვინა ხარ?

პეპო. მე?!... (ჯდება კუშეტკაზე.) მე ვარ.

გიგოლი. ვა!...

## სანახავი იდ.

### იგინივე და არუთინ.

**არუთინ.** (მარცხენა კარიდამ შემოდის.) რა ამბავია, რა ამბავი?!... (დაინახავს პეპოს და სასტიკათ დარჩება.)

**პეპო.** (წამოდგება, ქუდს მოიხდის და თავს დაუკრავს.) გამარჯვება, აღა არუთინ!

**არუთინ.** (გიგოლის, ხმა-დაბლა.) შენ წადი, შენი საქმე ნახე.

**გიგოლი.** (ცალკე.) მართლა, სარკეები! (გავარდება შუა კარიდამ.)

## სანახავი იე.

### პეპო და არუთინ.

**არუთინ.** ჰა?!... რისთვის მოსულხარ, ძმაო?...

**პეპო.** აი, დაბძანდით!... (თითონ მიიდგამს სკამს და ჩამოჯდება.)

**არუთინ.** (კუშეტკაზე ჩამოჯდება და ცალკე.) ჩემს სახლში მეც მიმასპინძლდება!... (ჯდება.) ერთი მითხარ: ამ დროს რისთვის მოსულხარ?...

**პეპო.** მაძღარი მშიერს რას მეკითხები?... (ხმა-დამტკბარი.) ყელს ნუ გამომჭრი, აღა არუთინ!.. თუ ამ საათშივე არ მომეცი, მადლსა იქ, რომ ბარემ აქვე მომკლა...

**არუთინ.** თუ რამ მმართებს, ძმაო, რას გემართლები!... ვისი ფული შამიჭამია, რომ შენი ფული შევჭამო?... რაღაც ბარათს ამბობდი, იპოვნე?... მოგიტანია?...

**პეპო.** (ცალკე, გულში მუშტს იცემს.) ჰმ!... (არუთინას.) ბარათი არა ჩანს, ხომ იცი?... შენ შენს დავთრებში იპოვნე, თუ არა?...

**არუთინ.** ჩემს დავთრებში ბევრი ვეძებე, ღვთის წინაშე; მაგრამ ერთი ასოც ვერ ვიპოვნე თქვენი საქმის შესახები...

**პეპო.** მაშ რა ვქნათ ეხლა?

**არუთინ.** რა უნდა ვქნათ? შენ შენთვის, მე ჩემთვის... (ჯიბიდამ ამოიღებს ქარვის მოკლე კრიანოსანს და ათამაშებს.)

**პეპო.** როგორ თუ შენ შენთვის, მე ჩემთვის?... მაშ შენის ფიქრით არა გმართებს რა ჩემი?...

**არუთინ.** ძმაო, რა უნდა მემართოს შენი? ბარათი შენ არა გაქვს, დავთრებში მე არა მიწერია რა... რა უნდა მემართოს შენი?...

**პეპო.** მაშ შენი გულის დავთრებშიაც არა გიწერია რა?

**არუთინ.** გულის დავთარი რომელიღაა?

**პეპო.** მაშ შენი სვინიდისი არას გეუბნება შენ? ხომ იცი, რომ გმართებს.

**არუთინ.** რომ ვიცოდე, ხომ მოგცემდი, რაღა!... რაღაზედ გალაპარაკებდი?...

**პეპო.** მაშ გიქო რათ ამბობს?

**არუთინ.** „მელამ თავისი კუდი მოწმათ მოიყვანაო!..."

**პეპო.** (ხმა-დატკბობით.) აღა არუთინ!... ზევით ხომ ღმერთია, შენს გულშიაც კითხულობს და ჩემს გულშიაც... მოდი ღვთისაგან ხელს ნუ აიღებ!...

**არუთინ.** რა შარებს მიგონებ, ძმაო?!... ვინმემ რომ გაიგოს, ასე ეგონება თუ მართალს ამბობ.

**პეპო.** შენ იცი, რომ მართალს ვამბობ... შენი შვილების სადღეგრძელოთ შეგვიბრალე!... ეგ ფული მე ჩემთვის არ მინდა.

**არუთინ.** (სიტყვას უჭრის.) ღმერთო შემიწყალე!...

**პეპო.** (განაგრძობს.) დამაცადე, დამაცადე... ჯერ ბოლომდინ მათქმევინე... მაგ ფულის იმედით ჩემი და დაგვინიშნავს... დავპირებივართ, უნდა მივცეთ... და თუ დღესვე არ მივეცით, ჩემს დაზე ხელს იღებენ, სხვა ქალს თხოულობენ ამაღამვე... ერ-

თი განკითხვის დღე მოიგონე და!... ხომ შენც გალაპარაკებენ იქა და მეცა!... რა პასუხს მისცემ, რომ არ მაძლევ?...

**არუთინ.** ფიე!!! (ფიქრში შედის.) იმ განკითხვის დღის მადლმა, რომ სწორეთ არ მახსოვს ეგ ვალი...

**პეპო.** სწორესაც მე გეუბნები... არა გჯერა?...

**არუთინ.** ვა! ეგ როგორ იქნება, პეპან?!... ყველა რომ მოვიდეს და აგრე მელაპარაკოს, ათი მილიონიც რომ მქონდეს, ერთ დღეს გამომელევა... არა, ძმაო, ჩვენი აღებ-მიცემის ანგარიში ეგრე არ არის!...

**პეპო.** (წამოდგება და ქუდს დაიხურავს.) მაშ არ მაძლევ, რაღა?...

**არუთინ.** ვალათ კი არა მმართებს რა, ძმაო; მაგრამ დას ათხოვებ?!... პატრონი ბძანდები. (უბიდამ ამოიღებს პორტმანეს.) აჰა, (ქაღალდის ფულს აძლევს.) სამადლო საქმეა... დაიჭი, ძმავ.

**პეპო.** (ქუდს მოიხდის და თავს დაუკრავს.) აი, ღმერთმა შვილები გაგიძლიეროს!... (გამოართმევს ფულს.)

**არუთინ.** ეგ ხუთი თუმანი... დათვალე, სწორეთ ხუთი თუმანია... ხუთ თუმანსაც, ჩემი დუქნისაგან გაიარე, იქ მოგცემენ; ამ საათშივე შევუთვლი... წადი ძმაო, ღმერთმა კეთილათ მოგახმაროს.

**პეპო.** (ფერი მისდის, ქუდს დაიხურავს და ფულს დასცქერის.) ხუთი თუმანი და ხუთი თუმანი?!... დანარჩენი?... ჩემი დისთვინ მზითვათ ას თუმანს დავპირებივართ და .

**არუთინ.** მე რა ვქნა, რომ დაჰპირებიხართ?... მიგიქარამთ და გილაყბიათ, რომ დაჰპირებიხართ... ვის ფულს ჰპირდებოდით, რომ დაჰპირებიხართ?... სახნის გვარათ გაჰსჭიმავდით ფეხსა და!... თქვენც რომ ას-ასს თუმნებს ჰპირდებით, სხვამ რაღა ქნას? ეს რა რიგათ წახდა ქვეყანა, ვაყო!... აღარავისთვის ზომა და ანგარიში აღარ არის?...

**პეპო.** ჩვენი საქმე ჩვენ ვიცით, პატრონო, თქვენი საქმე თქვენ; თუ დავპირებივართ, ჩვენს ფულს დავპირებივართ, შენ რა დავა გაქვს?

არუთინ. თუ დაჰპირებიხარ, წაიღე და მიეცი, რაღა!... რაღა გინდა?...

პეპო. მამე რომ მივცე და! არა, ემას რომ მაძლევ, მასხარათ მიგდებ, თუ რა ამბავია?!...

არუთინ. მოდი და ამათთანებს მადლი უყავი! ბიჭო, რითი ვერ გაიგე, რომ თქვენი არა მმართებს რა... და ეგეც, რაც მოგე, ჩემი სულის გულისთვის გაჩუქე.

პეპო. (გაბოროტებული თრთის.) მაჩუქე?!?!... განა მე გლახა ვარ? მოვსულვარ, მოწყალებასა გთხოვ?... მე ჩემ საკუთარებასა გთხოულობ; რათ მინდა შენი საჩუქარი!...

არუთინ. არ გინდა და აქ მომე... მე გამოვიყენებ... გლახა ამპარტავანს რომ იტყვიან — ეს არის, აი!... მოიტა, რაღა, მოიტა... რაღას შემომცქერიხარ?...

პეპო. მაშ სრულათ არ მაძლევ, რაღა?...

არუთინ. ბიჭო, გაგიჟებულხარ, თუ რა ამბავია? რა გინდა ჩემგან?.. ძალათ კისერზე ვალის დადება იქნება ქვეყანაზე?...

პეპო. (წინ წაიწევს.) აბა დაიფიცე რომ არ გმართებს, დაიფიცე, რაღა... თუ კაცი ხარ და დაიფიცავ...

არუთინ. ფიცი, რჯული, (პეპო საშინლად ღელდება.) ღმერთი, ცა, ჩემი შვილების მზემ, რომ არა მმართებს რა!...

პეპო. (განრისხებული.) აი, ცაცა და ღმერთიც გაგიწყრეს!!!... (არუთინას პირში მიარტყამს ფულებს.) აჰა, დაიჭი, შენს თვალში იყოს! ცოლისთვის გექნება რამე სასყიდელი!...

არუთინ. (წამოხტება, ყვირის.) მიშველეთ! ყარაულ! მომკლეს! ყელი გამომჭრეს!!!... (შემოცვივდებიან მარცხენა კარებიდამ ქეთემია; მარჯვენა კარიდამ — სამსონ მორთული და მოკმაზული, როგორც ქეთემიას დაერიგებინა მესამე სანახავში; ხოლო შუა კარიდამ — ორი სხვა მოსამსახურე (აფიციანტები) ფრაკით და თეთრის ხელთათმანებით. სურათი.)

## სანახავი ივ.

**იგინივე, ეფემია, სამსონ და ორი აფიციანტი.**

**პეპო.** (მარცხენა ხელით ანიშნებს მსახურებზე და არუთინას.) ეს არის შენი გაცობა, რაღა?!... (ხან-გრძლივი სიჩუმე.) აი, არამი იყოს შენთვის შენი სიმდიდრე!!!...

**არუთინ.** (გაშმოთებული, მსახურებს.) ბიჭო, მიშველეთ და! რას გაშტერებულხართ? ხედავთ მოკვლას მიპირობს!!!... (მსახურები მისცვივდებიან პეპოს.)

**პეპო.** (მსახურებს ხელს წაჰკრავს.) მოიცადეთ, იქით! (არუთინას.) ეს ოქროს კედლები რომ გაგიმართავს, ვისი ფულით?... ათასი ჩემის-თანა გაგიცარცვავს განა?!... ქვიშა და კირი ჩვენის სისხლით აგირევია განა?!... ყველასთვის თვალები აგიბამს და ეხლა მშიმეთ და უზრუნველათ გამოჭიმული შენთვის ქეიფობ რაღა?!...

**ეფემია.** გააგდეთ, გააგდეთ!...

**არუთინ.** გადი, გადი მეთქი!... (მსახურებს.) გააგდეთ, არ გესმით?

(მსახურები მისცვივდებიან პეპოს.)

**პეპო.** გამაგდონ?!... (მსახურებს ხელს წაჰკრავს და შაუტევს.) იქით, იქით!... (მსახურები ცოტათ ჩამოეცლებიან და გაჩერდებიან შუა კარებ წინ. არუთინას.) ფულებზედ ჰაშას მეუბნები და მაგდებ კიდეცა?!... გავალ, გავალ, მეტი რა ღონე მაქვს, ძალა შენია; მაგრამ კარგათ იცოდე, ბატონო არუთინ, რომ ეს საქციელი შენ არ შეგრჩება!... ზევით ღმერთია, ცხვირიდამ ამოგადენს შენს უსამართლობას!... (მიდის და მსახურებს შეეფეთება.) იქით, იქით!... (გადის შუა კარიდამ.)

**არუთინ.** (პეპოს შემდეგ, მსახურებს.) წადით, გაჰყევით, არა გაიტაცოს რა, არა წაიღოს რა!... (მსახურები გაცვივდებიან პეპოს შემდეგ.) ამისთანა ლუპუსტაციც?!... (დაიხრება და ფულებს აჰკრეფავს.)

## სანახავი იზ.

### არუთინ და ეფემია.

ეფემია. გიჟი იყო ის კაცი?... რა ამბავი ჰქონდა?...

არუთინ. (ფულებს უბეში იდებს.) მოდი და ამისთანებს სიკეთე უყავი ეხლა.

ეფემია. ეს რა იყო, კაცო?... არ იტყვი?...

არუთინ. ღმერთმა ნუ იცის იმისი თავი... დას ვათხოვებო; მე რა ვქნა რომ ათხოვებს?!...

ეფემია. მაშ იმას რას ამბობდა, რო ფულზედ ჰაშა ჰკარიო?

არუთინ. აბა შენგნით არ მიკვირს ეფემია?!... ფულზედ ჰაშა ვკრა და ისიც მაგისთანა კაცისა?!... არ მიცნობ მე?

ეფემია. ეგ ფულები, რო უბეში ჩაიდე, იმისი არ იყო მაშა?

არუთუნ. იმის მამას აქვს ცხონება! მთელი ჩემი ქონებაც იმისი იქნება მაშ... მოვიდა, თუ საწყალი კაცი ვარო, ჩემი დისთვის მზითევი არა მაქვსო, შენი შვილების სადღეგრძელოთ გვიშველეო... მეც ახმახათ გავბრიყვდი, ამოვიღე და ვაჩუქე!... (გაცხარებული.) მადლობის მაგიერი იყო?! აიღო და შუბლში მომარტყა... ცოტა არისო!...

ეფემია. (ღოყას იკაწრის.) უი, დამიდგეს თვალი; მართალს ამბობ, არუთინ-ჯან?...

არუთინ. მაშ ტყუილს ვამბობ...

ეფემია. (გაჯავრებული.) შენზედ ჰასია!... ძალიან კარგაც უქნია!... ეგ იმან იცოდეს, რომ საყდრიდგან გამოსვლისას, ასი გლახა რომ იდგეს კარებზე,—ყველას ხელში ჩამოურიგებ: (მარცხენა ხელს გაშლის და მარჯვენით ვითომ ზედი-ზედ ფულს იწყობს.) დაიჭი, დაიჭი, დაიჭი!... მერე აგრე უნდა დაანებო თავი მაგ გაუპატიურებას?

არუთინ. რა უნდა უყო?...

ეფემია. ქვეყნის ლაფი თავზედ დაგასხა...

არუთინ. რა ვქნა?

ეფემია. ვუი, დამიდგა თვალები!... აღარა დარჩა რა, რომ არ გითხრა, და იმდენ ბიაბრუობას შესჭამ?... რას იტყვის ხალხი?...

არუთინ. ხალხმა რა იცის? თავში ქვა ისაღოს! დეე, საწყალი კაცია...

ეფემია. როგორ თუ ხალხმა რა იცის!... იმდენ მსახურებთან არ იყო, რომ შემოგყვირა და შემოგკივლა?!... მთელი ქვეყანა გაგიცარცვავსო, ოცი ათასი საწყლის სახლი დაგიქცევიაო, ეს საქციელი შენ არ შეგრჩებაო, და ამეებს მოინელებ შენა?... მოსამსახურების პირში დადგება რამე?... არ იცი, რომ ხვალ ამ დრომდის მთელი ქალაქი გაიგებს?... კაცი ვიყო, თავზედ ქუდი მეხუროს და დავთმო, რომ იმისთანა პაკარნმა ჩემ სახლშივე გამაუპატიუროს და იძახდეს: ჩემს ვალს ჭაშას ჭკრამო?!... თავათაც რაც გინდა შენზედ ამბობენ და ესლა რაც აკლია ისიც დასრულდეს?!...

## სანახავი იჱ.

### იგინივე და გიგოლი.

გიგოლი. (შემოდის შუა კარიდამ.) სარკეები მოვიტანე, ქალ-ბატონო!

ეფემია. სარკეები?!... (ჩქარა მიდის და შუა გზიდამ არუთინას.) ერთი მოდი, ერთი მოდი, არტუშკა-ჯან, ნახე თუ რა სარკეებია!.. (გავარდება შუა კარიდამ, გიგოლიც თან გაჰყვება.)

## სანახავი ით.

არუთინ. (მარტო.) ბიჭო, მართლა რა ოინს მომივიდა ის ლოთი პაკარნი!... დიდი და პატარა აღარ არის ქვეყანაში!... იმისთანა

გლახა ღატაკმა ასე მიყვიროს?!... (დადის.) იმ ნაირი სიტყვე-ბი მითხრას?!... (სარკეში სწორდება.) დაირღვა, დაირღვა ქვეყნის საქმე!... (სარკეს მოშორდება.) „გმართებსო...“ გაგიჟებულა? რა მმართებს, რის ფლავი, რის ბოზბაში?... ვინ ჴსთქვა რომ მმარ-თებს?... ვინ იცის რომ მმართებს?.. თუ მმართებს—რატომ დღევანდლამდისინ არ მიმიცია?... ან იმას რომ მივცე, სხვებს რაღა უთხრა?... სხვებმა რაღა დაამშვეს?... არა, (ჯდება.) არა მმართებს რა, ტყუილათ შარს მიგონებენ... თუ მმართებს, რა-ტომ ბარათი არა აქვს?... სად არის?... ვისა აქვს?... რა ბარა-თი?... ბარათი არ არის!... წასულა!... დაკარგულა!... თორემ რაღა დღისთვის?... მაგრამ იმ ლოთმა პაყარნმა უნდა ქვეყნან იყვიროს, რომ ფული მმართებს და არ ვაძლევ!... (წამოხტება.) არა, არა ქოჭემია სწორეთ ამბობს: უნდა მე თითონ დავიყვირო, მე თითონ ვიკიყინო, ქვეყანა და დედა-მიწა შევსძრა, რომ მე, ჩემისთანა პატიოსანი კაცი, ასე გააუპატიურეს, ამ ნაირს შა-რებს მიგონებენ!... მოიცა, მე შენ გიჩვენებ, ლოთო პაყარნო!.. (გადის მარცხნივ. ფარდა.)

## მოქმედება მესამე.

---

პირველი მოქმედების ოთახი, იმავე სახით მოწყობილი. ბადე თოკზეა გადაფენილი. დილაა.

---

## სანახავი პირველი.

**ბ ე ბ ე.** (მარტო, ტახტზედ ზის; პატარა ხანს ჩუმათ საკერავს ჰკე-რავს, მერე დაიწყობს წყნარათ მღერას:)

ჩემი ბედის წვეულო,
ახლა ჩემთვის ეულო!...
რისთვის მასალმე სოფელს?
უდანოთ რათა მჭრის ყელს?!...
(თვალებს იწმენდავს.)
ბულბულივით მიმღერდი,
რათ მოგძულდი უმაწვილო?!...
(ტირილის ხმით.)
სისხლით რაღათ მიღებდი,
გვირგვინსა საქორწილოს?!...
(ტირის ჩუმათ.)

ახ, ღმერთო! მეც ვიტყვი ადამიანი ვარ, მეთქი!... რისთვის გამაჩინე?... რის მაქნისი ვარ ქვეყანაში?... უბრალოთ მიწას ვამძიმებ... ის უფრო უკეთესი არ იქნება, რომ მიწაში ვიდო და ჩემ საფლავს ფეხ-ქვეშ სთელამდნენ?!... რატომ არ მომკლავ,

ღმერთო?... შენ ხომ უკეთ იცი, რომ სიკვდილი უფრო უმჯობესია ჩემთვის, ვიდრე სიცოცხლე!... (სიჩუმე.) წყალში ჩავარდე?... თოკით თავი დავიხრჩო?... დანა ვიკრა გულში?... შენ რაღა პასუხი მოგცე?... (ტირის.) ღმერთო, ღმერთო!... ან მეხი დამეცი თავზე, ან ხიდზედ გავლისას ხიდი გამომიშალე ფეხ-ქვეშ, ან მიწაზედ სიარულის დროს, დედა-მიწა გასხეთქე და თან ჩამიტანე!!... (ტირის.)

## სანახავი ბ.

### იგივე და შუშან.

**შუშან.** (შემოდის მარცხენა კარიდამ.) კიდევ ტირი, კეკე?...

**კეკე.** (თვალებს იწმენდს.) ტირილის მეტი რაღა ნუგეში დამრჩენია, დედავ?!... ეს ცრემლებიც რომ არ მოეცა ღმერთსა, გულს რითი გავიგრილებდი?...

**შუშან.** განა მაგდენი ცრემლი იქნება, შვილო?!... ხო გაშრი სრულათ!...

**კეკე.** მაშ რა ვქნა?... გულზედ ასე მგონია მარილის ქვა მაწევს მეთქი!... კიდევ ცრემლები მშველიან ცოტათოდენს, თორემ ნაღვლით ლამის დავიხრჩო...

**შუშან.** ნაღველი და ღვთის რისხვა მიეცეს იმ გულ-მკვდარსა!... ღირსი კია, რომ მაგდენს ნაღვლობ იმისთვის?...

**კეკე.** ქვეყანაში სახელი გამიტეხა, ყელი გამომეჭრა, ტოლისა და სწორის პირზედ ვეღარ შემიხედნია; ესეც სიცოცხლეა?!...

**შუშან.** ნუ ნაღვლობ, კეკე-ჯან, ნუ ნაღვლობ; ღმერთი მოწყალეა, იქნება იმაზედ უკეთესი ქმარი გამოგიჩინოს...

**კეკე.** თვალი ქმარსაც დაუდგება!... იმათ სინიდისი აქვსთ?... იმათ სული აქვსთ?... მე მაკოცა და ჩემი კოცნა წაიღო და სხვას მისცა!... (თავში იცემს.) დედა-მიწა გასქდეს და თან ჩამიტანოს!... ზეცას პირში როგორღა უნდა შევხედო?!...

**შუშან.** აბა, შენ რო მაგეებს ამბობ, ბებე, მე რაღა ვქნა?... (ტირილით.) ცოდო არა ვარ?... მაშ მე როგორ გაუძლო ჩემს შავსა და ბნელ დღეს ერთ მხარეს და შენ მეორე მხარეს?!... მაგ გვარი მაგალითები ბევრი ყოფილა შვილო!... მარტო ჩვენთვის ხომ არ არის გაჩენილი ქვეყანა!... რამდენნი არიან ჩვენისთანები!.. რამდენნი ჩვენზედ უფრო შესაბრალისნი არიან, პურის ნატრულნი ჰყრიან, ლუკმა ენატრებათ, კარ-და-კარ გლახაობენ და თუ იმ ლუკმა-პურსაც ათასში ერთი ვინმე აძლევს, დანარჩენები კი კისერში კვრით კარში აგდებენ!... ჩვენთვის ხომ ღმერთს ერთი ლუკმა მაინც მოუცია... მადლობა იმასა!... რასა იქ?!... ალბათ ჩვენს შუბლზედ ესე ეწერა!... კიდევ მადლობა შევსწიროთ იმას, შევევედროთ, რომ ამაზედ უარესი დღე არ დაგვაყენოს, ჩემს პეპოს ჯანი მისცეს, რომ რა ლუკმასაც გვაძლევს იმის ხელით, ის ლუკმაც არ მოგვაკლოს!...

**ბებე.** ნეტავი მე ღმერთმა სიკვდილი მომცეს, მეტი არა მინდა რა!

**შუშან.** ნუ იტყვი, ნუ იტყვი მაგას, ბებე-ჯან!... (ეხვევა.) ნუ სცოდავ ღმერთსა! შენ გენაცვალოს დედა!...

**ბებე.** (შუშანას ეხვევა.) ახ, დედი-ჯან!... (ჩუმათ ტირიან. სურათი.)

## სანახავი გ.

### იგინივე და გიქო.

**გიქო.** (შემოდის შუა კარიდამ ქუდ-დასურული და ხელში ჯოხი უჭირავს.) ვა?!... დალოცვილის შვილებო, მაგის მეტი საქმე არა გაქვთ რა?...

**შუშან.** (უშვებს ბებეს.) სხვა რა საქმე უნდა გვქონდეს?... (მწარის დაცინებით.) თუ გინდა შენ ტაში დაუკარ, ჩვენ კი ვითამაშებთ...

**ბებე.** (საკერავს აიღებს.) ახ!... (თვალების წმენდით გადის მარცხენა კარიდამ.)

## სანახავი დ.

### შუშან და გიქო.

**გიქო.** ეეე!!! კმარა, მამა გიცხონდათ!... ადამიანსაც ცოტა ოდენი მოთმინება უნდა ჰქონდეს!... რა დაგემართათ?... სულ სტირით, ხან ერთი და ხან მეორე... ეგრე იქნება?...

**შუშან.** (ჯდება ტახტზე.) რასა იქ, რაც ჩვენ საქმე მოგვივიდა, ღმერთმა ჩვენს მტერსაც ნუ მისცეს!...

**გიქო.** ღვთის საქმე შენ არ იცი შუშან!... სხვა ნაირათ გაუმართავს ქვეყანა: სიხარულთან დარდს აძლევს კაცსა და დარდის შემდეგ სიხარულსა... (დაჯდება მარჯვნივ სტოლთან და ბურნუთს ეწევა.) ჰმ!... ეეე!!! (ორივე ხელის წინა თითებს ერთმანეთს მიატკუცებს.) ესე არიან, აი, და და ძმა... როგორც და და ძმა ერთმანეთს ვერ წაუვლენ, ისრეც სიხარული და მწუხარება...

**შუშან.** (ცალკე.) თვალიმც გამოგძვრება!...

**გიქო.** ძალიან კარგად გაუმართავს და!... ეუბნება კაცსა: ეს შენ სიხარულიო, წადი იქეიფეო! იმ ქეიფში კი ერთიც ვნახოთ ერთ დარდს გამოურევს, რომ რა არის?!—ჰა!!! თითონ არ დავივიწყოთ!... გმადლობ შენ უფალო!...

**შუშან.** ნეტავი ვიცოდე, რა დროს ქადაგებაა?!...

**გიქო.** მოითმინე; შუშან, მოითმინე!... ახარ, შენ არ იცი, თუ ამ სიტყვებს რა მოზდევს... მე თითონ ვიწვი, ვიდაგები; მაგრამ რაღას უშველი... ერთის მხრივ ვფიქრობ, რომ იქნება ჯოჯოხეთში წავიდე; მაგრამ მეორე მხრივ ვამბობ: ალბათ ეს ღვთის საქმე იყო მეთქი... ესლა გინდათ მე მომკალით, გინდათ ღმერთი ადიდეთ, რომ სული პირში მაქვს და ვლაპარაკობ...

**შუშან.** დრო გიპოვია შენცა, გიქო!... უიმისოთაც ლამის ჯავრით გავსქდე...

**გიქო.** მეც მაგას ვამბობ, შუშან, და!... შეხე, ეხლა, თუ მაგ ნაღველს რა სიხარული მოსდევს. (შუშან გაკვირვებით უყურებს.) გიკვირს განა, შუშან?!... ზოგ სეირს მაშინ უყურე, როდესაც ყველაფერს ვიტყვი. (ჯიბიდგან დაკეცილს ქაღალდს ამოიღებს და მარჯვენა ხელით მაღლა ასწევს.) აი!!!

**შუშან.** ეგ რა არის?

**გიქო.** რა არის!... ის არის, ის, შუშან!...

**შუშინ.** რომ არ მესმის?!...

**გიქო.** აი, გაიგებ... ღმერთი რომ მოთმინებას ურიგებდა, დედა-კაცს უფრო ნაკლები წილი მისცა... ეხლა რაც მოთმინება მოუცია შენთვის უფალს, სულ ერთათ მოიგროვე და მძიმეთ და დაწვრილებით ყური დამიგდე, რომ არა შამეშალოს რა...

**შუშან.** (ცალკე.) ნეტა ამ გვარი კაცი-და იქნება?...

**გიქო.** (განაგრძობს.) იცი, რა არის, შუშან... ცხონებული შენი ქმარი...

**შუშან.** (ხან-გრძლივ ამოიოხრავს.) უჰ!!!...

**გიქო.** (ჯიბიდგან ლურჯს ხელ-სახოცს ამოიღებს, თვალებს იწმენდავს და ტირილის ხმით.) ღმერთმა აცხონოს! ღმერთმა ნათელი დააყენოს!... კარგი კაცი იყო, სახელოვანი ადამიანი იყო სალოდავი; რამდენჯერ წასულა ცხენით განჯას და მოსულა ის ცხონებული...

**შუშან.** (ოხვრით.) ახ, ახ, ახ!...

**გიქო.** ეჰ, წუთო სოფელო, შუშან!...

**შუშან.** მერე?...

**გიქო.** ჰო... (მოსვენებით.) სიკვდილის რამდენიმე დღის წინათ... მე ხომ იცი სულ გვერდით ვუჯექი... ოთახის კარები დამაკეტინა... დავრჩით მე და ის ცხონებული...

**შუშან.** (მწუხარეთ.) მახსოვს!...

**გიქო.** (ტუჩებზედ ხელს მიიფარებს.) მოითმინე... ჯიბიდგან გასაღები ამოიღო და ის თქვენი შავი ყუთი მოითხოვა... მეც მი-

ვუტანე... გააღო, ეს ქაღალდი ამოიღო, მე მომცა... ანდერძათ დამაბარა, რომ უკანასკნელ დრომდინ ნურც შუშანას უჩვენებო და ნურც პეპოს შეატყობინებო... ჩემი პეპო ჯერ ყმაწვილიაო, კაი თუ გააფუჭოსო და ჩემი შუშანა დედა-კაციაო, კაი თუ პეპოს ხელში ჩაუგდოსო... სანამ დრო არ მოვიდესო, ნურც ერთს ნუ ეტყვიო თუ შენა გაქვსო... (იმ დაკეცილ ქაღალდს ხელის ზურგსა სცემს და ტირილის ხმით მაღლა.) ჩემი გეგეს მზითევი ამაშიაო...

შუშან. (წამოსტება.) ეგ რა ქაღალდია, განა?!...

გიქო. რა ქაღალდია?... არუთინას ბარათი!...

შუშან. (მივარდება გიქოს.) რას ამბობ, გიქო?!... (ქაღალდს გამოგლეჯს ხელიდამ.) გინდა სული ამომართვა?! (ქაღალდსა ჭმლის და ცნობულობს.) ეს არის!... მიშველეთ!... გული მიმდის!... (მიდის, თავის ადგას დაეშვება და გაკვირვებული გიქოს შესცქერის; ხან-გრძლივი სიჩუმეა. სურათი.) კინაღამ მოვკვდი!... მერე, შე უღმერთო, აქამდინ რას ინახამდი?!... გეგე მოჭკალი და ეხლა?!...

გიქო. მე ბრალი არა მაქვს, შუშან!... იცის ღმერთმა, რომ მე ბრალი არა მაქვს...

შუშან. (სიჩქარით.) აი, ღმერთმა გიყოს და გისამართლოს!... ეგრე აასრულე ანდერძი?!...

გიქო. ერთი ყური დამიგდე და!...

შუშან. (სიტყვას უჭრის.) ყური შენ და ღვთის რისხვა!... ეს სამართალია რო შენ ჩაიდინე?...

გიქო. ახარ, შუშან!

შუშან. (დაუყოვნებლივ გიქოს პირში სიტყვას აწყვეტინებს, სანამ ის წამოდგება.) ახარ შენ და... (ცალკე.) დიდი ჭირი!.. (გიქოს.) ლობიო!...

გიქო. ფეი!!!...

შუშან. არა, რისთვის შეინახე, რისთვისა, დღემდის?... შენს ღმერთს რას ეუბნებოდი?... შენ სულს რა პასუხს გასცემ?...

გიქო. დედა-კაცო, ერთი ყური დამიგდე და!...

შუშან. აბა, ჰსთქვი და რაღა!...

გიქო. აი, შუშან...

შუშან. (განაგრძობს.) სთქვი, სთქვი!...

გიქო. ოოვე!!!

შუშან. ვნახო, რას იტყვი?!...

გიქო. არ იცი და...

შუშან. ერთი ტუტუცური უნდა სთქვა რამე, რაღა?...

გიქო. სიტყვას პირიდამ ნუ მართმევ და!...

შუშან. პირი ღვთისა გაგიწყრეს შენა, ჰა!...

გიქო. (წამოდგება და ქუდს იბერტყავს.) აღარა ვიცი რა... (მიდის.) დედა-კაცისთანაც მოუსვენარი?!...

შუშან. (გიქოს მისძახის.) მოიცა, მოიცა, გიქო!...

გიქო. (დაბრუნდება.) ახარ, შე დალოცვილის შვილო, ცოტა მოთმინება გქონდეს, მეთქი, და!... მე კი ძალიან მიხარიან, რო ესე მოხდა საქმე?... მაგრამ, ღვთის წყობილებას როგორ უწინააღმდეგოს კაცმა?... (დაჯდება იმავე ალაგას და ბურნუთს დაუწყებს წევას.) ჰმ!...

შუშან. (ცალკე.) აი, მეხი კი დაგვაყარე!...

გიქო. (ცხვირს იწმენდს.) შენ არ იცი თუ რა ოინი მოსულა ჩემს თავს...

შუშან. ნუღარ გააგრძელებ, თუ ღმერთი გწამს!...

გიქო. აღარ, აი ეხლავ, ცოტაღა დამრჩომია... მაგ ბარათს რომ მაძლევდა ის ცხონებული, ბევრი უთხარ: ჩემი საქმე არ არის მეთქი, მაგისთანა მძიმე ტვირთს კისერზედ ნუ დამადებ მეთქი, მოსვენება აღარ მექნება მეთქი; მაგრამ არ მომეშვა... ჰალალი კაცი ხარო, გიქო... (ტირილით.) შენს იქით გზა არა მაქვსო... ეჰ, მეც რაღა ჩარა მქონდა, ერთი მითხარი?... ავდექ და გამო-

ვართვი ზარათი... სამ-ოთხ დღეს უკან სულიც მიაბარა საწყალმა!... ღმერთმა აცხონოს იმისი სული!.. (თვალებს იწმენდავს.) შუა მდგომელი იყოს იქ თავის კაკესთვის!...

**შუშან.** (თვალებს იწმენდავს და განგრძელებულის ამოხვრით.) ოჰ, ოჰ, ოჰ!!!...

**გიქო.** ეჰ!... მახლას!... ყველანი სიკვდილის შვილნი ვართ!... (ჩაფიქრდება.) სად ვიყავი?...

**შუშან.** ზარათი რომ ჩაგაბარა იმ წყალ-წაღებულმა...

**გიქო.** ჰო, ჩამაბარა!... გამოვართვი, წავიღე შინ და შევინახე... ზოგი კაცია ხაზინას ინახავს... ნეტავი იმას მილი როგორ მოსდის ღამით?... შევინახე... ძველი სიგელები მქონდა, ერეკლე ბატონის დროისა... მე ხომ ერთი ქოხის მეტი არა მაბადია რა... მაგრამ იმ სიგელებს ისე ვინახამდი, ხანდისხან წავაკითხებდი ვისმეს... მიამებოდა... შენ არ გინახამს, შუშან!... ჯერ ღვთის სახელი არის დაწერილი თავზედ, მერმე ქრისტესი, მერმე სულის წმინდისა, მერმე მოზდევენ, ჩემო ბატონო, მახარებლები, წმინდანნი, სულ თითო-თითოთ; იმდენი ლოცვა-კურთხევა, იმდენი საქმეები... ეჰ! წავიდა სულ ერთიანათ!... ავსუს, ავსუს, ჩვენო დროებავ!...

**შუშან.** ეგ ძალიან შორს წახველი, გიქო!...

**გიქო.** შორს კი არა, ძალიან დაუახლოვდი... ახარ სწორეთ იმ სიგელებში შევინახე ეგ ზარათი... შევკარი, ჩავდე სკივრის კუთხეში... გასაღებსაც ჯიბიდან არ ვიშორებდი... თვე არ გაივლიდა, ერთი ორ-ჯერ სკივრი არ გამეღო და არ გამეშინჯა... ამანათისთანა ძნელი არა ყოფილა რა ქვეყანაში!... სულ ღმერთო, ღმერთოს ვიძახდი, რომ კაკეს ბედი დროზედ გახსნოდა და გახსნა კიდეც ღმერთმა... ერთ დღესაც გაღებ სკივრს, ვხედავ სიგელები აღარ არის!... ჰაი აქეთ, ჰაი იქით... არ არის, არ არის, არ არის!... ამათ გარდა რამდენიმეც ძველი, ძალიან ძველი აი, შავი ფულები მქონდა... ისინიც იმ სიგელებთან გამ-

ქრალა!... სხვა რამეები კი სკივრში თავ-თავის ადგილას ხელ-უხლებლათ, სალ-სალამათათ აწყვია!... ძმაო, თუ ქურდი მოვი-და, ძველი გროშების წაღებას, ახალი ფული წაეღო!... ორ თუ-მანზედ მეტი სულ ახალთ-ახალი ნიკალაის ჭრელ-ჭრელი მანე-თები მქონდა... თუ ეშმაკი შეძვრა სკივრში, ისე როგორ შევი-და და გამოვიდა, რომ ერთი ნაჩვრეტი არსად დარჩა?!... თუ არა და სკივრი დაკეტილი, გასაღები ჯიბეში, როგორ გაქრა ისინი?... რაც ჩემი ყოფა იყო, შუშან, ის მარტო ღმერთმა იცის!... ერთ დღეს ხომ სული მაქვს მისაცემი... ქერი გინდა მე ვაურევინე, ქვემერდი გინდა მე გავახსნევინე, დაჩოქილი, საყდრის გარშემო გინდა მე შემოუარე... მადა შამეკრა, ძილი გამიტყდა, მაჯლაჯუნა შევიქენ... აქ ხომ, რამდენსაც თქვენ გხე-დამდით, რამდენიც თქვენი ტირილი და ვაება მესმოდა, იმდენი გული მეთუთქებოდა... რამდენჯერ მინდოდა ეს საქმე თქვენთვის გამომეცხადებინა, მაგრამ შიშით ველარას ვამბობდი, ენას ვერ ვანძრევდი, რას იზამ ?!... მაგრამ არა სთქვა, შუშან, თუ თქვენს ცოდვას წავიღებდი; ჩემი ვედრება სულ ის იყო, რომ მანამ თქვენი ვალი არ გადამეხადა, ღმერთს ჩემთვის სული არ წაერ-თმევინა!... გეხსნით არ ვამბობ, შუშან, ღმერთმან იცის, ქოხი დავაგირავე თქვენთვის და ფულები ამ ორიოდე დღეში უნდა მომცენ; მაგრამ რაღას უშველის, რომ დროზედ ვერ მოეს-წრო?... ალბათ ესე უნდა ყოფილიყო!... დიდება შენთვის ღმერ-თო, დიდება!... ვენაცვალე შენს ძლიერებას !...

**შუშან.** მერე, როგორღა იპოვნე ეს ბარათი?...

**გიქო.** როგორ ვიპოვე?!... მე ხომ არ ვიპოვე, შუშან; თითონ მო-ვიდა... ეხლა მკითხე თუ როგორ?...

**შუშან.** (ცალკე.) ვაჰ, სული ამომართვა, რაღა!...

**გიქო.** (განაგრძობს.) ის ჩემი ეშმაკი დის-წული...

**შუშან.** ეხლა რო რუსეთშია?

**გიქო.** ჰო!!!... სწორეთ ის ჩემი ბატონის შვილი... სანამ აქ იყო,

ერთს დღეს ბევრი შემეხვეწა: ეგ სიგელები მე მომეციო, სწავლაში ჩემთვის საჭიროაო, რათგანაც ძველებური ამბებიაო... სწორეთ გითხრა, არ მივეცი; არ დახიოს და არ გადაყაროს მეთქი... ახლა, თუ ახალს სწავლას მისდევენ, ძველი რაღათ უნდათ?.. გაიარა, თავი დამანება... წასვლისას...

შუშან. იმის წასვლა ერთი სამი თვე იქნება, განა?...

გიქო. ჰო, დიახ!... ის თურმე ნუ იტყვი გასაღებს ჯიბიდგან ამომაცლის, ვინ იცის რა სიზმარში ვიყავი მე იმ დროს, ლაზათიანათ სკივრს გააღებს, სიგელებს და ძველ ფულებს ამწაპნის, სკივრს ისევ დაჰკეტამს, გასაღებს ისევ ჯიბეში ჩამიდებს და ჰაიდე!!!... მოდი და ახლა შენ მე „ლობიო" დამიძახე; ვნახოთ თუ ჩემზედ უფრო ყოჩაღის ხელიდამ რა გამოვიდოდა?!... ახლა, კაცის სიტყვას ჯერ გაიგებენ, შუშან, და მერე ისე წაუყვედრებენ, თუ საყვედუროა; თორემ ლობიომ რა ჰქნას, რო ლობიოს მეძახი, შუშან?!...

შუშან. მერე?

გიქო. მერე ის, რო ეს ბარათი ფოშტით გამოუგზავნია, დღეს მივიღე, და ერთი ურემი სუმრობაც მოუწერია: შენი სიგელები საფრანგეთს გავგზავნეო და შავი ფულისათვის, თუ გინდა მენდალს გამოგიგზავნიანო, ეს ბარათიც შენი ფეშქაში იყოსო!...

შუშან. დედა-მიწა გასქდეს და იმის ეშმაკი თან ჩაიტანოს, აჰა!!!...

გიქო. აბა, შუშან, მე რა ბრალი მაქვს?...

შუშან. ბებე კი მიკვდება და!... რა ვქნა, რომ ბრალი არა გაქვს!...

გიქო. ღმერთი მოწყალეა, შუშან, ღმერთი!...

შუშან. ჩვენ კი ჩვენი დაგვემართა და რაღა მოწყალეა!...

გიქო. ნუ იტყვი, შუშან, ნუ იტყვი; იმის განგებას ვერავინ მისწვდება... ალბათ იმისი ნება ასე იყო...

შუშან. დიდება იმის სახელს!... რა ვქნათ!...

გიქო. კარგი კაცი რომ ყოფილიყო, ჩემ ფულის გულისათვის არ გაუშვებდა ბებეს...

**შუშან.** მეც ვითომ მაგით ვნუგეშობ ხოლმე; მაგრამ რაღა ეშ-
ველება: აბრუ გაგვიწყდა, ნამუსი წაგვერთო, ქვეყანაში ყბე-
ნი და მასხარა შევიქენით... ვიღა ითხოვს ჩემს კეკეს?!... საბ-
რალო ჩემო კეკე!... (ტირის.) დღე დაუბნელდა!... მზე გაუ-
შავდა!...

**გიქო.** ეჰ, გეყოფა, მამა გიცხონდა, შუშან!...

**შუშან.** (ტირილით.) ახ, კეკე-ჯან, კეკე!!!...

**გიქო.** (თვალებს იწმენდავს და ტირილის ხმით.) ოჰ, ჰო, ჰო!!!...

## სანახავი ე.

### იგინივე და კაკული.

**კაკული.** (შემოდის შუა კარიდან, ქუდ-დახურული.) აქ უყურე!!!... შე-
ნის ძებნით ჯანი გამვარდა და შენ კი აქ მძიმეთ გამოჭი-
მულხარ?!...

**გიქო.** ჰა, რა ამბავია?...

**კაკული.** (გიქოს მკლავზედ ხელს წაავლებს.) ადექ, ადექ მალე.

**შუშან.** რა მომხდარა?...

**კაკული.** ღმერთმა ნუ იცის საწყალი კაცის თავი!...

**შუშან.** (შეშინებული.) რა არის?...

**კაკული.** პეპო წაიყვანეს დღეს დილას...

**შუშან.** სად წაიყვანეს?... რას ამბობ?...

**კაკული.** აი, იმ ჯოჯოხეთის მაშხალას რაღაც საჩივარი შეუტანია...

**შუშან.** ვის? რა საჩივარი?...

**კაკული.** აი, იმ შეითან არუთინას... თქვენი ფული რომ ჰმართებს.
(გულში ხელს იცემს.) თუ ერთი ჩამივარდა!!!...

**შუშან.** ვაი დამიდგეს და დამიბნელდეს თვალები!... მერე, რას უზ-
მენ ჩემს პეპოს?...

**კაკული.** ვინ იცის დედავ?... რაც არ გვიყოს საკვირველი ის იქნება...

(გიქოს.) ადე, ნუღარ იგვიანებ, გიქო, და; დილას აქეთ შენ გემებ, იქნება ვეღარც კი მიუსწროთ.

**შუშან.** ფული იმას ჰმართებს და კიდენ ისა ჩივის?!... ღმერთმა გკითხოს შენ, არუთინ!... (გიქოს.) ადექ, რაღა, კაცო, არ გესმის?... წაიღე, წაიღე ეს ბარათი, პირი გაუშავე. (გიქო ართმევს ბარათს.)

**კაკული.** რა ბარათი?

**შუშან.** აი, გზაზედ გეტყვის.

**კაკული.** (გიქოს წამოაყენებს.) კაცო, დალურსმული ხარ მანდა?...

**შუშან.** ახ, ღმერთო, ღმერთო!...

**გიქო.** (წამოიწევს.) აი, წავიდეთ, წავიდეთ... (ბურნუთის წევას აპირობს.) ვნახო თუ ეხლა როგორ დადგება უარზე?...

**კაკული.** (ხელიდამ წაართმევს კოლოფს.) კაცო, წამო, გზაზე მოსწიე, რაღა, ვა!!... (ძალათ მიჰყავს.)

**გიქო.** (მიმავალი.) უჰ, უჰ, უჰ!...

**კაკული.** (გაჰყავს.) ზახრუუუთი!... (გადიან შუა კარიდამ.)

## სანახავი ვ.

**შუშან.** (მარტო, ზეზე.) ნეტა რას გვემართლები ღმერთო? რა დაგიშავე?... ჯერ თვალი გამომთხარე—ქმარი წამართვი, მერე ქალის ბედი დამირღვიე და დამიქციე, ეხლა რაღას მიმზადებ ჩემი შავი და ბნელი დღისათვის?... შემიბრალე, ღმერთო, შემიბრალე!... არა მინდა რა შენგნით, არც დიდება, არც დოვლათი, არც პატივი, ოღონდ ამ მწარე დღეზედ უფრო მწარე დღეს ნუ დამაყენებ!... შენ დაიხსენ და დაიფარე ჩემი პეპო... (ლეიბის ქვეშიდან გამოიღებს ჩადრსა, მიმავალი შლის და გადის მარცხენა კარიდან. სცენა რჩება ცარიელი.)

## სანახავი ზ.

**ზეზო.** (მარტო. შემოდის შუა კარიდამ ქუდით და მორთული.) ესეთიც ქვეყანა?!... (ქუდს იხდის და მარჯვენა ხელით შუბლზედ ოფლს იწმენდს, მერმე ისევ დაიხურავს.) კაცი თავით ფეხამდინ მართალი იყოს და მტყუანი თითონვე გამოვიდეს ?!... სხვის დასჯის მაგივრათ, თითონ დაისაჯოს?!... (ჯდება სკამზედ სტოლთან.) წადი, წადი ეხლა, ზეზო, ჩაჯექ ციხეში და კარგათ იფიქრე ამ ქვეყნიერებაზედ!... შენ სიალალეს მისდიე და ვნახოთ რას გამღევს შენ შენი ალალ-მართლობა?... ხომ ხედავ მთელი ქალაქი მგლებით გავსილა!... ვინ გეუბნება შენ: ცხვრის იერით იარეო?... არ იცი, რომ მატყლს გაგიწეწენ?!... შენ ვინ გეუბნებოდა, რომ ხმა აიმაღლეო?... ვისზედ იმაღლებ ხმასა?... რითი?... რა გაქვს ხელში?... ფული გაქვს ჯიბეში, ჭკვა გაქვს თავში, კალამი გაქვს ხელში, რა გაქვს, რა, შე უბედურო, რომ ბატკანივით ბღავი?!... არ იცი, რომ ბატკნის ბოლო ყასაბხანა არის?!... ის არის შენი ბინა, ზეზო, ის!... წადი, დაწექ, რომ ყელი გამოგჭრან!... ნუ გეშინიან, ერთი დანის მაგივრათ ათი დანა გამოჩნდება შენთვის!... (ჩაფიქრდება.)

## სანახავი ჱ.

ზეზო და გეგე.

**გეგე.** (შემოდის მარცხენა კარიდამ.) მოხვედი, ზეზო?...

**ზეზო.** მოველ და მივდივარ ... რამდენსამე ხანს, მშვიდობით !...

**გეგე.** სად მიდიხარ ?... რას ამბობ ?!...

**ზეზო.** (მწარის ღიმილით.) თბილს ადგილს!... მაინც ჩვენ შუა აღარა გვაქვს და!...

კეკე. არ მესმის, რას ამბობ, პეპო?...

პეპო. (წამოდგება.) ციხეში მივყევართ, კეკე...

კეკე. (შეშინებული.) რათა?

პეპო. ისე, ხათრისთვის...

კეკე. ვა?!... პეპო-ჯან, რას ამბობ?...

პეპო. არ გეხუმრები, კეკე; ნუ გეშინიან, როგორც იქნება, იოლათ წასვალთ... სად არის დედა? შინ არ არის?...

კეკე. (აქეთ-იქეთ ცქერით.) არ ვიცი!... შინ იყო. სალოცავათ თუ წავიდა აქვე ახლო...

პეპო. საწყალო დედავ!...

კეკე. ერთი სწორეთ ილაპარაკე, პეპო, და!... ციხეში რა ხელი გაქვს?...

პეპო. არაფერი. (მწარე ღიმილით.) ბევრი ბადის სროლით მკლავები დაგეღალაო, წადი ეხლა ცოტა მოისვენეო!...

კეკე. ახ, პეპო-ჯან, გულს ნუ მიკლავ, თავათ დამწვარი ვარ და დადაგული!...

პეპო. ხუთი ათასიც რომ დაიწვა და დაიდაგო, ვინ არის მკითხველი? გადაჭრილი საქმეა, უნდა წავიდე ციხეში.

კეკე. რათა? ვისი გულისთვის? რა გიქნია?...

პეპო. (სიმწარით.) ქურდობა!...

კეკე. შენ?... ქურდობა?... არა, არა, პეპო!... მითხარ რა საქმეა? მე ხომ სული ამომივიდა.

პეპო. დეე ამოგივიდეს, ჩემიც თან ამოჰყვეს!... ვის რა დააკლდება?.. ძალიან საჭიროა ხალხისთვის ჩემი სული, ან შენი?

კეკე. (თვალებს იწმენდავს.) ახ, პეპო-ჯან, ხომ მომკალი....

პეპო. მკვლელმა მოგვკლა კიდეც და გაათავა... მე რა ვქნა?

კეკე. ეგ ვინა?...

პეპო. ვინა?! (მწარის ღიმილით.) აღა არუთინამ... ხა, ხა, ხა, ხა!...

კეკე. რათა?

პეპო. ღმერთმა ნუ იცის იმისი თავი!... ჩემ სახლში გამლანძღაო, ფული ვაჩუქეო და პირში მომარტყაო... პატარა საქმე კი არ

მეგონოს, კეკე, დიდი-კაცის წყენა!... ჩემსავით ღარიბ-ღატაკმა გაბედოს იმისთანა აღა-კაცს შუბლზედ მიახალოს რამე!... ხუმრობაა?... (მწარის სიცილით.) ხა, ხა, ხა, ხა!... (ხელ-აპყრობილი.) ღმერთო, ღმერთო!!...

**კეკე.** (მიდის ახლო და ეხვევა პეპოს.) ეგ ხომ ჩემი გულისათვის, ჩემი გულისთვის, პეპო-ჯან!... დაბნელებულიყო ჩემი დღე და ჩემსავით ბაიყუში და არა გყოლიყო!... რა გინდოდა ჩემგან?... ვინ გეუბნებოდა, რომ იმისთანა დიდ-კაცს აწყენინეო?... მაინც ესე იყო და ესე ჩემი საქმე, ჭირზედ ჭირს რაღათ მიმატებდი?... რა ვქნათ ეხლა?... დედამ რო გაიგოს, რასა იქს?... ხომ დამბლათ დაეცემა!... (ტირილით დაეცემა ტახტზედ.)

**პეპო.** დედას ბევრი ჭირისთვის გაუძლია, ამასაც გაუძლებს...

**კეკე.** ახ, ღმერთო! რატომ სულს არ ამომართმევ, ეხლავ?... (ტირის.)

**პეპო.** კარგია თუ ღმერთი გწამს!... ხომ ნახე, რომ ტირილითაც არა გეშველა რა!... (ღაღადებით.) ეს არი შენი სამართალი, ღმერთო, რაღა?!... არუთინამ სცარცოს, არუთინამ სჩაგროს, არუთინამ ჯაშაზე იაროს და ჩვენ კი ვიტანჯოთ?!... იმან იღრიჭოს და ჩვენ ვიოხროთ?!... იმან იქეიფოს და იმხიარულოს და ჩვენ კი მწარე, მწარე ცრემლები ვღვაროთ?!... (გადის მარჯვნივ.)

**კეკე.** (ტირილით.) პეპო-ჯან, ძმაო-ჯან!!!... (მისდევს პეპოს. სცენა რჩება ცარიელი.)

## სანახავი თ.

### არუთინ და გიქო.

**გიქო.** (შემოდის შუა კარიდამ ქუდ-დასურული და ჯოხით ხელში.) აი, თუ ტყუილათ ვამბობ!...

**არუთინ.** (შემოჰყვება, შლიაპა დახურული.) აბა, აბა?!!...

**გიქო.** (წინ წამოდგება.) მოიცა, დაბძანდი, ერთი პატრონიც მოვიდეს.

**არუთინ.** სულ ერთია, გიქო... ერთი ვნახოთ რა ქაღალდია?...

**გიქო.** აი, რა ქაღალდია, აღა არუთინ!... (ხელს ჯიბეში იყოფს, ბურნუთის კოლოფს იღებს.) არა, ეს არ არის; მაგრამ სულ ერთია... (ბურნუთსა სწევს.) ჰმ!... აი!... (ბურნუთის კოლოფს ინახავს და ბარათს იღებს.) შენ ცოტა შორს დადექი, აღა არუთინ. (თითონ ჰშორდება ტახტისაკენ.)

**არუთინ.** ვა, გეშინიან, რომ არ წაგართო?... ქვეყანა აღან-თალანი ხომ არ არის...

**გიქო.** არა, არა, აღა არუთინ... მაგას როგორა იქ?... განა შენ მაგ გვარი კაცი ხარ?... მაგრამ ეს ქაღალდი ძალიან ფათერაკიანი რამ არის... ვამბობ შენი ხელი არ მოხვდეს მეთქი... (ბარათს შლის.) აი, ნახე: (შორიდამ უჩვენებს.) ეს არ არის?..

**არუთინ.** (მიიწევს ახლო.) აბა, აბა!...

**გიქო.** ვა, აი!... (კითხულობს.) „ჩემი ვალია, არუთინ ზიმზიმოვი.“ (სურათი განცვიფრებისა.)

**არუთინ.** (სახეზედ იცვლება და ენა ებმება.) ეგ... ეგ... (ხელი წინ მიაქვს.) ჩემი... ჩემი ხელია?...

**გიქო.** (ბარათს ახლო მიუტანს.) მაშ ჩემია?

**არუთინ.** (ბარათს ცნობილობს, მერმე თავისთვის.) ეს რა ღვთის რისხვა იყო?!... (წინ წაიწევს.) ერთი კარგათ ვნახო...

**გიქო.** (ბარათს მოაშორებს.) მოიცა, აღა-ჯან, და!... ახარ, იმდენს რომ გეუბნებოდი, თუ მე მოწამე ვარ, რომ გმართებს მეთქი, ტყუილათ ვამბობდი?... მაგრამ შენის ოხტიდან რომ ვერ მოველ, მე რა ვქნა?.. (ღაღადებით.) დიდება შენს სამართალს, ღმერთო!..

**არუთინ.** (ბარათის წართმევას ეპირება.) ერთი ვნახო მეთქი!...

**გიქო.** (ბარათს ჯიბეში იდებს.) ეეე!!!... აღა არუთინ, ხელი აიღე მამა გიცხონდა!... ვამბობ რომ ფათერაკიანი ქაღალდია მეთქი, და!... ამ წუთაზედ მოვა პეპო... კაკული ეხლავ იპოვის იმას... შენ აქ მოიცა, მე წავიდე შუშანას შევატყობინო. (გზიდან უკან მოხედავს არუთინს და გადის მარცხნივ.)

## სანახავი ი

არუთინ. (მარტო. დიდ ხანს გაშტერებული დარჩება; ცოტ-ცოტათ გონებაზედ მოდის.) ამისთანა ოინიც! (შლიაპას მოიხდის და სტოლზედ დასდებს.) ბევრი რამ მოსულა ჩემს თავზე, მაგრამ ამ ნაირი კი არა ყოფილა რა!... საიდგან გამოჩნდა ის წყეული ბარათი?... როგორ გამოჩნდა?... სიზმარია?... არა, სადაური სიზმარია?!... თუ სიზმარია... (აქეთ-იქით იყურება.) მაშ აქ რას ვაკეთებ?... ეს, პეპოს სახლი, და მე, არუთინ ზიმზიმოვი, აქა?!.. არა, სწორეთ ღვთის რისხვაა!... არ იქნა, რაღა!... იმდენი საქმეები მოვინელე და კოკა ამ ერთზედ ტყდება, რაღა!... ეს იყო ბოლო, რაღა!... ხალხმა რომ გაიგოს, რას იტყვის?... ვიღა რას მენდობა?... სიხარბემ თვალები ამიბა, შავი და თეთრი ვეღარ გავარჩიე... სწორეთ ამ საათშიაც იმდენ ხალხში ვამბობდი, რომ არა მმართებს რა მეთქი... წადი ეხლა, გაგიშავდა პირი!... შეგირცხვეს თავი, არუთინ, შეგირცხვეს!... ესე როგორ მოიყვანე შენი საქმე, როგორ?... (ხან-გრძლივი სიჩუმე.) არა, სხვა ჩარა აღარა არის რა!... როგორც იყოს, აქვე უნდა დავიხსნა ჩემი ბარათი... თუნდ ათი თუმანიც მეტი წამივიდეს... თუნდ ოცი, თუნდ ოც-და-ათი, თუნდ ერთი ორათ!... ჩემზედ ჭახია!... დეე ჯანი გამვარდეს!... (დაეშვება სკამზედ მარჯვნივ სტოლთან.)

## სანახავი ია.

### არუთინ და პეპო.

პეპო. (გამოდის მარჯვენა კარიდამ პირველის მოქმედების საშინაო ტანისამოსით და ქუდ-დახურული. არუთინას რომ დაინახავს განცვიფრდება.) ვა!!!... შენ, აქა?!?!...

არუთინ. ჰო, სწორეთ, მე... რაზედ გიკვირს?...

პეპო. განა შენ თითონ არ გიკვირს, რომ აქა ხარ?... მე როგორ არ გამიკვირდეს!... ერთი მითხარ: რა ქარმა მოგაგდო აქა? ან რა კეთილი ანგელოზი ჩაგსახვია გულში? ან რა ბოროტს ეშმაკს მოუგდიხარ აქა?...

არუთინ. სტუმრის პატივი არ გცოდნია, პეპო...

პეპო. შენ, ჩემი სტუმარი?!... პირ-ჯვარი დაიწერე!... შენზედ დიდი მტერი მე არა მყავს ქვეყანაში და შენ ჩემი სტუმარი?!...

არუთინ. ჯერ ერთი დაჯექ, ღვთის გულისათვის!...

პეპო. შენ ზიხარ, რაღა... მე ესეც კარგათა ვარ... მაგრამ ერთი მითხარ, რა გინდა?... თუ თევზის სასყიდლათ მოსულხარ, იანღლიში ხარ... (მწარის ღიმილით.) ყადაღა არის...

არუთინ. პეპან!... მოდი, ძმაო, შევრიგდეთ...

პეპო. (დაცინებით.) ხომ არავის შეულოცნია შენთვის, აღა არუთინ?...

არუთინ. შეულოცავთ თუ არა, მე შენ გეუბნები, მოდი შევრიგდეთ მეთქი.

პეპო. ჩემი შერიგება რაში გეჭირება, აღა არუთინ?... შენ დიდი კაცი, მე ერთი საცოდავი, საბრალო!... შენ მდიდარი, მე ღარიბი... გეშინიან რომ ჩემ მაგიერ შენ არ წაგიყვანონ ციხეში? თუ ჩემი შიშით მუხლები გიკანკალებს?!...

არუთინ. ბიჭო, მე მინდა შენ სიკეთე გიყო.

პეპო. რაც ხელიდამ გამოგივიდოდა, ხომ ჩაიდინე: ფული გემართა, ჭაშა ჭკარი; მოველ შინ სათხოვნელად, სახლიდგან გამომაგდე; ბოლოს ციხეშიაც მაგზავნინებ; სხვა რაღა სიკეთე უნდა გამოგივიდეს ხელიდგან, აღა არუთინ?... მოსულხარ რომ მასხარათაც ამიგდო?!... გეყო, გეყო, ბატონო... წადი, წადი, ღმერთს მადლობა შესწირე, რომ ჩემ სახლში ხარ და ჩემ ჭერ-ქვეშ იმყოფები, თორემ ამ დამწვარ გულზედ ცოცხალი აღარ გადამირჩებოდი... გახსოვს?... ხომ გახსოვს რა რიგათაც გამომაგდე შენ სახლიდან... ის საქციელი შენ გეკადრებოდა, შენ, აღა არუთინ!...

მე შენ გთხოვ წაბძანდე... აბძანდი, მიბძანდი, აგერ საცაა წამიუვანენ; მეტი დრო აღარ არის, უნდა დედას და დას გამოვეთხოვო ...

**არუთინ.** ბიჭო, ეგ საქმე ჩემს ხელთ არ არის? აღარ გაგაგზავნინო ციხეში, სხვა რა გინდა? (პეპო განცვიფრებული შესცქერის. გარედამ ისმის **კაკულის** ხმა: მოვიდა?)

## სანახავი იბ.

### იგინივე, გიქო და კაკული.

**გიქო.** (შუა კარებში კაკულის.) დაკარგულან, დაკარგულან!... არავინ არიან!...

**კაკული.** (შემოსვლით.) აი პეპო; რას ამბობ?

**გიქო.** (შემოდის.) ეს როგორ მოსველ, პეპან, რომ ვერ დაგინახე?... (არუთინას.) აი, აღა არუთინ, ქხლა მოგცემ, (პეპოზედ ხელს იშვერს.) თუ მეტყვის... ეგ შენ და ეს პეპო ...

**პეპო.** ეს რა ამბავია, არ მესმის?

**კაკული.** ვა, აღა არუთინას შენ ელაპარაკები და ჩვენა გვკითხამ?!...

**პეპო.** ამისი ლაპარაკისა ხომ უფრო არა მესმის რა... (დაცინებით.) მოსულა, შევრიგდეთო!...

**კაკული.** (დაცინებით.) ჰო?!!!... (თავს უკრავს არუთინას.) მაშ ერთი კარგა მადლობა უთხრათ!...

**არუთინ.** (ცალკე, შემკრთალი.) შახე, ამ ლირფსა!...

**კაკული.** (პეპოს.) ბიჭო, აგი იმახდი, რო კარგი კაცი არ არის აღა არუთინაო!...

**არუთინ.** (ცალკე.) უნამუსო!...

**პეპო.** (ღიმილით.) რა ვიცი!... სინიდისი გაჰღვიძებია!...

**კაკული.** (პეპოს.) მერე რა პირობით გირიგდება?... ნახევარს გაძლევს?... (მიიწევს არუთინასკენ.) მე შენი კაცობის მთქმელს!...

(მუშტს შეუმაღლებს.) მოჩრი სული მიაბარე და სერთუკი გაიხადე!...

პეპო. კაკული, კაკული!...

გიქო. (პეპოს.) ბიჭო, სული არ გააგდებინოს!...

კაკული. (ერთი ხელით უჭირავს არუთინას საყელო.) უ!!! შენი!!... (მერე ხელით მუშტს უღერებს.) აბა, წადი და ეხლა იჩივლე!...

არუთინ. ბიჭო, გაგიჟებულხარ, ეი!

პეპო. (აშველებს.) მოიცა კაკული, ეგ კაცობა არ არის!...

არუთინ. (ტანისამოსს ისწორებს.) მოდი და თქვენისთანებს სიკეთე უყავი!...

კაკული. სიკეთე?... რა შვილია!... სულ სულის საქმეზედ არ დადის!... აბა ბარათი არ გამოჩენილიყო, ვნახამდი თუ სიკეთეს როგორ იქმოდა?!...

პეპო. რა ბარათი?

კაკული. კა, მაშ ჯერ არ იცი? აი ამ აღა-ბატონის ბარათი... (გიქოს.) კაცო, მოიტა და!... (პეპოს.) ამ საათში გზაზედ რომ გაიგო, ფერი წაუვიდა საწყალსა... (გიქოს.) მოჩრი, მალე!...

გიქო (ჯიბიდგან იღებს ბარათს.) მოიცა, მოიცა, პატრონს მივცე. (ბარათი მიაქვს პეპოსკენ.)

კაკული. (წაართმევს გიქოს ხელიდგან ბარათს და პეპოს აძლევს.) როგორია, როგორი, ლოთი!!!...

პეპო. (შინჯავს ბარათს და თან-და-თან ჰკვირობს. სურათი.) ეს სიზმარია?!...

კაკული. სიზმარი და ნახვარია...

გიქო. მართლა რომ სიზმარია, პეპო-ჯან! არ იცი თუ ...

არუთინ. (ცალკე.) ამ ნაირი შერცხვენაც?!...

კაკული. (პეპოს ანიშნებს გიქოზედ.) ეს თუ ალაპარაკე, პეპო, შვიდი დევის ზღაპარზედ უფრო გაგრძელდება მაგ ბარათის ამბავი!..

პეპო. არა, ეს საიდგან გამოჩნდა?...

გიქო. (ჩამოჯდება ტახტზედ და ხელ-ახლად ემზადება მოჰყვეს.) აი, პეპან-ჯან, როგორ იყო!... საწყალი მამა შენი...

კაკული. (გიქოს ხელს პირზედ აფარებს.) სუ, სუ, შენ სუ!... (პე-პოს.) ეგ როგორც გამოჩნდა, მერმე გეტყვით; მაგრამ შენ მაგ უღმერთოს შეხედე!...

პეპო. (ბარათს დახედავს, ქუდს მოიხდის და შეღაღადებს.) გმადლობ შენ უფალო!... ყველას სამართალზედ შენი სამართალი ყოფი-ლა მართალი!... (ქუდს დაიხურამს და არუთინას შესცქერის. ხან-გრძლივი სიჩუმე. სურათი. მძიმეთ მიუახლოვდება არუთინას და ბარათს უჩვენებს.) ეს გეცნობა, აღა არუთინ?... (პირში შეს-ცქერის და დიდ ხანს თავს იქნევს.) ეხლა მესმის შენი აქ მობ-მანება.... იკადრე ჰო?!... აკი არა მმართებსო?!... აკი ჰფიცავ-დი?!... აკი შვილები დაიფიცე?!... ეგ იყო შენი ფიცი, რაღა?!... ეგრე ფიცულობ მუდამ დღე, რაღა?!... მაგით ატყუებ ქვეყანას, რაღა?!... მაგ გვარ ფიცით შეგიგროვებია მაგდენი ფული, რა-ღა?!... აი გაგიწყრეს შენ შენი საფიცარი!!!... თითო ფიცი მატ-ლათ გექცეს მაგ ტანში და ტანი დაგიხვრიტოს, რომ ეგება შენმა სულმა ცის სინათლე დაინახოს!... (მიუახლოვდება.) არა, არა გრცხვენიან?... სვინიდისი ხომ ცარიელი ქარია შენთვის!... (ბარათს ხელახლად უჩვენებს.) ეს რაღაა, რა?... ამას რაღას უპასუხებ?... ამისი მაინც არა გრცხვენიან?... ეს შენი მოსატეხი ხელით არ დაგიწერია?!... სთქვი: არა თქო, რაღა!... სთქვი!... შენ-თვის უარის თქმა ხომ ადვილია!... აი ჩაძვერ მიწაში მაგ შენი პატიოსანი ტანისამოსით!...

კაკულა. (ქუდს მოიხდის და კიდევ დაიხურავს.) ჰა-ჯან! ჰა-ჯან! აღა არუთინ!...

გიქო. (ცალკე.) ეს შუშანა რაღა იქნა?... (თავის ქნევით გადის მარ-ცხენა კარიდამ.)

## სანახავი იგ.

### იგინივე, გიქოს გარდა.

არუთინ. ბიჭო, რა სულელურათა ჭუბედობ?... რომ მხსომებოდა, ხომ მოგცემდი, რაღა!...

პეპო. არ გახსოვდა?!... საწყალო!... საბრალო!... ნეტავი ღუგმა-ზურს როგორ შოულობ?... ვის ატყუებ, ვისა?... ამ საათში მოსამართლესთან ჭაშა ჭგარი, რომ ვითომც შენ დღეშიაც ჩემი არა გმართებია რა, რომ ტყუილათ შარებს გიგონებდი; ამ საათში ხე-ლდი მოაწერე ამეების ქაღალდზე და ეხლა კი იმასი: არ მახსოვ-დაო?!... ეხლა მეუბნები შევრიგდეთო?!... ამდენი ხანი მაწვალე, ამდენი თავი გავწუევლინე და ეხლა გახდი კარგი კაცი ერთბა-შათ?!... გეშინიან, ჭო?!... გეშინიან, რომ ქვეყანამ არ გაგიგოს შენი ყალთა-ბანდობა, ჭო?!... გეშინიან, რომ მოსამართლესთან პირი არ გაგიშავდეს, ჭო?!... შენის ფიქრით ჩვენთან გაშავდეს მარტო, რა უშავს?!... ჩვენ უბრალო ვინმეები ვართ, ვინ რას გა-იგებს?... ოღონდ ხალხმა არ გაიგოს!... ოღონდ შენმა ამხანა-გებმა არ გაიგონ!... (ხმას იცვლის.) წადი, წადი გეუბნები!...

არუთინ. ხომ მორჩი, ძმაო; რაც სათქმელი გქონდა, ხომ მითხარი; გული ხომ გაგიგრილდა!... ახლა მე გამიგონე: მე შენ გეუბ-ნები: ფულები წაიღე, ბარათი დამიბრუნე და შენი ციხეში წაყ-ვანა ეხლავ მოვაშლევინო...

პეპო. წავალ ციხეში, წავალ, მე შენი მოწყალება არ მინდა, და მაგ ფულებს შენ დაუკითხავათაც გამოგართმევ...

არუთინ. ნუ გიჟობ, პეპან! (ხელს უბეში იდებს.) დაიჭი ეს ფულე-ბი გეუბნები, (პეპო თავს იქნევს.) დაიჭი!... ერთს რამესაც მო-გიმატებ... ჰა!... რამდენი?... ერთი ხუთი თუმანი მოგიმატო?... ათი?... ოცი?...

**პეპო.** (რომელიც შეურაცხ-ყოფით უცქერდა არუთინას, მიუბრუნდება კაკულის.) ჰხედავ, კაკული, ჰხედავ ამას?!... აქამდინ თავნსაც არ იძლევოდა და ეხლა კიდეც მიმატებს!... ესეთები არიან, აი!... სულ ესეთები არიან!... სანამ არა ვინ იცის, ახსაც უჭერენ და როცა ეშინიანთ საქმის გამოაშკარებისა, ასე ირჯებიან, აი, ასე, რომ სახელი არ გაუტეხდეთ, მითომ...

**კაკული.** (ხმა-დაბლა, პეპოს.) ბიჭო, გამოართვი, თვალიც მოსთხარე და მაგის ჯავრისა (მუშტს უჩვენებს.) მე ვიცი!...

**პეპო.** (განაგრძობს.) მე შენი საჩუქარი არ მინდა, ალა არუთინ!... წაიღე, შენ თვალში იყოს!... მაგრამ თვალებს კი ამოგთხრი და თავნს, სადაც მე ამ საათში გამამტყუნე, იქ გამოგართმევ, იქ!... დეე, ყველამ გაგიცნოს რა კაციცა ხარ!... დეე, ყველამ შეიტყოს შენი საქციელი!... ამისათვის ციხეში კი არა, თუ გინდ ორმოშიაც ჩავჯდები, ორმოში!....

**კაკული.** (პეპოს.) უჰ, მე შენ ჭკუას რა უთხრა!...

**არუთინ.** დაიჭი, ორმოც-და-ათს თუმანს გიმატებ...

**კაკული.** (არუთინას.) მოიცა, მე შეგარიგოთ...

**პეპო.** (უკან დასწევს კაკულის.) შენი საქმე არ არის, კაკული!...

**კაკული.** აი, სულელი!...

## სანახავი იდ.

### იგინივე, შუშან და გიქო.

**შუშან.** (ჩადრ-წამოსხმული, შუა კარებში შემოსვლისას, გიქოს.) ვუი, დამიდგეს თვალები! მართალს ამბობ, გიქო?... (წინ წამოდგება და ჩადრს იხდის.) სად არის, სად, ჩვენი სულთა-მხუთავი?... ეს არის?!...

**პეპო.** ეს, ეს, დედავ; აი ჩვენი გამაბედნიერებელი!...

**შუშან.** (არუთინას, აჩქარებით.) აი დედა-მიწა გასქდეს და თან

ჩაგიტანოს!... რა გინდა ჩვენგან, რა?... ჩვენ ფულზედ უარი სთქვი, ჩემს ქალს ყელი გამოსჭერ და ეხლა ჩემს პეპოსაც ციხეში აგზავნინებ?!... ჯიბრში ჩაგვდგომიხარ?... გინდა ამოგვწყვიტო?...

**არუთინ.** (ცალკე.) სეტყვაა, წყეული?!...

**შუშან.** (განაგრძობს.) აი ამოწყდეს შენი სახელი!... დაიქცეს და დაიღუპოს შენი სახლ-კარი!... შენი უსირცხვილო ცოლის გულში ჩავარდეს ის ცეცხლი, რა ცეცხლიც ჩვენ გულში ჩააგდე!...

**კაკული.** (ცალკე და დაბალ ხმით.) ამინ!...

**პეპო.** დედი, დედი!!... (კეკე შემოდის მარჯვენა კარიდამ და კუთხეში ჩუმათ ტირის.)

## სანახავი იე.

### იგინივე და კეკე.

**არუთინ.** (შუშანას.) ჭკუაზედ მოდი, ჭკუაზედ!... რეებს ამბობ, დედი?..

**შუშან.** (განაგრძობს.) სად არის?... გაუშავეთ პირი?... სად არის ის შავი და ბნელი ბარათი?... (არუთინას.) ეხლაც იტყვი, რო არა გმართებს ჩვენი?...

**არუთინ.** მმართებს, მმართებს, და გამლევთ!... სხვა რა გინდათ?!...

**შუშან.** მაშ ციხეში რაღათ აგზავნინებ?...

**არუთინ.** ციხეშიც აღარ გავაგზავნინო, ფულიც მივცე, ერთი რამაც მოუმატო; მაგრამ რომ არ მირიგდება, მე რა ვქნა?... (შუშანა განცვიფრებული შესცქერის.)

**პეპო.** ეხლა შევრიგდეთ?... ეხლა?!... (მიმავალი კეკესკენ.) მერმე ამას რაღას ეუბნები?... (კეკეს ხელს დაუჭერს და წინ წამოაყენებს.) ამას როგორღა ურიგდები?... ცოცხალი დამარხე, დღე და სიცოცხლე დაუბნელე, ცხოვრება ჩაუშხამე.. როგორ ურიგდები ამას, როგორ?... როგორღა დაუბრუნებ ამას რაც წაართვი,

როგორ?... მთელი შენი სიმდიდრე ვერ გაუმთელებს იმ იარას, რა იარაც შენ გაუჩინე გულში!!... წადი, წადი... ჩვენ შესარიგებელი აღარა გვაქვს რა... წადი, სანამ ცოცხალი ხარ ქვეყანაში, ამის ცრემლები გასხომდეს, რომ ეგების სხვებს აღარ უყოისა, რაც ამას დამართე...

**კეკე.** დაეხსენ, პეპო-ჯან, დაეხსენ!... მიაშავე თავის ბარათი!...

**გიქო.** (პეპოს.) ბიჭო, ბარემ შეურიგდე!..

**კაკული.** (შუშანას.) უთხარი, დედი, შეურიგდეს; მზათ მეტსაც იძლევა.

**შუშან.** მაგის თვალში იყოს მეტი, ოღონდ ჩემს პეპოს ხელი არ ახლოს.

**კეკე.** შეურიგდი, პეპო-ჯან, შეურიგდი!...

**არუთინ.** მოდი, გატუდი, პეპან, შევრიგდეთ!...

**პეპო.** მოდი, შევრიგდეთ, მოდი!... მოდი წავიდეთ, სადაც ამ საათში გამამტყუნე!... მოდი ერთი იქ უჩვენოთ ეს ბარათი, ერთი გამოჩნდეს, რომ მტყუანი მე არა ვარ და თუ გინდ თავნიდამაც ერთი რამ შენი ფეშქაში იყოს!... წამო, რაღა, წამო!...

**შუშან.** წადი, წადი... როგორც ჩვენი პირი გაგიშავებია, დეე, ეხლა ისე შენი პირი გაშავდეს...

**პეპო.** წამო, რაღა!...

**არუთინ.** ეგ რომ მინდოდეს, ხომ ამდენსაც აღარ შეგეხვეწებოდი!...

**პეპო.** უჰ!!!... ქურდო, ავაზაკო!!...

**კაკული.** (ცალკე, გულზე მუშტის ცემით და დაბლა-ხმით.) ვაი მე!!!.. (სცენის უკან შუა კარს აკაკუნებენ; მდუმარება. მიდის კართან, ცოტათ გააღებს და თითქოს ვიღაცას ელაპარაკება.) ჰო, აქ არის... (გამოირბენს წინ და პეპოს.) ბიჭო, გაგიჟებულხარ?... გაათავე და! პრისტავია!...

**კეკე. პეპო და შუშან.** (ერთად.) პრისტავი?!?!....

**გიქო.** პრისტავი?!?!... (სურათი.)

**არუთინ.** მომე ბარათი, პეპან, თორემ ციხეში მიჰყევხართ...

**პეპო.** არა უშავს რა, წავალ ციხეში, ჩავჯდები... იქ ხომ არ მოვკვდები!... ერთხელ ხომ განვთავისუფლდები!... ვადა მორს არ არის!...

ბევრი მოგიტყუებია ასე, ბევრს მოსვლიხარ თინს ასე, ბევრის-თვის ყელი გამოგიჭრია ასე, და მე პეპო არ ვიქნები, თუ ყველას ჯავრს არ ამოვიყრი!... მთელს ქვეყანაში პირზედ მურს წაგისვამ!... მშვიდობით, დედავ!... ნუ სტირი, კეკე!... ღმერ-თი მოწყალეა!... საწყლის შუბლზედ ასე სწერია!...

**არუთინ.** (დიდათ შეწუხებული.) რა ვქნა ეხლა?...

**კეკე.** (ეხვევა პეპოს.) ნუ წახვალ, პეპო-ჯან, ნუ წახვალ!...

**შუშან.** (პეპოს, მეორე მხრით.) რას შვრები, პეპო?... მიაშავე ეგ შა-ვი და ბნელი ბარათი!...

**პეპო.** მივცე, რომ ამის მასხარა გავხდე?... რომ ხალხში მტყუანი მე დავრჩე და მართალი ესა?... ციხის შიშით თავი გავიყიდო?... არა დედავ, ეს ბარათი ღმერთის ხმლად ჩამოუგზავნია ჩემთვის!... ამითი უნდა მოვსჭრა ამას თავი!... რამდენი შენისთანები იწ-ვიან ამის ხელში, რამდენი (კეკეზედ ანიშნებს.) ამისთანები სტი-რიან, რამდენი ჩემისთანეები იტანჯებიან!... ერთმა მაინც არ შეატყობინოს ქვეყანას ამის საქციელი?!... ერთმაც არის არ შეჴვიროს, (არუთინსაკენ ხელს იშვერს.) რომ ეს კაცი, რომელ-საც ყველანი თავს უკვრენ, ყველანი ეფერებიან და პატივსა ჰსცე-მენ, ეს ის კაცია, რომლისათვისაც არაფერი წმინდა არა არის რა ქვეყანაში!... ეხლა იტირეთ რამდენიც გინდათ!... საწყლის ტირილი ალბათ იმისთვის გაუჩენია ღმერთსა, რომ მდიდრის ბოროტება მორეცხოს!... (კარ'ს განმეორებით არახუნებენ.) მშვიდობით! (გადის მარდათ შუა კარიდამ.)

## სანახავი ივ.

### იგინივე, გარდა პეპოსი.

**შუშან და კეკე.** (ერთად, ტირილით, პეპოს შემდეგ.) პეპო, პეპო, პეპო-ჯან, პეპო-ჯან!!!... (კეკე დაეცემა ტახტზედ და ტი-

რის მუთაქაზედ პირ-ქვე დამხობილი. ასე დარჩება ბოლომდინ უძრავად.)

**არუთინ.** (სტოლთან მდგომარე ორსავ ხელებს თავში შემოიკრავს.) ეს რა მომივიდა ?!!... (ეგრეთვე უძრავად რჩება.)

**შუშან.** (ტირილით არუთინას.) ზეციერმა მამამ გიყოს სამართალი !!!... (გავარდება პეპოს შემდეგ.)

## სანახავი იზ.

### იგინივე, გარდა შუშანისა.

**გიქო.** (არუთინას.) ეს გინდოდა, რაღა, მამა ცხონებულო?... (მიდის კეკესკენ.) ნუ სტირი, კეკე-ჯან, ნუ სტირი !... ღმერთი მოწყალეა!... (თავ-დაღუნული კეკესკენ, ეგრეთვე დარჩება უძრავათ.)

**კაკული.** (წაიწევს არუთინასაკენ, მარცხენა ხელით დოინჯ შემოყრილი და მარჯვენა ჩამოშვებული.) ეხლა აღა არუთინ, დავრჩით მე და შენ !!!... (უძრავათ რჩებიან. სურათი.—ფარდა.)

## დასასრული.

# ჯვარი ვაზისა

## I

ზღვას ქარიშხალი ძლიერად ჰბერავს,
ზღვა ქუხს და შფოთავს, ზღვა დუღს და ღელავს,
ზვირთებს ზვირთებზედ შავი ზღვა ისვრის,
განრისხებული ღრიალებს, ყვირის,
ტალღა ქუხილით აღიმართება
და გრგვინვით უფსკრულს უკუ-ვარდება.
ზღვა მდუღარეა მთლათ არის შავი,
არსად სჩანს აფრა, არსად სჩანს ნავი;
ან ზღვას მაღალმა ვიღამ გაბედოს
მაშინ თვის ნავი მას უფსკრულს ანდოს.
და თუ ბედს ენდო და თუ ბედი სწამს,
ბედი ვერ იხსნის, უფსკრული სჩანთქამს...
მაგრამ გამოჩნდა ნავი დასავლით!
მორბის უშიშრათ, მორბის ღვთის ძალით,
მოეშურება, მოჰფრინავს. მოჰქრის,
ზვირთთ განრისხებულთ გულ-ამაყად სჭრის.
აფრა გაგლიჯონ ქარნი ცდილობენ,
ხომალდი დანსთქან ზვირთნი ცდილობენ,
განრისხებულნი გარს ეხლევიან,
ქუხილით, გრგვინვით ეჯახებიან;
მდუღარე ტალღა უკუ-იქცევა
და ღრიალითა კვლავ მიესევა,
ზღვა ებრძვის ნავსა, ქარი აფრასა!

ზღვა დასძლევს ნავსა, თუ ნავი ზღვასა?
არა, ხომალდი ზვირთთ არც კი ებრძვის,
შეურყეველი მოჰფრინავს, მოჰქრის:
სჩანს ზეცით აძევს მას დიდი ვალი,
სჩანს მაზედ არის ზეცით ღვთის თვალი!
მაგრამ გამოჩნდა შორით ნაპირი,
მოჰქრის ხომალდი შეუპოვარი.
ზღვამ მოუმატა თვის მრისხანება
უბსკრულს მის ჩანთქმა მას ესწრაფება;
ტალღა და ზვირთნი მთებივით აღსდგნენ
და ნავის გვერდებს მრისხანედ სცემენ;
აფრასა ჰბერავს ქარი ძლიერად,
მიჰქროლავს ნავი შეუპოვარად;
მიჰქროლავს, მირბის; კვნესის ზღვა შავი.
კოლხიდის კიდეს მიჰფრინდა ნავი...

## II

ნავით გადმოსდა უცხო ვინმე, ვით მოჩვენება;
არის ასული, მაგრამ არის სიზმარს ზმანება:
ნათელი, ტურფა, ვით ოცნება მშვენიერია,
მაგრამ ნათელს პირს სოფლის შვება არ უწერია.
ამ სოფლის გრძნობა არ აღელვებს მის წმინდა გულსა,
ის არ ეკუთვნის არც აწმყოსა, არც დროს წასულსა;
ეკუთვნის მხოლოდ მომავალსა წმინდა ასული,
მხოლოთ ცისა და კეთილისთვის მას უძგერს გული.
მაღალს შუბლზედ აქვს, აღბეჭდილი მას მადლი ღვთისა,
ნათელს თვალებში მას უბრწყინავს ნათელი ცისა,
გულის სიკეთე და სიმშვიდე, ჭეშმარიტება,
იმა სოფლისა მოლოდინი და ნეტარება.
მიდის ასული, ხელს უპყრია ჯვარი ვაზისა;

არ ეშინია შიმშილისა, არც უგზო გზისა;
ვერ აბრკოლებენ მას ჭაობნი, ვერცა მდინარნი,
ვერც ფრიალონი, უბსკრულნი და მთანი მყინვარნი;
არ ეშინია წამებისა, არცა სიკვდილი,
დედა-წმინდისა წილხდომილათ ქვეყანას მიდის.
ვინ ხარ ასულო? სით მოხველი? რა აზრი მოგაქვს?
რაც ხელს გიპყრია, მნიშვნელობა, გვითხარი რა აქვს.
ივერის ერნო, უამბორეთ წმინდის ფეხთ მტვერსა,
თქვენში აღაგრძნებს, ქრისტეს ნათლის წმინდა ლამპარსა.
არა! ვერ იგრძნო წმინდის სიტყვა ერმა ველურმა,
არ განაცხოველა მისი გული, სიტყვამ ციურმა,
წმინდა ცრემლითა, ცას მიმართა, ხელნი შეჭყარა,
ერი ველური, კერპთ მსახურნი ღმერთს შეავედრა.

## III

იელა ცამა, იჭექა ცამან,
კვნესით ხმა მისცა დაბლა ქვეყანამ;
შეირყა მიწა, შეირყა ზენა,
ბნელმა მოიცო ცა და ქვეყანა...
აღსდგა გრგვინვით მრისხანე ქარი,
აენთო ცეცხლით ბნელი ცისკარი,
შესაშინებლად სჭექავს და ელავს
ჰაერი ცეცხლით და ალით ღელავს;
სეტყვა და მეხი მიწის პირს სცემენ,
მირისხანე ქარში ხეთ ძირით ჰგლეჯენ,
ცეცხლის ისართა ცა მიწას ესვრის,
ირყევა მიწა, ბუნება კვნესის...
ცამ მოიკრიფა, რაც ჰქონდა ძალი,
და მიწას დასცა, ცეცხლი და ალი...
მთანი და ბარნი დასქდნენ, დაირღვნენ,

კერპთ-მსახურთ ღმერთნი, ქვესკნელს ჩაინთქნენ...
თვის მრისხანება ცამ შეაყენა,
მზემ უხვის სხივით მორთო ქვეყანა.
წმინდის ფერხთ წინა, დაემხო ერი,
წმინდამ მას ჯვარით დასწერა ჯვარი!

## IV

ჩვენო სამშობლოვ, მშვენიერო, მაშინ შენზედა
მადლი ზეცისა, მადლი ღვთისა ზე გარდმოვიდა,
წმინდა ასული, წმინდა ნინო ცამ მოგვივლინა,
ქრისტეს ნათელი, ქრისტეს სხივი მან შენ მოგფინა.
მიხვდნენ დიდს მცნებას მენი შენი ერი — ველური,
მიხვდნენ რაც არის, დიდი სიტყვა, სიტყვა ციური:
ქვეყნად მშვიდობა და კაცთ ჰქონდესთ გულს სათნოება,
ძმობა, ერთობა, სიყვარული და შეწყალება.
სადაც სწირავდნენ კაცთა მსხვერპლათ, კერპთ და ბომონთ კარს
იქ ისმა მაღლა გალობის ხმა: „წმინდა, წმინდა არს;“
მოისმა მაღლად დიდებული, საღმრთო ხმა ზართა,
მაღლა შესძახეს მას, ხეობათ, მთათა და ბართა.
დიდთა შენობათ მთლად მოიცვეს მთანი და ბარნი,
აშენდნენ, აღსდგნენ დიდებულათ წმინდა ტაძარნი;
ელლინთა სწავლის, განათლების წყარო ნათელი
შთამოიღვარა და განათლდა გონება ბნელი,
დაშვენდა, დატკბა, შემუშავდა ენა ივერთა;
დღესაც კი გვატკბობს მათ, დროით ენა ამერთ-იმერთა.
მაგრამ რათ გვინდა მის ამბავი, რაც არს აღარა?
რაც თვალ-წინა გვაქვს, გულსაკვდავათ ისიცა კმარა.
დიდნი პალატნი, დიდნი ტაძარნი
სადღა არიან, აღარ არიან,
მათ დიდთ შენობათ, დიდნი ნანგრევნი

ჩვენთ თვალთ-წინ პირქვე, ტიელათ ჭყრიან.
მგზავრი მოსული, უცხოს ქვეყნითა
დადის მათ შუა, უგვალოთ გზითა
ჩვენს ისტორიას მათში ეძიებს,
მაგრამ ვერა რას, ვერა რას ჰპოებს!
რაც წარწერილნი მათზე ყოფილან,
ისინიც დროთგან მთლად აღმოფხვრილან;
მხოლოდ ჩვენ გვესმის მათ უხმო ენა,
ივერიის მეს უყვარს მათ სმენა.
ჩვენს გულს უხმონიც ბევრს უამბობენ
რაც რომ ყოფილან, მაზედ უბნობენ.
მაშა მტრის ხელსა არა რა მორჩა?
არა! საუნჯე დიდი რამ დაგვრჩა:
ჯვარი იმ ვაზის; მადლი იმ ჯვარის
ჩვენს სამშობლოზედ, ჩვენს ერზედ არის!

გ. ო.

---

* *
*

როგორც განაბნევს ღამის ნისლს, მზე დღის მნათობი თვის სხივით
მნათი, ბრწყინვალე ამოვა, და მოგვფენს ნათელს ცის კიდით,
როგორც ქვეყანას სხივითა, ის ათბობს და ის აცოცხლებს
ისე სიყრმითვე დამჭკნალს გულს, მხოლოდ იმედი აცხოვლებს.
დღის მნათი აღმოსავალით დასავალს ჩაესვენება,
ქვეყანას ბუნდი და ბნელი მის ჩასვლით მოეფინება,
მაგრამ მნათობი ბრწყინვალეთ, კიდევ ამოვა ცის კიდეს;
მის სხივთა გვალად ქვეყანა, გაათბეს, განაცხოველეს.
ჩემი მზე არის იმედი, ხვალ ტკბილს საუბარს გვალად ვსვამ,
მზეს ნათლად ვხედავ იმედით, დღეს ვნახე გვალად ხვალავე.

ხვალ გნახამ, გისმენ და ჩემს გულს ნათელი მოეფინება,
დამშვრალს, დაღალულს სოფლისგან სიცხოველე მოევლინება.

როდისაც გნახავ
გონებას ვკარგავ;
შავთ დღეთა ვითმენ,
როდისაც ვისმენ
შენს მაღალს აზრსა,
ტკბილს საუბარსა;
იდუმლობს ენა,
ვარ მხოლოდ სმენა;
გულსა ეხდება
და ავიწყდება
წარსულნი წელნი,
შავნი და ბნელნი.
მდელო დამჭკნარი
ხადის ზენა ცვარს.
მნათობთა ცისკარს,
გულის დამშვრალის
შენ იყავ ნამად,
ჩემის გზის ბნელის
მნათობ ვარსკვლავად.

ვ ... ია.

---

# ანტონ I კათოლიკოზის ისტორიული წერილი.*)

## საქართველო-იმერთა მეფეებთა შთამომავლობანი და გვართა ცვლილებანი ამისა ქვემო მოხსენების.

მის მაღალ მსვლელობას ღენერალ ივან ლეოვიჩს, ყიზლარის გამენდატს ჶუნდოროვს.

მე, უღირსი ანტონი კათალიკოზი სრულიად საქართველოისა, მოვახსენებ მათგანმებრ თხოვისა, დაღათუ მრავალი განსაცდელის შემთხვევისაგან სახელნი მეფეთა საქართველოისათანი და თვით თვითოდ არღარა მახსოვან, მაგრა სახელოვანთა მეფეთანი სახელნი ანუ გარდაცვალებანი მეფეთა გვართანი და ანუ განყოფანი ნათესავთანი სამ სამეფოდ ესენი არიან, რომელნიცა ძველთა შინა მატიანეთა საქართველოისაითა წარმიკითხავნნ.

—

პირველად. ვიდრემე მამა ქართლისა და ყოველთავე მათ ქართველთა, ესე იგი ქართლელთა, იმერთა, კახთა და ჯავახთა, რომელთაცა ყოველთა მათ ეწოდების ქართლი, იყო ქართლოს. ხოლო სწერენ წერილთა მწერალნი სომეხთა და ქართველთანი, ვითარმედ ტომისაგან იაფეთისა ყოფად ქართველთა და სომეხთასა.

ამან აღაშენა პირველად ციხე არმაზისა და დაეშენა მუნ და უწოდა ციხესა მას ქართლი. და მიერიდგან ეწოდების ყოველსა ქართლსა

---

*) სამეგრელოს მარტვილის სობოროს ხელ-ნაწერითგან იბეჭდება ეს წერილი ანტონ პირველ კათოლიკოზისა. რედ.

—ქართლი. ხოლო ესხნეს ძენი, ვიდრემე რომელთა პირველი იყო მცხეთოს, რომელმან აღაშენა აღმოსავლით არმაზისა შორის ორთა მათ მდინარეთ მტკვრისა და არაგვისა, და სახელი დასდვა თვისი, ესე იგი მცხეთა. ხოლო ძმათაგან მისთა იშვნეს კასნი და ჯავახნი, და ძისა მისისაგან, რომელსა ეწოდებოდა უფლოს, იშვნეს ქართველნი, ესე იგი ქართლელნი, იმერნი ესე ყოველნი და მთით კერძო საერისთოთა არაგვისა და ქსნისათა რაოდენიცა არიან ენითა ქართველთა მაუზარნი. ხოლო უფლის ძემან ცხეთოსისამან აღაშენა დასავლეთით მცხეთისა ქალაქი და სახელი დასდვა მას უფლის-ციხე წიაღ მდინარისა მტკვრისა კლდეთა შინა, რომელიც არს მახლობელ გორისა, ვგოებ ვითარმედ ვერსითა შვიდითა. აქიდამ განმრავლდა ნათესაობა ქართველთა. ხოლო ერთისა ვისმე უფლოსისაგანისა ნათესავისაგან იქმნა რომელნიმე მთამომავლობა, რომელთასა აქვნდათ არათუ სახელი მეფობისა, არამედ კოიკადებრი რაიმე პირველობა და აქვნდა შვილთ ნართლოსისათა პირველისა ყრმათა მთავრობაი და იჯდა იგი მცხეთოს ქალაქსა. ხოლო ამათ კოიკადათა ჟამთა შინა იყვნეს წმინდანი მამათ-მთავარნი აბრაამ, ისაკ და იაკობ და დიდი ღმრთის მზრახველი მოსე და ყოველნი წინასწარმეტყველნი, ვიდრე ჟამადმდე ალექსანდრ მეფის მაკედონელისა; რამეთუ ესოდენი იმეფეს ამათ ჟამნი, ვითარმედ ყოველნი მამათ-მთავარნი და წინასწარმეტყველნი და მეფობანი სარაელთანი, სპარსთანი და მაკედონთანი ვიდრე მეფობადმდე რომთა გარდაიცვალეს. ხოლო ალექსანდრემან, სპარსეთით მომავალმან ანუ მიმავალმან სპარსეთად, დაიპყრა ოდეს იგი ქართლი და დაუტევა კაცი ერთი აზონ ორასისა მხედრითა, რომელნიმე იყვნეს იტალიელნი და თვინიერ თავადთა რაოდენიცა აზნაურნი არიან საქართველოსა შინა, ყოველსა აზონის მხედართა არიან ძენი. და ესე ვიდრემე სიტყვა პირველი.

## სიტყვა მეორე.

იყო ვინმე ჭაბუკი სახელით ფარნავაზ, ძე კოიკაძეთა რომელი ზემო ითქვა და დედა მისი იყო ასული დარიოზ მეფისა სპარსთასა. და აღზარდა დედამან მისმან ფარულად სპარსეთსა შინა, მით რამეთუ სპარსთაცა შინა მაკედონთა იყო მთავრობა და ეშინოდა მათი, ნუ უკვე დარიოზის ნათესაობისა გამო არა რაი ევნოს ძესა მისსა. და ეშინოდა აზონისაგანცა, რამეთუ მამა და ყოველი სახლი ფარნავაზისი აღისპო ალექსანდრეს მიერ და შემდგომად აზონის მიერ. და ვითარ იქმნა ოცისა წლისა, ფარნავაზ წამოვიდა სპარსეთით და მოვიდა ცხეთად, არამედ შიშითა აზონისათა. და ნადირობასა შინა კლდეთა შორის ტფილისისათა იპოვნნა მრავალნი უნჯნი და დიდროვანი კერპნი ოქროსა და ვეცხლისანი დამალულნი. ხოლო წარმოისხნა იგინი და კერძოთა მეგრელისათა იყო ვინმე თავადი დიდი სახელით ქუჯი, მისცა მარწმა დაი თვისი ცოლად ქუჯის და ლაშქარნი შეიკრიბნა უნჯითა მით და მოკლა აზონ. და დაიპყრა აფხაზეთიდამ ვიდრე დარუბანდამდე. და მაშინ მომკვდარიყო ალექსანდრე და იწოდა მეფედ და განაგო წესისამებრ. და მან შეაწყო ენის სინარნარეცა ქართული. ხოლო მრავალნი მეფენი იშვნეს ამისნი, მაგრა ასწყდა ნათესაობა ამისი და ერთი ოდენ ქალი დაშთა, რომელსა მოგვარეს ქმრად ქართველთა ძე სომხითა მეფისა ნათესავისაგან, სპარსთა მეფისა სახელით ადერკ, ჟამსა აგვისტოს კეისრისასა და იქმნა ფარნავაზიანთა მეფობისა გარდაცვალებად არშაკიანთად. და ესრე ვიდრემე სიტყვა აქამდის.

## სიტყვა მესამე.

ამის ადერკის დროს იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, და ამან ადერკ იმეფა ჟამადმდე გაიოზს და კლავდიოს კეისართა და ამისგან შთამოვიდეს მეფენი რაოდენიმე, ვიდრე ჟამადმდე დიოკლიტიანე კეისრისა. და ჟამსა მას აღსწყდეს ძენი ადერკისანი არშაკიანნი და ითხოვეს

ქართველთა და სომეხთა და სპარსთა მეფემან ხოსრო, და მოიყვანეს ჭაბუკი მირიან მეფედ ქართველთა ძე სპარსთა და სომეხთა მეფისა ხოსროვისაგან. და მეფე იქმნა მირიან აფხაზთა და შვილთა ზემო-თქმულისა ქართლოსისათა და არა შეიცვალა გვარი მეფობისა, რამეთუ ხოსროცა მეფე, მამა მირიანისა, არშაკიანნი იყო. არამედ შეიცვალა სა-ხელი გვარისა მით, რამეთუ არღარა არშაკიანნად არამედ ხოსროია-ნად იწოდნეს მეფენი ქართველთანი. ხოლო მეფე იქმნა სომეხთა ზე-და უხუცესი ძმაი მირიანისა ტირდატ, ამან უკვე მირიან ისმინა, კი-თარმედ მეფე იქმნა კოსტანტინე რომს, ძე კოსტა დიდისა და ნა-თელს იღო სილიბისტროს მიერ რომთა პაპისა. და შემდგომად რაო-დენთა არა ფრიად მრავალთა წელთა მოვიდა წალწული ნინა და განა-ნათლა ყოველი საქართველოი, შვილნი ქართლოსისანი ნათლისა ჭეშ-მარიტისა სარწმუნოებითა. და თვით მეფემანცა მირიან ნათელს იღო და ყოველთა ქართველთა ხელითა ევსტათი ანტიოქელ მამათ-მთავრი-სა და რომელიცა აღრაცხილ არს ევსტათი იგი რიცხვთა შორის სა-მას ათვრამეტთა ნიკიელთა მამათასა.

ხოლო წმინდამან მეფემან კოსტანტინე ჟამსა ამის მირიანისასა ჰპოვა ცხოვრება ყოვლისა სოფლისა—პატიოსანი ჯვარი უფლისა ღმრთისა ჩვენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესი. ხოლო ფერხისა საუფლოსა ფიცარი ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა და სამსჭვალი საუფლო რომელი არს დღესა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს, რომელიცა კათო-ლიკე ეკკლესიასა შინა არს მოსკოვს, წარმოუგზავნა მას მირიანს კოს-ტანტინე კეისარმან.

ხოლო იშვნეს ამის ნათესავისაგან რაოდენიმე, რომელთაგანნი არს ვახტანგ პირველი, რომელსა მგელ-ლომად სახელს დებდნენ სპარ-სნი. და ესე ვახტანგ იყო ჟამსა თეოდოსი პირველისა და ძისა მი-სისა არკადისა. ამა ვახტანგ უწოდა ქართლისა კათალიკოზსა კათა-ლიკოზი, ბძანებითა ანტიოქელის პატრიარხისათა იყო. ყოველი სა-ქართველო ამანვე განყო საეპისკოპოზოებად: ათორმეტნი ქართლსა, ათორმეტნი ჯავახეთსა, ორი იმერეთსა, და ცხრა კახეთსა. და ესე

ყოველი ხელისქვეშე ჰყო მცხეთისა და ყოვლისა საქართველოისა კათალიკოზისა. ამანვე მეფემან აღაშენა ქალაქი ტფილისი, ქალაქი ნისანი გაღმართ ტფილისისა ქალაქისა, ქალაქი კალისი ჩრდილოთ კერძო ტფილისისა, და ქალაქი კასპი აღმოსავლით კერძო უფლის-ცისისა. ამანვე აღაშენა ეკკლესია საკათალიკოზო ცხეთას სახელსა ზედა ათორმეტთა მოციქულთასა.

ხოლო შემდგომად ვახტანგისა შთამოვიდეს რაოდენიმე მეფენი და ასწუდეს კვალად. და ესევე სიტყვა ვიდრემე აქამდის.

## სიტყვა მეოთხე.

აქა უკვე ვიტყოდეთ მეფეთათვის ბაგრატოვანთა, რომელნი შემდგომად აღსწუდეს ხოსროვანთასა, ესე იგი შვილთა მირიან და ვახტანგისათა. იქმნეს მეფედ და რომელთა უკვე მიზეზითა ამით კვალად მაიოხრა რა ყოვლადვე საქართველო ვასიანესა მიერ და ტიტესა, რომელნიმე ებრაელთაგანნი ივლტოდეს ფარულად. შვილნი ტყვეთაგან წარსხმულთა იტალიად შთამოსრულნი შვილთაგან კლეოპასთა, რომელი მოიხსენების საღმრთოსა შინა სახარებასა ლუკას მიერ, ესენი მოვიდეს იერუსალიმად მოოხრებულსა მას ქალაქსა და დაემკვიდრნეს მსგავსად მწირთა ქალაქსა მას საშობლოსა თვისსა. ხოლო ხედვიდეს რა მოოხრებასა იუდიისასა ვერ შემძლეთა ყოფისათა, რამეთუ მკვიდრობდეს აღლანენი, ფრიად უმრავლესნი იუდიანთა შვილთა მათ ფარულად ლტოლვით მოსრულთასა, ყვეს განზრახვა და წარმოვიდეს აღმოსავლად და მოიწივნეს დიდსა ერმანიასა. რამეთუ მთავართაგან სომხეთისა შეწყნარებულ იქმნეს მით, რამეთუ გამოიკითხეს რა მათი ნათესაობაი და სცნეს ვითარმედ ტომისაგან დავით და სოლომონ მეფეთა ისრაილისათა. ხოლო ამა ერთი მათგანი და დაადგრა მუნ და ექვსი მათგანი წარმოვიდეს ქართლად, და ვითარ მოიწივნეს ნისანად, სამეფოსა ქალაქსა ქართველთასა, ჟამთა არღა აღწყვეტილიყვნეს მეფენი ხოსროანნი და მეფობდა მაშინ სტეფანე და მისგანცა შეწყალებულ იქმნეს

ფრიად და ნათელს-იყოს. რამეთუ ებრაელთა სჯულის შემწყნარებელ იყვნეს მამულისა მათისა და უხუცესი მათისა ხელით ამ მეფემან სტეფანე ამიერსპარსსარალ ჰყო, ესე იგი ფერდმაშალ ჰყო და სხვანი მიიქცნენ რომელსამე ადგილსა. ხოლო გურამ დავითიანნი ფერდმაშალი სტეფანე მეფისა იყო, შერთულ იმპერიასა კეისრისა ბერძენთასა, რომელი იყო დიდი იუსტინიანე და ცნობილი იქმნა გურამ იუსტინიანეს მიერ და მიემთხვია პატივსა კურაპალატობისასა.

ხოლო ჟამსა ამას განდგენ სომეხნი წმინდისაგან კათოლიკე ეკკლესიისა. და ამას ჟამსა იქმნა მოქცევა აფხაზთა სარწმუნოებად ჭეშმარიტისა ქრისტეს ღმრთისა ჩვენისა ფრომენტიოზ ვისიმე მიერ, იუსტინიანეს კეისრისა საჭურისისა, რომელიცა იყო ნათესავით აფხაზი. რამეთუ ამა ჟამადმდე აფხაზნი წარმართ იყვნენ და გურამ იგი დღითი დღედ წარემარტებოდა წინაშე კეისრისა და მოკვდა სტეფანე იგი მეფე. და იქმნა მეფედ გურამ ქართველთა ყოველთა და აფხაზთა ზედა ნათესაობისათვის საწინასწარმეტყველოსა და სიმხნისა მისისა. და ვიდრემე სიტყვა აქამდის.

## სიტყვა მეხუთე.

და ვითარ შთამოვიდეს რომელნიმე გურამისგან და განიყვეს სამეფონი ორად, ესე იგი რომელნიცა მრავალ-გზის მოხსენებულნი არიან აქა შვილნი ქართლოსისანი, ხვდა პირველსა; და მეორესა აფხაზეთი. და ჟამთა ამათ შინა განთავისუფლდა ხელსა ქვეშეობისაგან ანტიოქელთა პატრიარხისათა კათოლიკოზი მცხეთისა და ყოვლისა საქართველოსა იოანეს ჟამსა მეექვსისა კრებისასა. ხოლო იყო მეფე ვინმე ქართველთა სტეფანე ძეთაგან გურამისთა და ჟამსა ამას გამოცხადდა ყოვლად უღმრთო იგი მაჰმედი.

შემდგომად მეფეთა რაოდენთამე აღსწყდა მეფეთა ქართველთასა დავითიანთა, ძეთა გურამისთა, ნათესაობაი, და დაიპყრა საქართველო აფხაზთა მეფემან დავითიანმანვე, ბაგრატ პირველმან, რომელი იყო მე-

თაგან გურამისთა და ამის ბაგრატის გამო ეწოდა ნათესავთა მისთა ბაგრატოვანნი.

ხოლო ესეცა საუწყებელ არს, რამეთუ გურამის ჟამიდგან იწყეს განმრავლებად მეთა ქართველთასა სკოლათა შინა კონსტანტინეპოლისათა და მოვიდეს ქართლად, და ქმნეს სკოლანი ენითა ბერძულითა, და იწყეს თარგმანებაი წერილთა. და შვილი-შვილი ბაგრატისა დავით მესამე, რომელმან აღაშენა სოფელნი მოოხრებულნი საქართველოსანი უღმრთოთა მაჰმედიანთა მიერ, გამოჩნდა უძლეველად. და არღა მონებდეს სპარსთა, არცა ბერძენთა. არამედ თავისუფალ იყვნეს მეფენი ქართველთანი შვიდნი, ვიდრე მეფადმდე თამარისა ასულად. და ესე ვითარიმე სიტყვა აქამდის.

## სიტყუა მეექვსე.

იყვნეს უკვე მეფისა დავით მესამისა შემდგომად მეფენი, ძე დავითისა და ძენი დიმიტრისანი. პირველი დავით, მეორე გიორგი, რომელი იყო შვენიერ ხილვითა და ახოვანი გვამითა. დიმიტრი უკვე მოკვდა და არა დაშთა ნათესავნი მისი. ხოლო გიორგის ერთი უკვე ასული ყვა, რომელ არს საკვირველი თამარ. ამან უკვე გიორგიმ ცხოვრებასავე დაადგა გვირგვინი ასულსა თვისსა თამარს და აღიარეს ყოველთა ქართველთა და აფხაზთა მეფედ. ხოლო იყო თამარ, ოდეს დაადგა გვირგვინი მამამან, ათორმეტისა წლისას. შემდგომად ორისა წლისა გარდაიცვალა მეფე იგი გიორგი ჭაბუკი და დაფლეს იგი საფლავსა პაპისა მისისა მიერ დავით მესამისაგან აღშენებულსა, ფრიად შვენიერ გებულსა გენათს.

მაშინ სცხეს მეფედ თამარ ყოვლისა საქართველოისა და აფხაზეთისა ქალაქსა ნისანს. და შერთეს მას ქმარი, რათა არა უმკვიდრო იქმნეს სამეფო მისი, ძე რუსთა მთავრისა სახელით დავით, რომელი იყო მისვე დავითიან ბაგრატოვანისა შთამომავლობათაგან ესრეთ, რამეთუ მეფენი ვინმე იყვნეს ძმანი ორნი ამისვე სამეფოსანი დავითიან

ბაგრატოვანნი, შვილთაგან მრავალჯერ მოხსენებულისა გურამისითა. პირველსა უკვე ძმასა ერქუა დიმიტრი და მეორესა გიორგი. დიმიტრი უკვე იყო მეფედ, მაგრამ ძმამან მისმან გიორგიმ მიიღო მეფობაი და ძე უკვე სხვა ერთი ყრმაი მცირე მეფესა დიმიტრის იგიცა მისტაცა ძმამან მისმან გიორგიმ და მისცა ოსთა მთავარსა მზრდელად. ხოლო მთავარი იგი ოსეთისა იყო უშვილო და მემკვიდრედ თვისად შეიწყო ყრმა იგი და მაშინ ოსნი და ყაბარდინელნი იყვნეს ყოველნი ქრისტიანენი. და მის ყრმისაგან იშვნეს მრავალნი ოსეთსა შინა. ხოლო შემდგომად ამისა მრავალთა წელთა მისცა დაი თვისი რუსუდან ცოლად მეფემან გიორგი მამამან თამარისამან მთავარსა ოსთასა ბაგრატოვანსა. ხოლო ჟამსა სიჭაბუკისასა დაქვრივდა ქალი იგი და მოიქცა ძმისა თვისისა საქართველოდ და მოიყვანა თვისთანავე ძე მაზლისა თვისისა, ყრმაი დავით, ქმარი თამარისი. და აღზარდა იგი. ხოლო გიორგიმ ასულიცა თამარ მისცა აღზრდად იგი დასა მას რუსუდანს. ხოლო რაჟამს იგი მეფე იქმნა თამარ და ენებათ ქმარი მისთვის ქართველთა და აფხაზთა, რათა არა უმკვიდრო იქმნეს სამეფო, მაშინ მიება ყვეს, უკეთუ რომელიცა ჰოოს ვინმე ქმრად ღირსი მეფისა მათისა. თქვეს ვითარმედ ჭაბუკი ესე დავით ნათესავი არს მეფეთა ჩვენთა ბაგრატოვანთა და კეთილ-ზრდილ და მხნე. ამისი ყვეს გამორჩევაი და თამარცა ითნო საქმე ესე და ქმნეს ქორწილი ვითა შვენოდა სიმაღლესაებრ მეფობისასა ქალაჲსა ნისანს. მრავალნი უკვე საკვირველნი ქმნა თამარ, ვითარ იგი მოუთხრობდნენ მატიანენი ცხეთისა და გაენათისანი, მრავალნი მძლავრნი ჩვავნი მეფენი უცხო თესლნი დაამდაბლნა წინააღმდეგნი თვისნი. მრავალნი ეკკლესიანი და მონასტერნი აღაშენა და აღშენებულნი განამდიდრნა. ხოლო სომხეთა მეფენი და აღვანისანი ხარკს მისცემდნენ მას. და ჰყვანდა მხედრად განწესებულნი გაცნი, ვითარ სამასი ათასი. ამისგან უკვე ერთისა ძისა და ერთისა ასულისა კიდე არა რაი შვა. და სახელი ძისა მისისა გიორგი, ხოლო ასულისა რუსუდან. ამან უკვე დაყო მეფობასა შინა წელიწადი ოცი და

ესრეთ მივიდა იგი წინაშე უფლისა და იქმნა ძე მისი გიორგი მეფედ წლისა აჩვიდმეტისა. და ესე ვიდრემე სიტყუა აქამდის.

## სიტყუა მეშვიდე.

მოკვდა გიორგი მეფე, დაშთა ყრმა მცირე სახელით დავით. ხოლო მეფე იქმნა რუსუდან დაი მისი, რომელიცა დაღათუ შვენიერ მსგავსად დედისა თვისისა, გარნა არა საქებელ ვითა სანატრელი იგი დედაი მისი. ამას უკვე რუსუდანს განუდგა თავადი ვინმე ქართლისა და ვითარ ჰყო კვალადვე მონება მისივე, მისცა მძევალად თავადმან ძეი თვისი. ხოლო იხილა რა რუსუდან მძევალი იგი, ეტრფიალა მას; გარნა არა ისიძვა, არამედ ქრმად შეიყვანა იგი პალატსა თვისსა სამეფოსა. ამისსა უკვე მეფობასა შინა მრავალნი ბოროტნი იქმნეს სამეფოსა შინა მისსა. და განრისხდა ღმერთი და იქმნა მოოხრება ყოვლისა ქართლისა სპარსთა მიერ ლტოლვითა თათართაგან. ხოლო თათარნი ამისსა მეფობასა შინა დამპყრობელ იქმნეს სპარსეთისა და მრავალთა ადგილთა აზიისათა. ხოლო პირველი მათი ზინგიზ, რომელი იავნ იქმნა, ხოლო ჩვენ დავდუმნეთ საქმეთა მით რუსუდან მეფისათა და ნუ განვაცხადებთ მას, ვინადგან იყო ცხებული უფლისა და მართალ-მადიდებელი. მოკვდა უკვე მეფე რუსუდან, დაშთა ძე სახელით დავით, რომელსა ჟამსა თვისსავე ცხოვრებისასა სცხო მეფედ. ხოლო თათარნი მეფობდეს მაშინ საქართველოსა ზედა, რამეთუ რუსუდან წარსწყმინდა თვით მპყრობელობა: ძე გიორგი მეფისა, რომელი იყო ძმისწული რუსუდან მეფისა, სახელით დავით, და ძე რუსუდანისა დავით, ორნივე ერთად მეფობდნენ, რომელთა სიგელნი სამეფონი იხილვებიან დღესაცა, ქვემოწერილნი ესრეთ: „სიგელი ესე მე დავითისაგან ქვემოწერილი“ და მე დავითისაგან ქვემოწერილი.

ხოლო დავითი ძე რუსუდანისა ფრიად მორწმუნე და ღვთის მოშიში იყო, გონიერ და კეთილ მსაჯულ. და სხვაცა იგი დავით ესრეთივე, მაგრამ ჟამსა სიბერისასა სოლომონს მიემსგავსა ძე იგი

გიორგისა დავით. ამან უკვე თან-მოსახელეთა მეფეთა ფრიადი აქუნდათ სიყვარული ურთიერთას. გარნა კაცთა ბოროტთა შუაქმნეს ბოროტნი საეშმაკონი სიძულილისა მიზეზნი. რათა არა განგრძელდეს სიძულილი შორის ორთავე მათ დავითთა, ქმნეს განყოფაიც მეფეთა რამეთუ ძესა გიორგისასა დავითსა სვდა ქართლი, კახეთი, შირვანი და ჯავახეთი, რომელ არს სამთავრო ახალციხე, ყაბარდინა, ოსეთი და ქისტეთი. რამეთუ ოსეთი და ყაბარდინა დაიპყრო სანატრელმან თამარ და ქისტეთიცა და ჯიქეთი ეგრეთვე. თორემ ჟამადმდე თამარისა არა იყო მეფეთა საქართველოსათა.

და ძესა რუსუდანისასა დავითს სვდა იმერეთი, გურია, ოდიში, რაჭა, აფხაზეთი, სვანეთი, ჯიქეთი. ხოლო თვინიერ აფხაზეთისა, რაიცა სვდა, დავითს ძესა რუსუდანისასა, ყოველივე საქართველო არს და ეწოდების ქვემო საქართველოი; და ქართლს, კახეთსა და ჯავახეთსა, რომელ არს ახალციხისა სამთავრო, ეწოდების ზემო საქართველო. და ორნივე ესე ზემო და ქვემო საქართველოთა კათოლიკოზის იყო ეპარხია. მაგრამ სხვად სამეფოდ რაი იქმნა ქვემო საქართველო, აფხაზეთის კათოლიკოზისა იქმნა ეპარხია. ხოლო საუწყებელ არს ესეცა, რამეთუ ძისაგან რუსუდანისა არიან მეფენი იმერთანი და ძისაგან გიორგისა არიან დღეს რუსთა იმპერიასა შინა მყოფნი ძენი ქართლელთა მეფისანი. მერმეცა საუწყებელ არს ესეცა, რამეთუ ჟამსა ერთ მეფობისასა იყო სამეფო ქალაქი ცხეთა, მაგრამ ვინაიდგან მისცვალა სანატრელმან მეფემან ვახტანგ პირველმან ნისათს და ტფილის ქალაქი სამეფო იქმნა. სამეფო ქალაქად ნისანი, რომელია გაღმართ ტფილისისა აღმოსავალით, რომელიც დღესა მოოხრებულსა მას მინდორსა ეწოდების ავლაბარი. და ესრე ვიდრემე სიტყვა აქამდის.

## სიტყჳა მერვე.

საუწყებელი ვიდრემე არს ესე რამეთუ შემდგომად ძისა რუსუდანისა, რომელთა მამა იმერთა მეფეთა არღარა მონებდეს, შვილთა

დავითისათა მთავარ ოდიშისა, რომელსა წოდებულ ყოფენ დადიანად, და მთავარი გურიისა, რომელ არს გურიელი; არცაღა აფხაზნი, არცა სვანი, და არცა ჯიქნი, არამედ თვის თვისად იმთავრნეს. პირველი მათ შორის მყოფნი თავადნი აფხაზნი და ჯიქნი მისდრკენ უსჯულოებადცა. გარნა მხოლოდ იმერელნი ოდენ მონებდეს დაღათუ რაჭველნიცა. არამედ რაჭა არა სამთავრო არს, არამედ მისივე იმერეთის ნაწილი არს. ხოლო ძეთა დავითისათა, ძისა გიორგისათა, მონებდეს ყოველნი ქართველნი რაივეცა ხვდა. გარნა არღარა ყაბარდინელნი, არცაღა ოსნი და არცა ქისტი. მრავალჯერ უკვე განრისხდა ღმერთი საქართველოსა ზედა უკეთურებათათვის ქართველთასა. მაგრამ ოდეს მოიქციან ღვთისა მიერ შეწყალებულ იქმნიან, მსგავსად ისრაელთა ერისა, ვითარცა მოგვეთხრობის წიგნთაგან მოსესთა, ისონავესათა მსაჯულთა მეფეთა ნაშთთა და წინასწარმეტყველთასა. ხოლო მონებდეს მეფენი ქართველთანი თათართა ნათესავთა ჩინგიზისათა; და მეფენი იმერთანი კეისარსა. და უმეტესი უკვე მშვიდობა აქვნდავე იმერთ მეფეთა დაისახებდეს ეკკლესიასა ქუთათისათა და სამეფო ქალაქი მათდა იყო ქუთათისი.

ნუ დაუტევებთ უკვე გიორგი მეშვიდისა სახელსა, რომელი იყო მეფე ქართველთა, რომელიცა ღირსი მოხსენებისა არს. ესე უკვე წოდებული ვარსკვლავად განთიადისა მატიანეთაგან ქართლისათა მით, რამეთუ ფრიადსა უკეთურებისა ღამესა შინა იყვნეს მეფობადმდე მისსა ქართველნი, მეფენიცა და მთავარნი. მაგრა აღმოიჭირვა რა გიორგი ვარსკლავმან განთიადისამან, განანათლა ღამე იგი სიბოროტისა და მერმეღა მზემანცა სიმართლისაგან განანათლა სამეფოი მისი. ხოლო უკეთურებასა რა ვიტყვი, არათუ სარწმუნოებისაგან ჭეშმარიტისა განსვლასა ვიტყვი, არამედ ბოროტთა საქმეთა. გარნა ამისა მეფობასა შინა დასცხრეს ყოველნი იგი კაცნი უკეთურნი სიბოროტისაგან მათთა, და იქმნა ცვალება კეთილ-მადლიერად. და მეფობასა შინა მისსა იყვნეს კეისარნი ბერძენთანი პოლეოლოღონნი. ეგრეთვე მეფო-

ბასა შინა მისსა ხოლო რომაელთა და ბერძენთა შორის იყო განყოფილება ჟამსა მას არა ახალი, არამედ ჯერედ არღა ქმნილიყო კრება ფლორენციას. და ესე ვიდრემე სიტყუა აქამდის.

## სიტყუა მეცხრე.

აქა საუწყებელ სადამე არს შემდგომად გურამ დიდისა შეცვალება გვარისა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა. არამედ მისვე დავითის და გურამის მისაგან არიან რტონი კეთილ სიტყვიერისა ბაგრატისნი უცვალებელად; დაღათუ იცვალა შემდგომად თამარის ასულისა რუსუდან მეფისა გვარი, არამედ იმერთა მეფეთა ოდენ განისაკუთრეს შეცვალება იგი. და იგინიცა ერისა ცვალებისა არღარა აღსწუდენ, არამედ ამისვე რუსუდანისათა, არიან ძეთაგანნი.

უწყოდენ უკვე მაღალ მსვლელობამან თქვენმან, უკეთუ არა მიპყრობდეს აღვირი თქვენისა მორჩილებისა, დუმილი შემიპყრობს აქა გულვებადთა თვის მოსათხრობელთა და ვერ დამპყრობელი ცრემლისა ვაი თქმადთა თვისა. გარნა ვინადგან ითნებს თქვენი ეგე მაღალ მავალობაი საქართველოს მეფეთა ტომთა განყოფათათვის და პროვინციათათათვის საქართველოსათა შემეცნების, ეს არა დაიტევების. იყვნეს უკვე გიორგი მეშვიდისა მეფენი ძეთაგან მისთა რაოდენიმე, დაღათუ არა ფრიად მრავალნი. ხოლო იქმნა მეფედ ბაგრატ მეოთხე და ჟამსა უკვე ბაგრატისასა მოიძულა ღმერთმან ნათესავი ქართველთა, რამეთუ მრავალჯერ იქმნა მოოხრება საქართველოსა, ესე ვითარი არაოდეს. რამეთუ უღმრთომან ლანქთემურ ჰყო საკვირველი მოოხრებაი, რომელი არა სადა სმენილ არს: მოიწია რა უკვე მძლავრი იგი, ქალაქი იგი სახელოვანი სადა იქ სდებოდეს მეფენი, რომელ არს ნისანი, ტფილისი, კალისი, და მანისი, მცხეთა, კასპი, გორი, ურბნისი, და ყოველნი ქართლისანი, ეგრეთვე კახეთისანი ყოველნივე, და იმერეთისანი, ბრწყინვალე იგი ქალაქი ქუთათისი სამეფო ქალაქი იმერთა ყოველითურთ აღაოხრა და ესე ყოველი ლანქთემურის მიერ ცეცხლით

აღისპო. ხოლო ერთი საქმე ახალი შემოიღო ყოვლად უღმრთომან, რამეთუ ტყვისა წარყვანებად ქმნა არცა ერთისა. არამედ მოასხნა რა სიმრავლე მრავალთა ბევრთანი, მამანი და დედანი, ჭაბუკნი და ქაბუკნი, ყრმანი და ყრმანი, მღვდელნი და დიაკონნი სამღვდელოთაგანი, და მონაზონნი ყოველნი ეკკლესიად მიასხიან და დაწვიან ეკკლესიასა შინა. ხოლო უკანასკნელ მოიგონა ძმამან მისმან ეშმაკმან ესეცა, რამეთუ თავსა და ცხოველს-მყოფელსა ჯვარსა შეურაცხყოფისასა ვინ განარინიან და მრავალთა ვგონებ ვითარმედ მილიონისა უმრავლესად გაიდგეს გვირგვინი წამებისა. ხოლო დიდი იგი ეკკლესია მცხეთისა, რომელი აღაშენა მეფემან ვახტანგ პირველმან, რომლისა იყო გებული კამარანი და სვეტნი მარმარილოსანი და იატაკიცა მარმარილოსა, ჯერეთ მოწვა ცეცხლითა ბილწმან მან და მერმეთ ძირითურთ მოთხარა იგი და სხვა ნაბურზადან იქმნა სახელსა ზედა ღვთისასა. საეპისკოპოზონი ეკკლესიანი და მონასტერნი ქალაქთა და უდაბნოთანი სრულიად დააქცივნა ძირითურთ და არცა ერთი ეკკლესია განერა აღუფხვრელად ხელთაგან მისთა, თვინიერ ეკკლესია ბოდბისა, რომელი მაშინ მონასტრად იყო, სადა მდებარე არს გვამი განმანათლებელისა ჩვენისა წმინდისა ქალწული ნინასი და ესე დაიფარა ღმერთმან რამეთუ მძლავრთაცა ეშინის ზოგთ ჯერ სიწმინდეთაგან. დაიფარა სიწმინდე იგი, მაშინ ურუმის მიერ დამალულნი სიწმინდენი.

მრავალნი უკვე ბრძოლანი აჩვენეს ლანქთემურს, რამეთუ მეფე ბაგრატ ფრიად მხნე იყო ბრძოლათა შინა. ხოლო შემდგომად ვერ განერა მეფემ ბრძოლასა შინა აღნერნეს ლაშკარნი მისნი და თვით შეიპყრეს მეფე. და წარიყვანა იგი ცოცხალი უღმრთომან ლანქთემურ. ხოლო დედოფალი ცოლი ბაგრატისა და ძე ყრმა გიორგი განერნენ მცირითა ვითმე მხევლითა და რაოდენითამე კაცითა საერისთოსა შინა, და ეგრეთვე კათოლიკოზიცა სამულ განერა მცირითა ვითმე სამღვდელოთა კაცითა. ხოლო ვითარ მიიწია შირვანად განუტევა მეფე იგი ბაგრატ ცოცხალი და მისცა მეფობა იგი ბაგრატს მოოხრებულისა სამეფოისა და თვით წარვიდა სპარსეთად.

მაშინ აღარა ერთი სოფელი, არცა სახლი სადმე, არცა ეკკლესია იპოვებოდა ქართლსა შინა თვინიერ საერისთოთა არაგვისა და ქსნისათა. ხოლო თუ სადმე დარჩნენ დაურღვეველად ეკკლესიანი იგინი, რომელნი პირველ აოხრებულ და უშენ იყვნეს. ხოლო მოკვდა უკვე მეფე ბაგრატ პირველი მწუხარებისა მისგან დიდისა, და არავინ უწყის, თუ სად დაფლეს იგი, რამეთუ მცხეთა მოოხრილი იყო და ყოველნი ეკკლესიანი დარღვეულ იყვნეს. და ესე ვიდრემე სიტყვა აქამდის.

## სიტყვა მეათე.

შემდგომად ანტიოხოს მეორისა ეღმრთოსა მის ლანქთემურისაგან მოოხრებისა იქმნა მეფედ გიორგი ძე ბაგრატისი. გარნა სახელით ოდენ მეფედ არა რა აქვნდა მას სამეფო, არცა იცხო მან, და მოკვდა იგიცა ჟამსა სიჭაბუკისასა. და დაშთა ყრმა მცირე, რომელა ალექსანდრე პირველი. ხოლო იყო რა რვისა წლისა უწოდეს მეფედ და იყო აოხრებული ქართლი, ჯავახეთი, მცხეთა, შირვანი. და სადაც თუ სადმე განრომილი იყო შთამოვიდეს მთით, დაიწყეს შენობადთა. ხოლო სანატრელი დედა მისი დედოფალი აღზრდიდა ალექსანდრეს მეცნიერებისა საღმრთოთა წერილთასა და მოჰგვარა მას კონსტანტინეპოლით მოძღვარი ვინმე კაცი ღვთის-მეტყველი. და დაისწავლა ალექსანდრემ კნინღა ზეპირ ყოველნი საღმრთო წერილნი და ყოველნი სიმგრგლე გარეშისა მეცნიერებისა. და ვითარ იგი იქმნა ოცის წლისა, მეორემან იწყო ზღუდეთა ქალაქისათა დარღვეულთა განახლება და სახლთა სამეფოთა, მაგრა ვერ შეასრულა სახელოვანი ჩისანი ქალაქად, ტფილისს მისცვალა ქალაქი სამეფო, და ყოველნი ეკკლესიანნი, რაოდენიცა საეპისკოპოზონი ანუ მონასტერნი მოაოხხვრეს ეღმრთოს ლანქთემურის მიერ, ყოველნივე აღაგზნა და განაახლა. და ჰყვეს ენკენია დიდი, რომელიცა ეკკლესია განაახლის. ხოლო თვით იგიცა ეკკლესია დიდი ცხეთისა აღაგო მეორემან ზორა-

ბაბილ და ჭყონ ენკენია დიდი პირველსა ოკდომბერსა, რომელიცა დღეინდელად დღემდე გვავს ყოველსა საქართველოსა დღესასწაულად დიდად.

ხოლო სოფელნი და ქალაქნი ყოველნი აღაშენნა, რამეთუ ფრიად მხნე იყო ბრძოლათა შინა და მსგავსად დავითისა მამისა მისისა შეაძრწუნა უცხო თესლნი; რამეთუ მრავალ-გზის ებრძოლა მათ მკვიდრთა სპარსეთისათა და რომელნიცა აღიღეს ქალაქი და წამოიღის ნატყვევნავი და წარმოასხნეს დიდა წელითა ტყვენი, და რა ჟამს მოვიდის სამეფოდ თვისად, მისცის მხედართა თვის ხუთი და თვით აიღის ერთი და მიართვის წმინდათა ეკკლესიათა. ხოლო ტყვენი იგი არცა ერთი განისყიდებოდა, არამედ სადმე სამეფო აღიყვანიან თვისთა ქალაქთა და სოფელთა, დაასახლებდიან თვისთა ქალაქთა მშვიდობით. და უკეთუ თავადთათვის თვის-თვისთა სოფელთა ებრძანის დასახლება, და რაოდენნი მხედართა ყვანიან, ფასი მეფეთაგან მიეცემოდის, და ქალაქთა და სოფელთა მეფისათა დაასახლებდიან. ორმეოც წელ უკვე იმეფა საკვირველმან მან და არცა ერთისა ნახევრავისა მიგდებულ იქმნა გლეხთაგან და ჟამსა მეფობისა მისისასა ვერცა თავადნი მიიღებდის რასმე გლეხთაგან თვისთა. რამეთუ ახალ შენი იყო მაშინ სამეფო მისი და სწადოდა ფრიად რათა აღეშენოს ქალაქი ხოლო ყოველივე მისი ათისაგან ერთი გლახაკთა მიეცემოდა და მით ვითარცა მზე საყდარი მისი დადგა წინაშე ღვთისა, და იპყრა აბხაზეთი და იმერეთიცა სამეფო და ყოველნი რაოდენიცა განყოფამდე აქუნდავე საქართველოსა მეფეთა, და ყაბარდინიაცა, ოსნი და ქისტნი და მახლობელნი აფხაზთანი ყოველნი დამახლობელნი იმერთათა სვანნი, ჯიქნი და იქმნა ერთ სამეფოდ და ვითარცა პირველ მამათა მისთავე აქუნდა. და ვითარ იგი იქმნა ორმეოც-და-რვისა წლისა ალექსანდრე დიდი, მოუწოდა ძესა თვისსა, რომელთა პირვგამო მონაზონ იყო, სახელით დავით და ვახტანგს უკვე მისცა, რომელი იყო ძე მეორე, აფხაზეთი, ჯიქეთი, სვანი, ოდიში, გურია და ყოველი სამეფო იმერთა მეფეთა და უწოდა მეფედ. დიმიტრის ქართლი, ჯავახე-

თი, ოსეთი, ყაბარდინა, ქისტეთი და უწოდა მეფედ და უმრწემესსა ძესა მისცა კახეთი; ერთი რომელსა შინა არს ჭარი და კაკი მცირენი ფშავნი და შარქისნი, სადა მთავრობდა აქამდე აჯი ჩალაბი, და შირმანი, რომლისა დედა ქალაქი არს შამახია და არა ეწოდების მეფედ, არამედ მთავრად. და მოუწოდა მთავართა სამეფოსა თვისთასა ყოველთა და ესრედ მიათვალნა იგინი ძეთა მისთა და დასდვა მაშინ ყოველსა სოფელსა ძეთა თვისთასა სულზედ ნახევარი მარჩილისა და სხვა არა რაი. ხოლო ძესა მას თვისსა პირმშოსა მონაზონს დავითს კათოლიკოზობა მცხეთისა და ყოვლისა საქართველოისა, რომელიცა აქვსვე ხელის-ქვეშე დღეს კათოლიკოზსა საქართველოისასა. დავით მონაზონ იქმნა და სახელ ედვა ათანასესი და გაბრწყინდა ღვაწლითა მონაზონებისათა, და ესრეთ მივიდა მრჩობლითა გვირგვინითა წინაშე უფლისა.

ხოლო ჟამსა მეფობისა მისისასა იქმნა კრებაი ფლორენცას და ჟამისა სრულსა მეფობისა მისისასა აღიღეს კოსტანტინეპოლი თურქთა. და ესრეთ ვიდრემე სიტყვა აქამდის.

## სიტყვა მეათერთმეტე.

ალექსანდრე უკვე პირველისა ძეთა ვიტყოდეთ, განუყოფასა ესრეთ იქმნა რა მეორე ძე ალექსანდრესი კასტანგ მეფედ იქმნა იმერთა, აფხაზთა და სხვათა, რომელი ითქვა,—მოკვდა უკვე უშვილოდ და არღა წყვეტილ იყვნეს ძენი რუსუდანისანი, რომელ არს მეფენი იმერთანი. და სამეფო მათი დაიპყრეს მათვე და აფხაზეთიცა, ეგრეთვე ოდიში და სხვანი თვისთავე მთავართა დაიპყრეს, რომელთა აქვნდა ალექსანდრე სადამე პირველისა.

ხოლო დიმიტრი მეფე ქართლისა, ძე მესამე ალექსანდრესი, და გიორგი მთავარი კახეთისა მონებდეს მეფესა სპარსთასა. და განიყო სამეფო ორად. მაგრამ ჯაახეთი, რომელ არს პროვინცია ახალციხისა დიდით მთავრითურთ თვისით მონებდეს დიმიტრის. მონაზონ უკვე

იქმნა მეფეცა დიმიტრი და უწოდეს ადამიანთ და ძეცა მინასხავნ ხატი მისი მონაზნობისა სახითა. რამეთუ სადაცა მე ვიმყოფებოდე მონასტერსა შინა მრავალ-მთიისასა, მუნ აღასრულა სერობა ცხოვრებისა თვისისა და იქმნა ძე მისი კოსტანტინე მის წილ მეფედ. ხოლო მოკვდა გიორგიცა მთავარი კახეთისა და იქმნა მის წილ მთავრად კახთა ზედა ალექსანდრე, ძე მისი და უწოდეს კახთა მაშინ მთავარსა თვისსა მეფედ. ხოლო მოკვდა მეფე კოსტანტინე და მიიღო მეფობა ძმან მისმან დავით, რომელსა მშვიდად სახელს სდებენ. და სხვა ძმა, რომელსა ეწოდებოდა ბაგრატ და მოკლა ალექსანდრე მეფე კახეთისა. ძმან მისმან გიორგი, რომელსა ავ-გიორგიდ სახელსა სდებენ და იქმნა მის წილ მეფედ და დაბრმო ძმაცა თვისი დიმიტრი, და თვით გიორგი მოკლა სიბოროტითა და ავაზაკობათა შინა ქართველთა მიერ.

მოკვდა უკვე ქართლის მეფე დავით მონაზონ ქმნილი და მეფედ იქმნა ძე მისი ლუარსაბ. და ესრე ვიდრემე სიტყვა აქამდის.

## სიტყვა მეთორმეტე.

ლუარსაბის მეფობის დასაბამსა იყო ფრიად მძლავრება სპარსთა საქართველოთა ზედა. გარნა ლუარსაბის მეფობასა შინა ვერღარა მძლავრობდეს, რამეთუ სხვა ვინ გედეონ იქმნა სპარსთა ზედა ლუარსაბ, ვითარ იგი გედეონმა და მას ზედა. ხოლო აქა დამადუმებს მე სიმხნე ლუარსაბისი და მაცხოვრად ერისა თვისისა მოცემაი მისი ღვთისა მიმართ. რამეთუ თუ სადმე ვიტყოდე მე სიმხნეთა ლუარსაბისათა, განვრცელდების წერილი და თუ სადამე ვსდუმნე, არა ღირს დუმილით თანა წასვლისა არიან სიმხნენი მისნი. ხოლო უკვე ვსთქვათ მისთვის და ჭეშმარიტი ვსთქვათ, რამეთუ მოთხრობაი ლუარსაბისი სიმხნეთა ყოვლითურთ მსგავს არს ჭეშმარიტად მაკაბელისა იუდას სიმხნეთა. და სიკვდილიცა მაკაბელისა იუდაებრ მიიღო ბრალთა შინა

უცხო თესლთაგან მეშურნებასა შინა არათუ აჩრდილისა სჯულისასა არამედ ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა ქრისტეს ღვთისა ჩვენისა.

ხოლო მოკვდა რა დაწყლული მეფე ლუარსაბ, რომელმან არაოდეს მონა და არცა ამონა სამეფო თვისი სპარსთა; მეფე იქმნე ძე მისი სვიმონ პირველ მის წილ. ხოლო კახთა ზედა იყო მაშინ ლეონ დიდი, ძე ავ-გიორგისა, რომელმანცა მოკლა მამა თვისი. ხოლო იმეფა სვიმონ არა მშვიდობით უცხო თესლთაგან და უკანასკნელ ბრძოლასა შინა თურქთა წარიყვანეს ტყვედ კოსტანტინეპოლისა და მიიცვალა მუნ. და იქმნა ძე მისი გიორგი მეფედ მის წილ. ამისსა მეფობასა შინა დაიპყრეს თურქთა ქვეყანა ჯავახეთისა და უარყვეს და დაუტოვეს თვით მთავარმან ჯავახეთისამან და სამთავრომან მისმან უფალი ჩვენი იესო ქრისტე, და იქმნეს მაჰმადიანნი. ხოლო იყო კახთა ზედა მეფედ ალექსანდრე, ძე ლეონ დიდისა.

მოკვდა უკვე გიორგიცა მეფე წამლითა ულმრთოსა შინა ბააზისათა და იქმნა მის წილ მეფედ ძე მისი ლუარსაბ მეორე, ფრიად ჭაბუკი ასაკითა, ხოლო მოიკლაცა ალექსანდრე მეფე ცხეთისა, ძისა თვისისა კოსტანტინეს მიერ. და იქმნა უკეთური იგი კოსტანტინე მეფე მეფედ მოკვლად მამისა და ძმისა თვისისა გიორგისი და მიემსგავსა იგიცა საქმეთა ავ გიორგისათა პაპისა თვისისათა. ხოლო მოიკლა თვით იგიცა ულმრთოთა კოსტანტინე კახთა მიერ. და ესევე ვიდრემე სიტყვა აქამდის.

## სიტყვა მეცამეტე.

გსთქვათ რა ულმრთოსა კოსტანტინეს მიერ მოკვლაი მამისა თვისისა მეფისა ალექსანდრე მესამისა და ძმისა თვისისა გიორგისი და მოკვლაცა მისი კახთა. მეფე იქმნა შემდგომად ულმრთოსა კოსტანტინეს თეიმურაზ პირველი კახთა ზედა. ხოლო ესე თეიმურაზ ძმისწული იყო ალექსანდრესი, ძისაგან თვისისა მოკლულისა, და ძე კახთა მეფისა დავითისა. ხოლო მამამან ამის თეიმურაზისაგან დავით,

ძემან ალექსანდრე მესამისამან, მიიღო მეფობა კახთა მამისა თვისა ალექსანდრეს სიცოცხლესავე შინა და თვით იქმნა მეფედ. ხოლო არა ყოვნა საღმრთომან და მოკვდა მეფე კახთა დავით სიცოცხლესავე შინა მამისა თვისისა და მეფედ კახთა იქმნა ალექსანდრე. ხოლო შემდგომად სიკვდილისა ალექსანდრესსა და უკეთურისა მის კოსტან-ტინესა მეფედ ქართლისა ლუარსაბ მეორე. მიიწია უკვე შაბააზ მე-ფე სპარსთა კახეთსა ზედა და მოაოხრა კახეთი, ვითარცა ლანქთიემურ, ეგრეთვე სახედ ამან და სოფელნი და თვით ყოვლად მშვენიერი იგი ქალაქი გრემი, სადაცა მეფობასა განაგებდენ მეფენი კახთანი; გარდა-ასახლნა სპარსეთად, ვითარცა ჰყო ნაბუქოდონოსორმან იერუსალიმს ზედა და იუდიასსა. და ლუარსაბ მეფე ქართლისა წარიყვანნა ასტარა-ბათად და მოკლა მუნ მოთმობისა მიერ. ხოლო ლუარსაბს არა ესვა ძე, არცაღა ძმა და აღსრულდა მეფისა სვიმონ პირველისა ნათესაობაი. მაშინ ქართველთა წინააღმდეგად სპარსთა მეფისა ჰყვეს მეფედ ქარ-თლისად მეფე კახთა, თეიმურაზ პირველი მით რამეთუ ცოლი თეი-მურაზისი დაი იყო მეფისა ლუარსაბ მეორისა და სცხეს მეფედ ტფი-ლისს. გარნა არა თავს იდვა ესე მეფემან სპარსთამან, არამედ წარ-მოგზავნა ლაშქარნი უთვალავნი და მოვიდეს მდინარესა ზედა ალ-გუთისასა. ვინაიცა ქართველთაცა შეკრიბნეს ლაშქარნი საქართველოსა-ნი ოც-და-ოთხი ათასი. ხოლო მაშინ განრისხდა ღმერთი საქართვე-ლოსა ზედა და მოსწყვიდეს ლაშქარნი საქართველოსანი ოცი ათასი კა-ცი და ივლტოდა მეფე თეიმურაზ იმერეთად. ხოლო ჰყვეს სპარსთა მეფედ ქართლისად სახელით როსტომ ვინმე ფრიად მოხუცებული, ძე ვახტანგისი, მახმედიანნი. რამეთუ მეფეს ქართლისასა სიმონს პირ-ველსა, რომელი ზემო ვახსენეთ, ჰყვა ძმა უმრწემესი სახელით დავით. ეს დავით სპარსთა მეფისა და მახმედიან იქმნა და ცოლნი და შვილ-ნი მისნი ყოველნივე დაშთეს ისპაანად და ესე როსტომ იშვა მუნ ქალაქსა ისპაანს და მეფედ ჰყვეს იგი სპარსთა მემკვიდრეობისა ძალით. და ესრე ვიდრემე სიტყვა აქამდის.

## სიტყვა მეთოთხმეტე.

მეფე უკვე ქართლისა იქმნა როსტომ. მისცა ციხენი ტფილისისანი მეფესა სპარსთასა და დარღვეული ზღუდენი ქალაქთანი განაახლნა და იმეფა ოც წელიწად ოდენ და დიდსა სიშურესა მიიწია. ხოლო არა ჰყვა ძე, არცა ასული და ეძიებდა რათამცა ვინ პოოს ბაგრატოვანთაგანნი შვილთაგან კოსტანტინე ქართველთა მეფისათა და ჯეროვან იყო, რათა მათგან ვინმე დაიმკვიდროს ქართლი. ესრეთ უკვე ძიებასა შინა რა იყო მეფე როსტომ, განიზრახა უკვე მემკვიდრედ თვისსა ყოფად ვახტანგისი ბაგრატოვანისა. ვითარ უკვე ბაგრატოვან იყო ვახტანგ მეათერთმეტესა უკვე სიტყვასა შინა მოვიხსენეთ. რა მეფე ქართველთა დავით ძე მეფისა კოსტანტინესი და მის დავითისაცა ძმაი მოგვიხსენებიეს სახელით ბაგრატ, ამას ბაგრატს მისცა მეფემან დავით სამთავრო, რომლისა სახელი არს მუხრანი. ხოლო ამის ბაგრატის ძე იყო ირაკლი და ძე ირაკლისი არჩილი, ძე არჩილისა—ვახტანგ, ძე ვახტანგისა—თეიმურაზ, და ძე თეიმურაზისა—ვახტანგ მესამე. ამან დაიპყრა იმერეთიცა, ოდიში, გურია, ქართლი, კახეთი. ხოლო შირვანი ადრე წარწყმიდეს კახთა მეფეთა და შაქისი, რომელ არს აჯი ჯალაბ, სამთავრო არღარა იგი აქვნდათ, კახთა მეფეთა, ძირთაგან მოაოხრა რა შაბააზ სპარსთა მეფემან კახეთი. ხოლო დასვა კახეთსა შინა მეფედ მეფემან ვახტანგ ძე თვისი პირმშო არჩილ, და თვით მეფობდა ქართლსა და იმერეთსა ზედა. გარნა ვერღარა ეძლო დაპყრობად სამთავროსა ახალციხისასა მით, რამეთუ თურქთა ეპყრათ იგი.

ხოლო შემდგომათ ჟამთა როსტომის მეფობისათა მეფე კახთა თეიმურაზ ვეღარ დასდგა კახეთსა შინა. ფრიად მოხუცებული იყო და ძე უკვე მისი დავით მოკლულ იყო აფხაზთაგან ნადირობასა შინა, და ერთიოდენ ძმისწული ჰყვა, სახელით ირაკლი. დედითურთ წარგზავნა რუსეთად წინაშე მეფისა ალექსი მიხაილოვიჩისა. და იზრდებოდა რუსეთსა შინა ყრმა იგი, რომელსა რუსნი ეწოდებოდენ ნიკო-

ლად. ხოლო მეფე იგი ქართველთა ვახტანგ ფრიად გონიერ იყო და ქმნა მეფობა ოცსა წელსა ბედნიერობით, და პირმშო ძე მის წარვიდა კახეთით, რომელა მეფე არჩილ, და დაიპყრო მეფობა იმერეთისა და შემდგომად მოკვდა მეფე ვახტანგ და იქმნა ძე მისი გიორგი. და არჩილ წარვიდა რუსეთად და მუნვე აღესრულა ჟამსა პეტრე პირველისა იმპერატორობისასა, რომლისა ძენიცა მოსყდეს იმპერიასა შინა რუსეთისასა, და დაშთა ასული სახელით დარია, რომელიცა მოკვდა ჟამსა ივანაუნას (?) იმპერატორობისასა.

ხოლო ვსთქვათ ესეცა, რამეთუ განუდგა მეფე იგი ქართველთა ძე ვახტანგისი მეფესა სპარსთასა და მოიღო მეფობა ქართველთა გიორგისა მეფემან სპარსთამან და მისცა ირაკლის ძმისწულისა თეიმურაზ კახთა მეფისასა, აღრზდილსა რუსეთსა შინა და ნიკოლოზ სახელდებულისა რუსთა მიერ. და ესრე ვიდრემე სიტყვა აქამდის.

## სიტყვა მეთუთხმეტე.

და ვითარ იხილა მეფემან ქართველთაგან გიორგი, რამეთუ მიეღო მეფობაი, წარვიდა წინაშე სპარსთა მეფისა. ხოლო იხილა რა სიქველე გიორგისი სპარსთა მეფემან, ჰყო სპარსალარ და მეფობაცა ქართლისა მისცა მას. და მეფესა ირაკლის მისცა მეფობაი კახთა საკუთარი იგი. ხოლო მოკვდა ირაკლიცა და მეფეცა გიორგი მოიკლა ბრძოლათა შინა ყანდაარს. და იქმნა სპარსთა მეფისა მიერ მეფედ ქართველთა ხოსრო, ძმისწული მეფის გიორგისა და ძე ლეონისი, რომელსა სპარსნიცა აქვთნდა სპარსთა მეფისა, და მეფედ კახთა იქმნა ძე კახთა მეფისა ირაკლისი დავით. ხოლო მეფეცა იგი ხოსრო მოიკლა ბრძოლათა შინა, იგიცა ყანდაარს. დაშთა ძე მცირე, რომელი იგიცა მოკვდა, დაშთა ასული ერთი სახელით ანნა, რომელიცა იმყოფების დღეს სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს. ხოლო ვითარ იგი მოკვდა მეფე იგი ქართველთა ხოსრო სპარსთა მეფისა მიერ, მეფე იქმნა ქართველთა ზედა ძმა მისი, იესე, მამა უნდოვისა. და მოიყვანა მან ცო-

ლი ასული კახთა მეფისა ირაკლისი და მეფისა კახთასა დავითისი, დედაი ჩემი და შემდგომად რაოდენისამე წლისა მეფე ვახტანგ მეოთხე სპარსთა მეფისა მიერ სპასალარ იქმნა. და მამასა ჩემსა მიუღო ქართველთა მეფობაი მეფემან სპარსთამან და მისცა ძესა მეფისასა ბაქარს მეფობაი. ხოლო კვალად შემდგომად რაოდენისამე წლისა მიუღო მეფობაი ბაქარისი მეფემან სპარსთამან და მისცა მეფესა ვახტანგს, მამასა ბაქარისასა. ხოლო მოკვდა მეფე კახთა დავით და მეფედ კახთა ჰყო სპარსთა მეფემან ძმა დავითისი და ძე ირაკლი მეფისა კახთასა, კონსტანტინე. კვალად შემდგომად ორისა ანუ სამისა წლისა მიუღო ქართველთა მეფობაი ვახტანგს მეფემან სპარსთამან და მისცა კახთა მეფესა კონსტანტინეს ხოლო იხილნა ვითარ მრავალჯერ სიცრუენი სპარსთა მეფისანი მეფემან ვახტანგ და თურქნიცა მოვიდეს და დაიპყრეს საქართველოი, წარვიდა იმპერიასა შინა რუსეთს, ჟამსა სანატრელისა პეტრე პირველისა ყოვლითურთ მისით და მუნ აღესრულა ქალაქსა ასტარხანს. და ესრე ვიდრემე სიტყვა აქამდის.

## სიტყვა მეთექვსმეტე.

წარვიდა რა იმპერიად რუსეთისად ვახტანგ მეოთხე, დაუტევა ძმა თვისი ნაცვლად თვისა მეფე იესე, მამაი ჩამი. ხოლო მაშინ იპყრობდეს ქართლსა თურქნი. მოვიდა და მოკლეს თურქთა მეფეცა კახთა კონსტანტინე და კახთა მეფედ იქმნა თურქთა მიერ თეიმურაზ მეორე. ხოლო ჟამსა თეიმურაზის კახთა მეფობისასა თურქნი მეფობდეს ქათლსა ზედა ფაშა იგი ჯავახეთისა, რომელი არს ახალციხისა და მერმე დაიპყრა რა ქართლი შაჰნადირ, ხანი სპარსთანი მეფობდეს ქართლსა ზედა. ხოლო შემდგომად რაოდენთამე წელთა მისცა მეფობაი ქართლისა შაჰნადირ მეფესა კახთასა თეიმურაზ მეორესა და მეფობაი კახეთისა ძესა თეიმურაზისასა, ირაკლის მეორესა. ხოლო იცხო მეფემან ჩემ უღირსებისაგან.

ვიტყოდეთ ამასაც, ვითარმედ დღეს რავეცა არს ქართლისა პრო-

ვინცია, უპყრიეს მეფესა ქართლისასა, უკეთუ არა აღოხრებულ იყო. გარნა ქვეყანა იგი ახალციხისა ჯავახეთი, შემდგომად მეფისა ქართველთასა ღუარსაბ დიდისა უპყრიეს თურქთა და არს მუნ ფაშად პირველი იგი მათი ათაბაგი, რომელიცა განაწესა მთავრად მეფემან თამარ ყოვლისა საქართველოსამან. ხოლო მთავარი იგი ჯავახეთისა თურქთა დაპყრობადმდე მონებდა მეფესა ქართველთასა. ხოლო პროვინცია კახეთისა მესამე უკვე ნაწილი არღარა არს დღეს ხელქვეშეობისასა კახთა მეფისა. რამეთუ შირვანი ადრიდგან მიიღო და შაქისი ჟამიდგან შააბაზის მოოხრებისა. ხოლო შაქისისა ნაწილი ჭარიცა, რომლისა მიერ აღოხრებულ იქმნა კახეთი, ახალთა ჟამთა შინა გარნა არაივეცა აქვს დღეს კახ მეფესა შინა არიან ყოველნივე.

ვსთქვათ კვალად ესეცა, ვითარმედ დედა ირაკლი მეორისა, რომელი არს დღეს მეფედ კახთა ასული იყო მეფისა ქართველთასა ვახტანგ მეოთხისა, და მეფისა ბაქარისი.

მეუფესა მას საუკუნეთასა უხრწნელსა, უხილავსა მხოლოსა ბრძენსა ღმერთსა პატივი და დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

(დასასრულში ხელ-ნაწერში არის)

ნამდვილისაგან უმეტ-ნაკლებად გადმოწერილ არს წერეთლის იოანე ლაბუაშვილის მიერ.

# „დროება“-„ივერიის“

## ხელის-მოწერა 1880 წელს.

მიიღება თფილისში: „დროება“-„ივერიის„ რედაქციაში, ერევნის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:

*Въ Тифлисъ Въ редакцію „Дроэба-Иверіи“.*

## ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს. |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 13 მან. — | 7 მან. — | 4 მან. |
| ცალკე: „დროება“ — — | 9 „ — | 5 „ — | 3 მან. |
| ცალკე: „ივერია“ — — | 6 „ — | 4 „ — | 2 მან. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს — — 5 კაპეიკი.

— — „ივერიის“ — — — — — — 2 მანეთი.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

შენიშვნა. პირველი ნომერი „ივერიისა“ და იანვრისა და თებერვლის ნომრები „დროებისა“ რედაქციაში აღარ მოიპოვება.

[illegible] „დროება-ივერიისა“ ილ. ჭავჭავაძე და სერ. მესხი.